განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი

# ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

*ა(ა)იპ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანება*

*ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭიაურის საბავშვო ბაღი*

**ექსპერტთა ჯგუფის წევრები**

**თავმჯდომარე:**

ხარისხის ექსპერტი: *მადონა ქეშიკაშვილი*

**წევრები:**

კურიკულუმის ექსპერტი: *ნინო მამრიკიშვილი*

კვების დარგში ექსპერტი: *დალი მედოიძე*

სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების ექსპერტი: *მარინე ზაზაშვილი*

# ნაწილი I. ზოგადი ინფორმაცია

| 1. ინფორმაცია ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ | |
|---|---|
| სამართლებრივი ფორმა | არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი |
| საფირმო სახელწოდება | ა(ა)იპ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანება |
| საიდენტიფიკაციო ნომერი | **233146798** |
| პროგრამ(ებ)ის განხორციელების ადგილის სახელწოდება<br>*(არსებობის შემთხვევაში)* | ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭიაურის საბავშვო ბაღი |
| სახელწოდება ინგლისურ ენაზე<br>*(არსებობის შემთხვევაში)* | |
| სექტორი | საჯარო |
| ინფორმაცია მოთხოვნილი სტატუსის შესახებ | სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულება |
| **2. საკონტაქტო ინფორმაცია ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ** | |
| იურიდიული მისამართი<br>*(მუნიციპალიტეტი, ქალაქი/დაბა/სოფელი/ქუჩა და N)* | საქართველო, ქალაქი ლაგოდეხი, 26 მაისის ქუჩა, N23 |
| პროგრამ(ებ)ის განხორციელების ფაქტობრივი მისამართი<br>*(მუნიციპალიტეტი, ქალაქი/დაბა/სოფელი/ქუჩა და N)* | ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი, სოფელი ჭიაური |

| | |
|---|---|
| დაწესებულების სტატუსის მაძიებლის ვებ-გვერდი *(არსებობის შემთხვევაში)* | |
| **3. ინფორმაცია დაწესებულების ავტორიზაციის შესახებ** | |
| დაწესებულების ავტორიზაცია (პირველადი)☒ | დაწესებულების ავტორიზაცია (განმეორებითი)☐ |
| **4. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ** | |
| ვიზიტის საფუძველი *(ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)* | 27/04/2026 წლის ბრძანება MES 3 26 0000480585 |
| ვიზიტის პერიოდი *(თარიღი)* | 06-07 მაისი, 2026 წელი |

**5. ინფორმაცია ბავშვების შესახებ** (ცხრილი არ ივსება პირველად ავტორიზაციაზე)

| წინა ავტორიზაციის ფარგლებში საბჭოს მიერ განსაზღვრული ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა | ჩარიცხული ბავშვების რაოდენობა |
|---|---|
| | |

**6. ინფორმაცია ადრეული აღზრდისა და განათლების დაწესებულების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებლის პროგრამ(ებ)ის შესახებ**

საქართველოს მთავრობის 2023 წლის 21 თებერვლის №76 დადგენილების დანართი №1-ის სახით დამტკიცებული *„ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების მიერ ავტორიზაციის გავლის, აგრეთვე დაწესებულების ავტორიზაციის შეჩერებისა და შეწყვეტის დროებითი წესი"*-ს მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, გთხოვთ, ასახოთ იმ პროგრამის სახე/სახეები, რომლის განხორციელებაც სურს დაწესებულების სტატუსის მაძიებელს.

| N | პროგრამის სახე[1] | კურიკულუმ(ებ)ის დასახელება | პროგრამის განხორციელების ენა | პროგრამის განხორციელების მიდგომა *(არსებობის შემთხვევაში) (ბილინგვური/ მულტილინგვური)* | თვითშეფასების მიხედვით პროგრამაზე მოთხოვნილი ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა |
|---|---|---|---|---|---|
| 2 | სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პროგრამა | ადრეული განათლების კურიკულუმი „თამაში“ მეთოდური სახელმძღვანელო 2-დან 6 წლამდე ასაკობრივი ჯგუფებისთვის | ქართული | არა | 75<br>ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒<br>არ ეთანხმება ☐ |

## 7. ვიზიტის პროცესის საერთო მიმოხილვა

*მოკლედ აღწერეთ დაწესებულების სტატუსის მაძიებელში ვიზიტთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები*

2026 წლის 06-07 მაისს განხორციელდა დაგეგმილი ვიზიტი ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭიაურის საბავშვო ბაღში. ვიზიტამდე ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას და ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებისათვის საჭირო მასალებს, შედგა ვიზიტის დღის წესრიგი და გასაცნობად გადაეგზავნა დაწესებულებას ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო ავტორიზაციის ოთხივე სტანდარტის მოთხოვნების მიხედვით პროცესების მართვასთან დაკავშირებულ დოკუმენტაციას, დაათვალიერა ინფრასტრუქტურა, ასევე, ჩატარდა ინტერვიუები დაწესებულების პერსონალთან. ვიზიტის ბოლოს ექსპერტთა ჯგუფის წევრებმა დაწესებულების წარმომადგენლებს გააცნეს პროცესში გამოკვეთილი ძირითადი მიგნებები. დაწესებულების პერსონალი გამოირჩეოდა პროფესიონალიზმით, კეთილგანწყობითა და თანამშრომლობითი მიდგომით. დაწესებულების მხრიდან სახეზე იყო მაღალი ჩართულობა და მობილიზება ვიზიტის

[1] აისახოს მხოლოდ ის პროგრამა/პროგრამები, რომელიც მითითებულია დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასებაში. პროგრამის სახის სპეციფიკის/რაოდენობის გათვალისწინებით შესაძლებელია დაემატოს ველები.

პროცესის სათანადოდ განხორციელებისთვის, რაც მიუთითებს იმაზე, რომ სოფელ ჭიაურის საბავშვო ბაღის გუნდი პასუხისმგებლობით ეკიდება ავტორიზაციის პროცესს.

## 8. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

*გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც დაწესებულების სტატუსის მაძიებლის გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში)*

..........................................................................................................................................................................................................
..........................................................................................................................................................................................................
..........................................................................................................................................................................................................
..........................................................................................................................................................................................................
..........................................................................................................................................................................................................

## 9. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შეფასება და აღწერა

*(ასეთის არსებობის შემთხვევაში)*

..........................................................................................................................................................................................................
..........................................................................................................................................................................................................
..........................................................................................................................................................................................................
..........................................................................................................................................................................................................

# ნაწილი II: ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

| 10. ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების სქემა | | |
|---|---|---|
| **სტანდარტი/კომპონენტი** | **დაწესებულების თვითშეფასება** | **ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** |
| **ავტორიზაციის I სტანდარტის შეფასების სქემა** | | |
| **1. დაწესებულების მისია და სტრატეგიული განვითარება** | **☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება** | **☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება** |
| 1.1. დაწესებულების მისია | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| 1.2. სტრატეგიული განვითარება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **ავტორიზაციის II სტანდარტის შეფასების სქემა[2]**<br><br>*სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პროგრამა*<br>*ადრეული განათლების კურიკულუმი „თამაში“ მეთოდური სახელმძღვანელო 2-დან 6 წლამდე ასაკობრივი ჯგუფებისთვის* | | |
| **2. კურიკულუმი** | **☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება** | **☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება** |

[2] ცხრილი ივსება თითოეული პროგრამისთვის ცალ-ცალკე

| | | |
|---|---|---|
| | ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება**<br>☐ **არ შეესაბამება** | ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება**<br>☐ **არ შეესაბამება** |
| 2.1. კურიკულუმის დაგეგმვა | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| 2.2. კურიკულუმის განხორციელება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☐ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☒ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| 2.3. კურიკულუმის შეფასება და განვითარება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

| ავტორიზაციის III სტანდარტის შეფასების სქემა | | |
|---|---|---|
| **3. ოჯახისა და თემის ჩართულობა** | **☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება** | **☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება** |
| 3.1. თანამშრომლობის დაგეგმვა | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| 3.2. თანამშრომლობის განხორციელება და შეფასება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

| ავტორიზაციის IV სტანდარტის შეფასების სქემა | | |
|---|---|---|
| **4. სააღმზრდელო და საგანმანათლებლო პროცესის მხარდაჭერა** | **☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება** | **☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება** |
| 4.1. პერსონალის მართვა და განვითარება | ☐ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☒ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☐ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☒ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| 4.2. პროცესების მართვა | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

| | | |
|---|---|---|
| 4.3. მატერიალური რესურსი | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☐ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☒ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| 4.4. კვების ორგანიზება და კვებითი რაციონი | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| 4.5. სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| 4.6. ფიზიკური და ემოციური უსაფრთხოება | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| 4.7.ფინანსური რესურსი | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

# ნაწილი III. ავტორიზაციის I, II, III და IV სტანდარტთან შესაბამისობის აღწერა, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

## სარჩევი

1.1. დაწესებულების მისია

1.2. სტრატეგიული განვითარება

2.1. კურიკულუმის დაგეგმვა

2.2. კურიკულუმის განხორციელება

2.3. კურიკულუმის  შეფასება და განვითარება

3.1. თანამშრომლობის დაგეგმვა

3.2. თანამშრომლობის განხორციელება და შეფასება

4.1. პერსონალის მართვა და განვითარება

4.2. პროცესების მართვა

4.3. მატერიალური რესურსი

4.4. კვების ორგანიზება და კვებითი რაციონი

4.5. სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები

4.6. ფიზიკური და ემოციური უსაფრთხოება

4.7. ფინანსური რესურსი

# 1. დაწესებულების მისია და სტრატეგიული განვითარება

## 1.1. დაწესებულების მისია

### 1.1.1. დაწესებულებას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცეში და საზოგადოებაში

1. დაწესებულების მისია ეხმიანება ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვას და განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც ბავშვის კეთილდღეობაზე ორიენტირებულ სივრცეს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას აქვს შემუშავებული მისია, რომელიც ფორმულირებულია შემდეგნაირად:

*„შევქმნათ უსაფრთხო და განმავითარებელი გარემო, რომელიც ხელს უწყობს ბავშვების ჰოლისტურ განვითარებას და მათი პოტენციალის სრულიად გამოვლენას, ხელი შევუწყოთ შშმ ბავშვებისთვის შესაბამისი გარემო-პირობების შექმნას და მათ საზოგადოებაში ინტეგრირებას, მოვახდინოთ თანამშრომელთათვის უწყვეტი პროფესიული განვითარების შესაძლებლობების შეთავაზება, ხელი შევუწყოთ სკოლამდელი განათლების თანაბარ ხელმისაწვდომობას მუნიციპალიტეტში მცხოვრები ყველა სკოლამდელი ასაკის ბავშვისთვის, საცხოვრებელი ადგილისა და შესაძლებლობის შეზღუდვის მიუხედავად.“*

დაწესებულების მისია ორიენტირებულია ბავშვის უსაფრთხო, მხარდამჭერი და განმავითარებელი გარემოს შექმნაზე, რაც ბავშვის საუკეთესო ინტერესებისა და კეთილდღეობის დაცვის საფუძველს წარმოადგენს. ტექსტში ხაზგასმულია ბავშვების ჰოლისტური განვითარების, მათი პოტენციალის სრულად გამოვლენის, თანაბარი ხელმისაწვდომობისა და ინკლუზიური გარემოს უზრუნველყოფის მნიშვნელობა, მათ შორის შშმ ბავშვებისთვის შესაბამისი პირობების შექმნა და საზოგადოებაში ინტეგრირების ხელშეწყობა. აღნიშნული მიდგომები ცხადყოფს, რომ დაწესებულება საკუთარ როლს აღიქვამს როგორც ბავშვზე, მის განვითარებასა და კეთილდღეობაზე ორიენტირებულ სივრცეს.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

............................................................................................................................................................................................................

............................................................................................................................................................................................................

რჩევა

………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

## 2. დაწესებულების მისიიდან გამომდინარე განსაზღვრულია დაწესებულების ხედვა და ღირებულებები

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების ხედვა არის ჩამოყალიბებული შემდეგნაირად:

*"ბავშვის უსაფრთხოებაზე ორიენტირებული გარემოს შექმნით და სწავლა-სწავლების მაღალი ხარისხის უზრუნველყოფით გავაღვიძოთ ცნობისმოყვარეობა და შემეცნებისადმი სიყვარული, მხარი დავუჭიროთ აღსაზრდელის ემოციური, სოციალური, კოგნიტური და პიროვნული განვითარების ინდივიდუალურ, თავგადასავლებით აღსავსე გზას. მყარი საფუძველი შევუქმნათ პასუხისმგებლიანი მოქალაქის ჩამოყალიბებას."*

დაწესებულების ღირებულებებია:

- *ბუნების შემეცნებაზე დამყარებული პიროვნული და ინტელექტუალური განვითარება*
- *ეკოლოგიურად უსაფრთხო  გარემო და სათამაშოები*
- *სოციალურ და ემოციურ განვითარებაზე მიმართული კურიკულუმი*
- *პასუხისმგებლიანი და ფუნქციური მოქალაქის აღზრდა*
- *ფიზიკურად ჯანმრთელი თაობის აღზრდა*
- *სწავლა თამაშითა და აღმოჩენებით*
- *საზოგადოებრივი პასუხისმგებლობის გაცნობიერება და საბავშვო ბაღის ცხოვრებაში მშობელთა ჩართულობის ზრდა*
- *თანამშრომელთა კვალიფიციურობა, გუნდურობა და აღსაზრდელზე ორიენტირებულობა.*

დაწესებულების ხედვა და ღირებულებები გამომდინარეობს მისიიდან და მასთან შესაბამისობაშია, რადგან ასახავს მისიის ძირითად მიმართულებებს, უსაფრთხო და განმავითარებელი გარემოს შექმნას, ბავშვის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერას, ინდივიდუალური შესაძლებლობების გამოვლენას, ინკლუზიურ და აღსაზრდელზე ორიენტირებულ მიდგომას, ჯანმრთელი და პასუხისმგებლიანი თაობის აღზრდას, ასევე თანამშრომელთა პროფესიული განვითარების და მშობელთა ჩართულობის მნიშვნელობას.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

რჩევა

………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

## 3. მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია დაინტერესებული მხარეების ჩართულობით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესი, ა(ა)იპ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორის - დროებით მოვალეობის შემსრულებლის (შემდეგში მოხსენიებული როგორც *„გაერთიანების დირექტორი“*) 2025 წლის, 10 აპრილის № ბ42.9225100001 ბრძანებით.

მოცემული წესის მე-4 მუხლის თანახმად დაინტერესებული მხარეები არიან: ბაღის წარმომადგენლები, მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი, თემის/პარტნიორი ორგანიზაციის წარმომადგენელი. ხოლო ამავე წესის მე-5 მუხლი სტრატეგიული დაგეგმვის და განვითარების პროცესის ერთ-ერთი საკვანძო პრინციპად განსაზღვრავს დაინტერესებული მხარეების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინებას. დაწესებულებაში გაერთიანების დირექტორის 05/11/2025 წლის ბ42.92253092 ბრძანებით შექმნილია სამუშაო ჯგუფი, რომლის მუშაობის პროცესში ხდება დაინტერესებული მხარეეების ჩართვა. სამუშაო ჯგუფის საქმიანობის ფარგლებში დაინტერესებული მხარეების ჩართვა დასტურდება დაწესებულების მიერ წარმოდგენილი სხდომის ოქმებით (ოქმი N1 – 16.03.2026; ოქმი N 2 – 20.03.2026).

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………
……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

რჩევა

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………
……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………
……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

### 4. მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია დაინტერესებულ მხარეებთან და საჯაროდაა ხელმისაწვდომი

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის მე-6 მუხლის თანახმად სტრატეგიული დაგეგმარების პროცესში შემუშავებული დოკუმენტების გაზიარებისთვის გამოიყენება სხვადასხვა საკომუნიკაციო არხები, როგორიცაა: ელექტრონული ფოსტა, სოციალური მედია, საჯარო ღონისძიებები. ამავე რეგულაციის მე-8 მუხლის მე-5 პუნქტი აფართოებს კიდევ უფრო მეტად გაზიარების მექანიზმებს და განსაზღვრავს რომ დოკუმენტები შესაძლებელია გაზიარდეს სხვადასხვა ბეჭდურ მასალებში, ბაღის შენობაში თვალსაჩინო ადგილზე, შეხვედრებზე და პრეზენტაციებზე.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების გაცნობისა და ადგილზე ვიზიტის ფარგლებში დადასტურდა, რომ დაწესებულების მისია/ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია დაინტერესებულ მხარეებთან, კერძოდ გამოკრულია დაწესებულებაში საინფორმაციო დაფაზე, გაჟღერებულია საჯარო შეხვედრებზე. გაზიარებულია საჯაროდ გაერთიანების ოფიციალურ Facebook გვერდზე: https://www.facebook.com/photo/?fbid=4268847903366048&set=a.2658132954437559

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………
……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

რჩევა

………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

*1. მისია, ხედვა, ღირებულებების დოკუმენტი;*
*2. სტრატეგიული დაგემვის, მონიტორინგისა და შეფასების წესი, დამტკიცებული 2025 წლის, 10 აპრილის № ბ42.9225100001ბრძანებით;*
*3. სტრატეგიული დაგეგმვის სამუშაო ჯგუფი, შექმნილი გაერთიანების დირექტორის 05/11/2025 წლის ბ42.92253092 ბრძანებით;*
*4. გაერთიანების Facebook გვერდი: https://www.facebook.com/photo/?fbid=4268847903366048&set=a.2658132954437559;*
*5. სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმები: ოქმი N1 – 16.03.2026; ოქმი N 2 – 20.03.2026.*

| შეფასება: | | | |
|---|---|---|---|
| **1.1. დაწესებულების მისია** | | | |
| შეესაბამება ☒ | მეტწილად შეესაბამება ☐ | ნაწილობრივ შეესაბამება ☐ | არ შეესაბამება ☐ |

## 1.2. სტრატეგიული განვითარება

### 1.2.1. დაწესებულებაში მოქმედებს დაგეგმვის პრაქტიკა

**1. დაწესებულებას აქვს სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია, რომელიც მოიცავს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმს და ითვალისწინებს დაგეგმვის პროცესში დაინტერესებული მხარეების ჩართულობას**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია გაერთიანების დირექტორის 2025 წლის, 10 აპრილის № ბ42.9225100001 ბრძანებით. აღნიშნული მეთოდოლოგიის მე-13, მე-14 და მე-15 მუხლები ეხება სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის

მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმს და განსაზღვრავს რომ სტრატეგიული გეგმის მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება სტრატეგიული გეგმის მოქმედების პერიოდში ორჯერ, შუალედურ პერიოდში (2,5 წელს) და ბოლოს. ხოლო სამოქმედო გეგმების მონიტორინგი ხორციელდება კვარტალურად, შეფასება კი წლიურად. სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგი მიზნად ისახავს ამოცანებითა და აქტივობებით განსაზღვრული შედეგების შესრულების შემოწმებას, გამოწვევების გამოვლენასა და რეკომენდაციების განსაზღვრას. დაწესებულებას განმარტებული აქვს რომ მონიტორინგს იყენებს მონაცემების შეგროვებისთვის, ხოლო შეფასებას შეგროვებული მონაცემების გაანალიზებისა და შემდგომი რეაგირების საჭიროების განსაზღვრისთვის.

აღნიშნული სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია ითვალისწინებს დაგეგმვის პროცესში დაინტერესებული მხარეების ჩართულობას. კერძოდ, მე-4 მუხლით დაწესებულებას განსაზღვრული აქვს რომ დაინტერესებული მხარეები არიან ბაღის წარმომადგენლები, მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი, თემის/პარტნიორი ორგანზიაციის/დონორი ორგანიზაციის წარმომადგენელი და სხვა. ამასთან, სტრატეგიული დაგეგმარების საკვანძო პრინციპებში მოხსენიებული აქვს დაინტერესებული მხარეების ინტერესების გათვალისწინება, სტრატეგიული დაგეგმარების პროცესში მათი ჩართულობა, სტრატეგიული დაგეგმარების პროცესში შემუშავებული დოკუმენტების დაინტერესებულ მხარეებთან გაზიარება. გათვალისწინებულია დაინტერესებული მხარეების ჩართულობა სტრატეგიული დაგეგმარების სამუშაო ჯგუფის შემადგენლობაშიც.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

................................................................................................................................................................................................................

..............................................................................................................................................................................................................

რჩევა

................................................................................................................................................................................................................

................................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

................................................................................................................................................................................................................

................................................................................................................................................................................................................

## 2. სტრატეგიული გეგმა არის არანაკლებ ხუთწლიანი, ციკლური და შესაბამისობაშია დაწესებულების მისიასთან, ხედვასთან და ღირებულებებთან. ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს

### ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის მე-10 მუხლის თანახმად, სტრატეგიული დაგეგმვის პროცესი ხორციელდება არანაკლებ 5 წელიწადში ერთხელ, ახალ სტრატეგიულ გეგმაზე მუშობა იწყება მოქმედი სტრატეგიული გეგმის ვადის გასვლამდე არაუგვიანეს 4-6 თვით ადრე. დაწესებულებას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს 2026-2031 წლის სტრატეგიული გეგმა გაერთიანების დირექტორის 2026 წლის 23 მარტის Nb42.92260822 ბრძანებით.

სტრატეგიულ გეგმაში განსაზღვრულია 5 სტრატეგიული მიზანი:

- *საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურის მოდერნიზაცია და სტანდარტიზაცია (ინფრასტრუქტურის მოწესრიგება);*
- *საგანმანათლებლო პროცესის ხარისხის მართვა და ადამიანური კაპიტალის გაძლიერება;*
- *ინკლუზიური და მულტიკულტურული გარემოს მხარდაჭერა (ბილინგური სწავლება);*
- *პარტნიორობაზე დაფუძნებული მმართველობა; ოჯახის, მშობლის და თემის ჩართულობა;*
- *ციფრული ტრანსფორმაცია და ტექნოლოგიური ინოვაციების დანერგვა.*

სტრატეგიულ გეგმაში ასევე განსაზღვრულია მოცემული მიზნების შესაბამისი სტრატეგიული ამოცანები. დაწესებულების სტრატეგიული გეგმა მოიცავს ხუთწლიან პერიოდს და შეესაბამება სტრატეგიული დაგეგმვის ციკლურობის მოთხოვნას. დოკუმენტი აგებულია გრძელვადიან განვითარების პრინციპზე და უზრუნველყოფს პროცესის უწყვეტ დაგეგმვას. სტრატეგიული გეგმა შინაარსობრივად თანხვედრაშია დაწესებულების მისიასთან, ხედვასა და ღირებულებებთან, რადგან ორიენტირებულია საგანმანათლებლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესებაზე, უსაფრთხო და ინკლუზიური გარემოს განვითარებაზე, ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებაზე, ადამიანური რესურსების გაძლიერებასა და ოჯახის/თემის ჩართულობის ზრდაზე.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

### რეკომენდაცია

.....................................................................................................................................................................................................

.....................................................................................................................................................................................................

### რჩევა

.....................................................................................................................................................................................................

.....................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

## 3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სტრატეგიულ გეგმას და დაწესებულების ყოველწლიურ თვითშეფასებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის მე-11 მუხლის მიხედვით სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი, ემთხვევა კალენდარულ წელს და იქმნება სტრატეგიული გეგმიდან და დაწესებულების თვითშეფასებიდან გამომდინარე. დაწესებულებამ წარმოადგინა 2026 -2027 წლის სამოქმედო გეგმა, რომელიც დამტკიცებულია გაერთიანების დირექტორის 2026 წლის 23 მარტის №ბ42.92260822 ბრძანებით. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი სამოქმედო გეგმა შესაბამისობაშია სტრატეგიულ გეგმასთან და ეფუძნება ყოველწლიურ თვითშეფასებას.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

რჩევა

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

## 4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების მიერ განსაზღვრულ სამოქმედო გეგმაში ასახულია შემდეგი ინფორმაცია: სტრატეგიული მიზანი და ამოცანა, ამოცანის შესაბამისი აქტივობა, ინდიკატორი, მტკიცებულება, განხორციელების პერიოდი, პასუხისმგებელი პირი, ადამიანური რესურსი, დაფინანსების წყარო, მატერიალური რესურსი.

მაგალითად, სამოქმედო გეგმაში ასახული სტრატეგიული მიზანი 2 - *"საგანმანათლებო პროცესის ხარისხის მართვა და ადამიანური კაპიტალის გაძლიერება"*, მოცემული მიზნის შესაბამისი სტრატეგიული ამოცანა 3 - *"ტრენინგები და სწავლებები"*, ხოლო აქტივობად მოცემული ამოცანის და მიზნის შესასრულებლად დაწესებულებას განსაზღვრული აქვს შემდეგი - *"საგანმანათლებლო პერსონალის გადამზადება 66 საათიან ტრენინგ მოდულში"*. მოცემული აქტივობის შეფასების ინდიკატორია - *"აღმზრდელთა 30%-ზე მეტი გადამზადებულია 66 საათიანი მოდულით"*, რომელიც არის გაზომვადი, მითითებულია ასევე აქტივობის შესრულების დამადასტურებელი მტკიცებულება - *"ხელშეკრულებები/სერტიფიკატები"*, შესრულების პერიოდია - *"2026 წლის ივნისი - 2026 წლის დეკემბერი"*, პასუხისმგებელი პირია - *"ა(ა)იპ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანება"*, დაფინანსების წყაროა - *"ა(ა)იპ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანება"*, მატერიალური რესურსი - *"სატრენინგო სივრცე, ტრენინგის საჭირო მასალა დაბეჭდილი"*

სამოქმედო გეგმა აწყობილია გამართული, აკადემიური ფორმატით. მასში ასახულია სტრატეგიული მიზნები, ამოცანები და მათი შესაბამისი აქტივობები, რომლებსაც აქვს გაზომვადი ინდიკატორები შესრულების ვადები თვეების ჭრილში, პასუხისმგებელი პირები და შესრულებისთვის საჭირო რესურსები. აქტივობები გაწერილია 2026 წლის ვადაში.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

........................................................................................................................................................................................................

........................................................................................................................................................................................................

რჩევა

........................................................................................................................................................................................................

........................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

........................................................................................................................................................................................................

........................................................................................................................................................................................................

## 5. მეთოდოლოგიის შესაბამისად დაწესებულება ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის მე-13, მე-14 და მე-15 მუხლები ეხება სამოქმედო და სტრატეგიული გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას. აღნიშნული რეგულაციების თანახმად სტრატეგიული გეგმის მონოტორინგი და შეფასება ხორციელდება სტრატეგიული გეგმის მოქმედების პერიოდში ორჯერ, შუალედურ პერიოდში (2,5 წელს) და ბოლოს. დაწესებულების მეთოდოლოგიის თანახმად ჯერ არ დამდგარა სტრატეგიული გეგმის მონიტორინგის და შეფასების პერიოდი, ვინაიდან სტრატეგიული გეგმა დამტკიცებულია 2026 წლის 23 მარტს.

სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის თანახმად სამოქმედო გეგმის მონიტორინგი ხორციელდება კვარტალურად, ხოლო შეფასება წლიურად. ამ ეტაპზე დაწესებულებაში მოქმედია 2026 -2027 წლის სამოქმედო გეგმა, რომელიც დამტკიცებულია გაერთიანების დირექტორის 2026 წლის 23 მარტის №ბ42.92260822 ბრძანებით. შესაბამისად ჯერ არ არის დამდგარი მონიტორინგის და შეფასების პერიოდი.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

რჩევა

დაწესებულებას სტარტეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის მე-11 მუხლში მითითებული აქვს რომ სამოქმედო გეგმა ემთხვევა კალენდარულ წელს, რაც გულისხმობს რომ 2026 წლის გეგმა დატკიცებული და მოქმედი უნდა იყოს უკვე 2026 წლის 1 იანვრიდან, თუმცა დაწესებულებამ წარმოადგინა დამტკიცების ბრძანება რომელიც თარიღდება 2026 წლის 23 მარტით. სასურველია დაწესებულებამ შემდეგი სტრატეგიული გეგმის შემუშავების დროს ყურადღება გაამახვილოს მოცემულ საკითხზე და თანხვედრაში მოიყვანოს დამტკიცების ბრძანება მის მიერ განსაზღვრულ რეგულაციასთან.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

## 6. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები საჯაროდაა ხელმისაწვდომი და გამოიყენება დაწესებულების შემდგომი განვითარებისთვის

### ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის მე-15 მუხლი განსაზღვრავს რომ სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები საჯაროდ იქნება ხელმისაწვდომი, კერძოდ განთავსდება ბაღის სოციალურ ქსელში, ასევე გამოყენებული იქნება ელექტრონული ფოსტა, საჯარო ღონისძიებები. მოცემული რეგულაციის მე-13 მუხლი კი ადგენს რომ შეფასების შედეგები დაწესებულებას აძლევს ინფორმაციას დაგეგმვის პროცესის ხარისხის, არსებული გამოწვევების და პრობლემების შესახებ, რომელსაც დაწესებულება იყენებს შემდგომი განვითარებისთვის.

ამ ეტაპზე არ არის დამდგარი სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგების საჯაროდ გამოქვეყნების პერიოდი.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

### რეკომენდაცია

........................................................................................................................................................................................................

........................................................................................................................................................................................................

### რჩევა

........................................................................................................................................................................................................

........................................................................................................................................................................................................

### არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

........................................................................................................................................................................................................

........................................................................................................................................................................................................

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

*1. სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია, დამტკიცებული გაერთიანების დირექტორის 2025 წლის, 10 აპრილის № ბ42.9225100001 ბრძანებით;*
*2. 2026 -2027 წლის სამოქმედო გეგმა, დამტკიცებული გაერთიანების დირექტორის 2026 წლის 23 მარტის Nბ42.92260822 ბრძანებით;*
*3. 2026-2031 წლის სტრატეგიული გეგმა, დამტკიცებული გაერთიანების დირექტორის 2026 წლის 23 მარტის Nb42.92260822 ბრძანებით.*

| შეფასება: | | | |
|---|---|---|---|
| **1.2. სტრატეგიული განვითარება** | | | |
| შეესაბამება ☒ | მეტწილად შეესაბამება ☐ | ნაწილობრივ შეესაბამება ☐ | არ შეესაბამება ☐ |

## 2. კურიკულუმი [3]

### პროგრამის სახე
სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პროგრამა

### კურიკულუმის დასახელება
ადრეული განათლების კურიკულუმი „თამაში“ მეთოდური სახელმძღვანელო 2-დან 6 წლამდე ასაკობრივი ჯგუფებისთვის

## 2.1. კურიკულუმის დაგეგმვა
### 2.1.1. დაწესებულებაში მოქმედებს კურიკულუმის დაგეგმვის პრაქტიკა

#### 1. პროგრამის განხორციელებისას დაწესებულება ხელმძღვანელობს წინასწარ შერჩეული/შემუშავებული კურიკულუმით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა
დაწესებულებამ წარმოადგინა კურიკულუმის შერჩევის, გაზიარების, შეფასებისა და განვითარების მარეგულირებელი წესი დამტკიცებული გაერთიანების დირექტორის 10.04.2025 წლის N ბ42. 92251002 ბრძანებით.

აღნიშნული წესის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად კურიკულუმის შერჩევის პროცესი მოიცავს შემდეგ ეტაპებს:
ა) კურიკულუმის შერჩევაზე პასუხისმგებელი ჯგუფის შექმნა;
ბ) ჯგუფის მიერ არსებული კურიკულუმის გაცნობა;
გ) კურიკულუმის/კურიკულემების შერჩევა;
დ) კურიკულუმის/კურიკულემების დამტკიცება.

[3] მეორე სტანდარტის „კურიკულუმის“ ყველა ველი ივსება თითოეული პროგრამისათვის ცალ-ცალკე.

ამავე წესის მიხედვით, კურიკულუმის შერჩევის მიზნით, გაერთიანების დირექტორის ბრძანებით იქმნება კურიკულუმის შერჩევაზე პასუხისმგებელი სამუშაო ჯგუფი (მე-2 მუხლის მეორე პუნქტი). ჯგუფის მიერ ხდება არსებული კურიკულუმების მოძიება და შერჩევა (მე-2 მუხლის მეოთხე პუნქტი). შერჩეული კურიკულუმები მტკიცდება გაერთიანების დირექტორის ბრძანებით (მე-2 მუხლის მეექვსე პუნქტი).

დაწესებულებამ წარმოადგინა კურიკულუმის შერჩევაზე პასუხისმგებელი სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ გაერთანების დირექტორის 08.10.2025 წლის N ბ42. 9225281001 ბრძანება, რომლიდნაც ირკვევა, რომ რომ შეიქმნა კურიკულუმის შერჩევაზე პასუხისმგებელი სამუშაო ჯგუფი, რომელის შემადგენლობაში შედის: ერთი სპეციალისტი მეთოდურ დარგში, ოთხი მენეჯერი და თერთმეტი აღმზრდელი.

ჯგუფის შეხვედრის ოქმიდან (კურიკულუმის შერჩევის მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფის შეხვედრის ოქმი N2; 18.03.2026) ირკვევა, რომ ა.(ა).ი.პ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთანების საბავშვო ბაღებისათვის შერჩეული იქნა ადრეული განათლების კურიკულუმი ,,თამაში'' მეთოდური სახელმძღვანელო 2-დან 6 წლამდე ასაკობრივი ჯგუფებისთვის.

შერჩეული კურიკულუმი დამტკიცდა გაერთიანების დირექტორის 18.03.2026 წლის N ბ42. 92260772 ბრძანებით.

ამდენად, დაწესებულებამ წარმოადგინა კურიკულუმის დეკლარირების ამსახველი დოკუმენტი, შესაბამისად, დაწესებულება პროგრამის განხორციელებისათვის ხელმძღვანელობს შემდეგი კურიკულუმით: ადრეული განათლების კურიკულუმი ,,თამაში'' მეთოდური სახელმძღვანელო 2-დან 6 წლამდე ასაკობრივი ჯგუფებისთვის.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

........................................................................................................................................................................................................

........................................................................................................................................................................................................

რჩევა

........................................................................................................................................................................................................

........................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

........................................................................................................................................................................................................

........................................................................................................................................................................................................

## 2. დაწესებულების მიერ შერჩეული/შემუშავებული კურიკულუმი ხელს უწყობს ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტებით დადგენილი შედეგების მიღწევას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულება პროგრამის განხორციელებისათვის ხელმძღვანელობს შემდეგი კურიკულუმით: ადრეული განათლების კურიკულუმი ,,თამაში'' მეთოდური სახელმძღვანელო 2-დან 6 წლამდე ასაკობრივი ჯგუფებისთვის.

აღნიშნული კურიკულუმი ხელს უწყობს ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტებით დადგენილი შედეგების მიღწევას რაც ვლინდება: განვითარების ყველა ძირითადი სფეროს დაფარვაში, თამაშზე დაფუძნებულ მიდგომაში, ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინებაში, ოჯახთან და თემთან თანამშრომლობის ხელშეწყობაში; განვითარებაზე ორიენტირებული შეფასების სისტემაში.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

...................................................................................................................................................................................

...................................................................................................................................................................................

რჩევა

...................................................................................................................................................................................

...................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

...................................................................................................................................................................................

...................................................................................................................................................................................

## 3. კურიკულუმი ეფუძნება თამაშს და ითვალისწინებს ბავშვს, როგორც აქტიურ მონაწილეს საკუთარი სწავლისა და განვითარების პროცესში

### ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულება პროგრამის განხორციელებისათვის ხელმძღვანელობს შემდეგი კურიკულუმით: ადრეული განათლების კურიკულუმი ,,თამაში'' მეთოდური სახელმძღვანელო 2-დან 6 წლამდე ასაკობრივი ჯგუფებისთვის.

ზემოაღნიშნული კურიკულუმი ეფუძნება თამაშს, რაც ვლინდება შემდეგში:

- ბავშვებს აქვთ თავისუფლება აირჩიონ აქტივობა, თავად დაასახელონ თემა, იპოვონ გადაჭრის გზები და გამოხატონ საკუთარი აზრი თამაშის საშუალებით;
- კურიკულუმის მიხედვით სივრცე დაყოფილია ცენტრებად, რაც ქმნის ხელსაყრელ პირობებს თამაშისთვის;

- აღმზრდელი თამაშის პროცესში მოქმედებს როგორც პარტნიორი და დამკვირვებელი, რომელიც ხელს უწყობს ბავშვის ინიციატივას.
- თემატური ერთეულები ვითარდება თამაშის ფორმატში და ებმის ბავშვის ყოველდღიურ გამოცდილებას.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

რჩევა

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

## 4. კურიკულუმი ითვალისწინებს ოჯახთან/თემთან თანამშრომლობას და მათ ჩართულობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულება პროგრამის განხორციელებისათვის ხელმძღვანელობს შემდეგი კურიკულუმით: ადრეული განათლების კურიკულუმი ,,თამაში'' მეთოდური სახელმძღვანელო 2-დან 6 წლამდე ასაკობრივი ჯგუფებისთვის.

აღნიშნული კურიკულუმი ითვალისწინებს ოჯახთან თანამშრომლობას და მათ ჩართულობას, რაც ვლინდება: სასწავლო - სააღმზრდელო პროცესში მშობლის როლის აღიარებაში, მშობელთა შეხვედრების, კონსულტაციებისა და ღია კარის დღეების ორგანიზებაში, ოჯახური რესურსების გამოყენებაში საგანმანათლებლო პროცესის გამდიდრების მიზნით, ოჯახური გარემოსა და საჭიროებების გათვალისწინებაში ინდივიდუალური დაგეგმვისას, კურიკულუმის გადახედვისა და გაუმჯობესების პროცესში მშობელთა შეფასებისა და წინადადებების ინტეგრირებაში.

კურიკულუმი ითვალისწინებს თემთან თანამშრომლობას და მათ ჩართულობას, რაც ვლინდება: საგანმანათლებლო გარემოს თემის სივრცეებში გაფართოებაში, თემის წარმომადგენელთა ჩართულობაში, თანამშრომლობითი ღონისძიებების ორგანიზებაში.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

.......................................................................................................................................................................................................

.......................................................................................................................................................................................................

რჩევა

.......................................................................................................................................................................................................

.......................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.......................................................................................................................................................................................................

.......................................................................................................................................................................................................

## 5. კურიკულუმი ითვალისწინებს მრავალფეროვან, ასაკისა და განვითარების შესაბამის საქმიანობებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულება პროგრამის განხორციელებისათვის ხელმძღვანელობს შემდეგი კურიკულუმით: ადრეული განათლების კურიკულუმი ,,თამაში'' მეთოდური სახელმძღვანელო 2-დან 6 წლამდე ასაკობრივი ჯგუფებისთვის.

აღნიშნული კურიკულუმი ითვალისწინებს მრავალფეროვან საქმიანობებს, რაც ვლინდება შემდეგში: ბავშვებს ყოველდღიურად ეძლევათ სხვადასხვა ტიპის აქტივობებში მონაწილეობის საშუალება. აქტივობები ინტერაქტიურია და ორიენტირებულია ბავშვის ჰოლისტური განვითარების ხელშეწყობაზე. მრავალფეროვნება ვლინდება კურიკულუმის მეთოდში თემა და პროექტი, რაც თავისთავად მოიცავს როგორც დაწესებულებაში განხორციელებულ აქტივობებს, ასევე საგანმანათლებლო გარემოს გაფართოებას თემის სივრცეებში, თემის წარმომადგენელთა ჩართვაში, თანამშრომლობითი ღონისძიებების ორგანიზებაში.

აღნიშნული კურიკულუმი ითვალისწინებს ასაკისა და განვითარების შესაბამის საქმიანობებს, რაც ვლინება შემდეგში: კურიკულუმის მიხედვით აქტივობები იგეგმება ასაკობრივი და ინდივიდუალური თავისებურებების შესაბამისად. გათვალისწინებულია შერეული ასაკობრივი ჯგუფების საჭიროებები. უზრუნველყოფილია ბავშვების ინდივიდუალური ტემპით ჩართვის, გამოწვევების მიღებისა და წარმატების განცდის შესაძლებლობა.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

.......................................................................................................................................................................................................

.......................................................................................................................................................................................................

რჩევა

..........................................................................................................................................................................................

..........................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

..........................................................................................................................................................................................

..........................................................................................................................................................................................

## 6. კურიკულუმი გაზიარებულია დაწესებულების პერსონალთან და მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

კურიკულუმის შერჩევის, გაზიარების, შეფასებისა და განვითარების მარეგულირებელი წესის მიხედვით, დაწესებულება შერჩეულ კურიკულუმებს უზიარებს დაინტერესებულ მხარეებს. დაინტერესებულ მხარეებს წარმოადგენენ: დაწესებულების პერსონალი; თემი/მუნიციპალიტეტი; მშობლები და სხვა.

კურიკულუმი გაზიარებულია დაწესებულების პერსონალთან, რაც დასტურდება შესაბამისი ოქმით (კურიკულუმის პერსონალთან გაზიარების ოქმი N1; 26.03.2026).

აღნიშნულს, ინტერვიუს დროს ადასტურებს პერსონალი. საბავშვო ბაღის მენეჯერი და საგანმანათლებლო პერსონალი აღნიშნავენ ასევე, რომ უახლოეს პერიოდიში ისინი გეგმავენ კურიკულუმის მშობლებთან, ასევე თემთან გაზიარებას, რაც გაწერილი არის წარმოდგენილ საკომუნიკაციო გეგმაში, სექტემბრის თვეში.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

..........................................................................................................................................................................................

..........................................................................................................................................................................................

რჩევა

..........................................................................................................................................................................................

..........................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

..........................................................................................................................................................................................

საგანმანათლებლო პერსონალთან ინტერვიუდან ირკვევა, რომ დაწესებულება გეგმავს თემისა და მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების ჩართულობის წახალისებას კურიკულუმის ფარგლებში დაწესებულების შიგნით და გარეთ განხორციელებულ ღონისძიებებში. აღნიშნულისათვის განიხილება სხვადასხვა ფორმა, მათ შორის მშობლებისა და თემის წარმომადგენლების მოწვევა საგანმანათლებლო აქტივობებში ჩართულობის მიზნით, მათი ინიციატივების მხარდაჭერა და საგანმანათლებლო პროცესში შეტანილი წვლილის აღიარება.

წახალისების ფორმებად დაწესებულება განიხილავს მადლობის სერტიფიკატების გადაცემას, სიმბოლურ ჯილდოებს, საჯარო მადლობის გამოხატვას, ასევე ინფორმაციის განთავსებას საინფორმაციო დაფაზე ან დაწესებულების ვებგვერდზე. აღნიშნული მიდგომა ხელს შეუწყობს მშობლებისა და თემის წარმომადგენლების მოტივაციის გაზრდას და მათ უფრო აქტიურ ჩართულობას დაწესებულების საქმიანობაში.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

.......................................................................................................................................................................................................

.......................................................................................................................................................................................................

რჩევა

.......................................................................................................................................................................................................

.......................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.......................................................................................................................................................................................................

.......................................................................................................................................................................................................

## 3. დაწესებულება მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან და თემთან ურთიერთობისას იყენებს კომუნიკაციის მრავალფეროვან მეთოდებს და არხებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას იდენტიფიცირებული აქვს კომუნიკაციის მეთოდები და არხები (საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესი).

შერჩეული არხები არის მრავალფეროვანი: პირისპირ შეხვედრები; დისტანციური შეხვედრები ელექტრონული პლატფორმის/პლატფორმების გამოყენებით; მატერიალური კორესპონდენცია; საინფორმაციო დაფები; მოკლე ტექსტური შეტყობინებები; სატელეფონო ზარები; ელექტრონული ფოსტა; დაწესებულების სოციალური მედიის პლატფორმები; დახურული ჯგუფები (მე-4 მუხლის მეორე პუნქტი).

შერჩეულ არხებს დაწესებულება გამოიყენებს ოჯახთან და ასევე თემთან ურთიერთობისას.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

რჩევა

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

**დასტურდება (მტკიცებულებები):**
*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1. საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესი, დამტკიცებული გაერთიანების დირექტორის 10.04.2025 წლის N ბ42. 92251004 ბრძანებით.
2. *საკომუნიკაციო გეგმა;*

*ინტერვიუს შედეგები.*

| შეფასება: | | | |
|---|---|---|---|
| **3.1. თანამშრომლობის დაგეგმვა** | | | |
| შესაბამება ☒ | მეტწილად შესაბამება ☐ | ნაწილობრივ შესაბამება ☐ | არ შესაბამება ☐ |

## 3.2. თანამშრომლობის განხორციელება და შეფასება

### 3.2.1. დაწესებულება მიზნობრივად წარმართავს ოჯახთან და თემთან ურთიერთობას

## 1. დაწესებულება უზრუნველყოფს მშობელთა/კანონიერ წარმომადგენელთა ცნობიერების ამაღლებას სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით, მათ შორის, ბავშვთა უფლებების, ადრეული ასაკის ბავშვების ასაკობრივი თავისებურებებისა და განვითარების სპეციფიკასთან დაკავშირებით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

წარმოდგენილი საკომუნიკაციო გეგმის მიხედვით, დაწესებულება ითვალისწინებს ოჯახთან და თემთან თანამშრომლობას, რისთვისაც წინასწარ გეგმავს აქტივობებს (მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტი და მე-5 მუხლი). წარმოდგენილი გეგმა მოიცავს მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან კომუნიკაციისა და მათი ინფორმირების მიზნით დაგეგმილ აქტივობებს. კერძოდ, გეგმით გათვალისწინებულია ბაღში ტრანზიციის დაგეგმვის მიზნით მშობლებთან შეხვედრა, კურიკულუმის გაცნობა-განხილვა, ბავშვის შეფასების შედეგების გაცნობა, ასევე ტრენინგი ბავშვთა უფლებებისა და ბავშვთა განათლების საკითხებზე. აღნიშნული აქტივობები ადასტურებს, რომ დაწესებულება უზრუნველყოფს მშობელთა/კანონიერ წარმომადგენელთა ცნობიერების ამაღლებას ბავშვთა უფლებების, ბავშვის განათლებისა და განვითარების საკითხებთან დაკავშირებით.

ინტერვიუს დროს ირკვევა, რომ დაწესებულება, დოკუმენტით განსაზღვრული აქტივობების განხორციელების გზით, უზრუნველყოფს მშობელთა/კანონიერ წარმომადგენელთა ცნობიერების ამაღლებას სხვადასხვა მნიშვნელოვან საკითხთან დაკავშირებით. ოჯახთან ურთიერთობის პროცესში პასუხისმგებელი პირებისა და კომუნიკაციის პერიოდულობის განსაზღვრის საფუძველზე დაგეგმილია, რომ დაწესებულების მენეჯერი და საგანმანათლებლო პერსონალი სისტემატურად განახორციელებენ კომუნიკაციას მშობლებთან, მათ შორის, ბავშვთა უფლებების, ასაკობრივი თავისებურებებისა და განვითარების სპეციფიკის შესახებ ცნობიერების ამაღლების მიზნით.

გარდა ამისა, ადგილზე დათვალიერებით დგინდება, რომ ჯგუფებში და მშობელთა სივრცეში განთავსებულია საინფორმაციო დაფები, რომლებზეც გამოკრულია ზემოაღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაცია. აღნიშნული გარემოება წარმოადგენს მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან კომუნიკაციის დამატებით საშუალებას და ხელს უწყობს მათ ინფორმირებას ბავშვთა უფლებების, ასაკობრივი თავისებურებებისა და განვითარების სპეციფიკასთან დაკავშირებით.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

..................................................................................................................................................................................................................................

..................................................................................................................................................................................................................................

რჩევა

სასურველია დაწესებულებამ საკომუნიკაციო გეგმაში დამატებით დააკონკრეტოს მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან დაგეგმილი საინფორმაციო შეხვედრების თემატიკა, რათა უფრო მკაფიოდ წარმოჩნდეს ადრეული ასაკის ბავშვების ასაკობრივი თავისებურებებისა და განვითარების სპეციფიკის შესახებ მშობელთა ცნობიერების ამაღლების მიმართულება.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

## 2. მშობლები/კანონიერი წარმომადგენლები ინფორმირებული არიან ბავშვების შეფასების შედეგების შესახებ

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულება, საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წარმოდგენილი წესის, მიხედვით უზრუნველყოფს ბავშვის პროგრესის შეფასების შედეგების მშობლისთვის/კანონიერი წარმომადგენლისთვის გაცნობასა და განხილვას. დოკუმენტის თანახმად, ბავშვზე დაკვირვებისა და შეფასების პროცესის შემდგომ, შედეგების გაზიარება ხდება ინდივიდუალურად (მუხლი 9.).

საგანმანათლებლო პერსონალი ინტერვიუშიაღნიშნავს, რომ ინდივიდუალური შეხვედრები მშობლებთან დაეხმარებათ მათ, უკეთ გააცნონ ოჯახს ბავშვის განვითარებაში გამოვლენილი პროგრესი, ინტერესები ან საჭიროებები და ერთად განსაზღვრონ შემდგომი მხარდაჭერის გზები.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

რჩევა

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

## 3. დაწესებულება იყენებს თემში არსებულ რესურსებს კურიკულუმით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელებისას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების მიერ შერჩეული კურიკულუმი - ადრეული განათლების კურიკულუმი „თამაში“, მეთოდური სახელმძღვანელო 2-დან 6 წლამდე ასაკობრივი ჯგუფებისთვის - ითვალისწინებს ოჯახთან და თემთან კომუნიკაციას. დაწესებულების პერსონალთან ინტერვიუ ადასტურებს, რომ ბაღი გეგმავს ადგილობრივ რესურსებზე დაყრდნობით სწავლებისა და აღზრდის პროცესის გამრავალფეროვნებასა და გაღრმავებას, რაც ემსახურება თემთან მჭიდრო თანამშრომლობის ხელშეწყობას და საგანმანათლებლო გარემოს გაფართოებას. ამ მიზნით დაწესებულებას იდენტიფიცირებული აქვს თემში არსებული სხვადასხვა რესურსი (რასაც ინტერვიუს დროს ასახელებენ), მათ შორის: ბიბლიოთეკა, სკოლა, ამბულატორია, პოლიცია, მუზეუმი, თევზსაჭერი, სტადიონი, მუნიციპალური ტრანსპორტი, ტყე-პარკი, საცხობი/რესტორანი, სამკერვალო, სახანძრო სამსახური, სასწრაფო სამედიცინო დახმარება, მოქალაქეთა მომსახურების ბიურო და სასაზღვრო გამშვები პუნქტი. აღნიშნული რესურსების გამოყენება ხელს შეუწყობს კურიკულუმით გათვალისწინებული აქტივობების პრაქტიკულ, მრავალფეროვან და თემთან დაკავშირებულ გარემოში განხორციელებას.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

........................................................................................................................................................................................................

........................................................................................................................................................................................................

რჩევა

........................................................................................................................................................................................................

........................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

........................................................................................................................................................................................................

........................................................................................................................................................................................................

## 4. დაწესებულება აფასებს ოჯახთან/თემთან განხორციელებულ აქტივობებს და საჭიროების შემთხვევაში, ახორციელებს შესაბამის ცვლილებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულება, წარმოდგენილი საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესის მიხედვით, გეგმავს ოჯახთან/თემთან განხორციელებული აქტივობების შეფასებას შემდეგი საშუალებებით: კითხვარები; შენიშვნების/წინადადების ყუთი; ღია შეხვედრები; სოციალური მედიის მონიტორინგი; სამიზნე აუდიტორიისგან უკუკავშირის მიღების სიჩქარის შემოწმება.

ამ ეტაპზე ცვლილება ჯერ არ განხორციელებულა, თუმცა ინტერვიუებიდან იკვეთება (ასევე გაწერილია მექანიზმში) დაწესებულება გეგმავს განახორციელოს ცვლილებები მშობელთა უკუკავშირისა და შეფასების შედეგებზე დაყრდნობით. ცვლილებების განხორციელება დაგეგმილია

უახლოეს გეგმიურ ციკლში (შემდგომი გრძელვადიანი დაგეგმვის ეტაპზე), რაც მეთოდოლოგიის მიხედვით სრულად შეესაბამება შეფასების ციკლის პრინციპებს.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

........................................................................................................................................................................................................

........................................................................................................................................................................................................

რჩევა

........................................................................................................................................................................................................

........................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

........................................................................................................................................................................................................

........................................................................................................................................................................................................

**დასტურდება (მტკიცებულებები):**
*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1. საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესი, დამტკიცებული გაერთიანების დირექტორის 10.04.2025 წლის N ბ42. 92251004 ბრძანებით;
2. *საგანმანათლებო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი, დამტკიცებული გაერთიანების დირექტორის 10.04.2025 წლის N ბ42. 92251003 ბრძანებით;*
3. *საკომუნიკაციო გეგმა;*
4. *ინტერვიუს შედეგები.*

| შეფასება: | | | |
|---|---|---|---|
| **3.2. თანამშრომლობის განხორციელება და შეფასება** | | | |
| შეესაბამება ☒ | მეტწილად შეესაბამება ☐ | ნაწილობრივ შეესაბამება ☐ | არ შეესაბამება ☐ |

# 4. სააღმზრდელო და საგანმანათლებლო პროცესის მხარდაჭერა[4]

## 4.1. პერსონალის მართვა და განვითარება

### 4.1.1. დაწესებულების ორგანიზაციული მოწყობა და პერსონალის კვალიფიკაცია უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

#### 1. დაწესებულება დაკომპლექტებულია პერსონალით, რომელიც უზრუნველყოფს დაწესებულების მდგრად ფუნქციონირებას და ითვალისწინებს ბავშვთა ინდივიდუალურ საჭიროებებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების მმართველობითი, ძირითადი და ძირითადი და დამხმარე პროცესები გადანაწილებულია არსებულ თანამშრომლებზე იმგვარად, რომ ყველა პროცესს ყავს პასუხისმგებელი პირი. დაწესებულებამ წარმოადგინა ორგანოგრამა, შინაგანაწესი და საშტატო ნუსხა, დაწესებულებას ჰყავს შემდეგი პერსონალი: მენეჯერი, 3 აღმზრდელი, 4 აღმზრდელის თანაშემწე, ექთანი, მუსიკის მასწავლებელი, მზარეული, მზარეულის დამხმარე, დაცვისა და გამწვანების სპეციალისტი.

დაწესებულებაში არის 3 ჯგუფი, ავტორიზაციის განაცხადით დაწესებულება ითხოვს ბავშვთა ზღვრულ რაოდენობას - 75 ბავშვის ოდენობით. 3 აღმზრდელი ვერ აკმაყოფილებს აღმზრდელის ბავშვებთან თანაფარდობას რომელიც დადგენილია საქართველოს კანონით "ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ". მოცემული კანონის 22-ე მუხლის თანახმად თითოეულ ჯგუფში აღმზრდელ-პედაგოგების/აღმზრდელების რაოდენობა უნდა განისაზღვროს შემდეგი თანაფარდობით:

- *2-დან 3 წლამდე ბავშვების ჯგუფში აღმზრდელ-პედაგოგების/აღმზრდელების ბავშვებთან თანაფარდობა არ უნდა იყოს 1:13-ზე მეტი;*
- *3-დან 4 წლამდე ბავშვების ჯგუფში აღმზრდელ-პედაგოგების/აღმზრდელების ბავშვებთან თანაფარდობა არ უნდა იყოს 1:15-ზე მეტი;*
- *4-დან 5 წლამდე ბავშვების ჯგუფში აღმზრდელ-პედაგოგების/აღმზრდელების ბავშვებთან თანაფარდობა არ უნდა იყოს 1:15-ზე მეტი;*
- *სასკოლო მზაობის პროგრამის ჯგუფში აღმზრდელ-პედაგოგების/აღმზრდელების ბავშვებთან თანაფარდობა არ უნდა იყოს 1:15-ზე მეტი.*

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.**

რეკომენდაცია

[4] აღნიშნული სტანდარტის შეფასებისას გაითვალისწინეთ დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თითოეული პროგრამის სახის/კურიკულუმის სპეციფიკა და დამატებით წარმოადგინეთ მათი შეფასების შესახებ ინფორმაცია (ასეთი საჭიროების შემთხვევაში).

დაწესებულებამ უზრუნველყოს აღმზრდელის ბავშვებთან თანაფარდობა საქართველოს კანონდებლობით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად

რჩევა

..................................................................................................................................................................................................................................................

..................................................................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია და შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა მოცემული ხარვეზების გამოსწორებისთვის, რომელიც გაწერილია 12 თვეზე (6/12/2026 – 6/12/2027). ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება წარმოდგენილ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმას. **ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.**

## 2. დაწესებულების სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას გაერთიანების დირექტორის 11/07/2023 წლის Nბ42.9223192001 ბრძანებით დამტკივებული აქვს შინაგანაწესი, აღნიშნული დოკუმენტი წარმოადგენს დაწესებულების საქმიანობის მარეგულირებელ ერთ-ერთ ძირითად სამართლებრივ საფუძველს და უზრუნველყოფს თანამშრომელთა ფუნქციური პასუხისმგებლობების მკაფიო განსაზღვრას.

ამასთანავე, თითოეულ პოზიციასა და სტრუქტურულ ერთეულში დასაქმებული პირის უფლება-მოვალეობები დეტალურად არის გაწერილი როგორც შრომით ხელშეკრულებებში, ისე თანამშრომელთა უფლება-მოვალეობების დოკუმენტში, რომელიც დამტკიცებულია გაერთიანების დირექტორის 2024 წლის 15 იანვრის №ბ42.92240123 ბრძანებით. წარმოდგენილ დოკუმენტაციაში მკაფიოდ იკითხება დაწესებულების სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები, პასუხისმგებლობები და საქმიანობის სფეროები. ფუნქცია-მოვალეობები განსაზღვრულია დეტალურად და კონკრეტულად, რაც ხელს უწყობს სამუშაო პროცესის ეფექტიან ორგანიზებას, პასუხისმგებლობების სწორ განაწილებასა და თანამშრომელთა საქმიანობის ანგარიშვალდებულების უზრუნველყოფას.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

.....................................................................................................................................................................................................................

.....................................................................................................................................................................................................................

რჩევა

.....................................................................................................................................................................................................................

.....................................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....................................................................................................................................................................................................................

.....................................................................................................................................................................................................................

### 3. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებაში არ არის შემუშავებული და დამტკიცებული პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნების მარეგულირებელი დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავდა სხვადასხვა პოზიციაზე დასაქმებული თანამშრომლებისათვის აუცილებელ განათლებას, პროფესიულ გამოცდილებას, კომპეტენციებსა და სხვა საკვალიფიკაციო კრიტერიუმებს. ამასთანავე, ანალოგიური შინაარსის დოკუმენტი არ არის შემუშავებული არც ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის დონეზე.

ასევე, პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან დაკავშირებული ინფორმაცია არ იკითხება დაწესებულების სხვა შიდა მარეგულირებელ, მეთოდოლოგიურ ან ორგანიზაციულ დოკუმენტებში. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის ფარგლებში არ არის განსაზღვრული კონკრეტული სტანდარტები, რომელთა საფუძველზეც შესაძლებელი იქნებოდა პერსონალის კვალიფიკაციის შესაბამისობის შეფასება.

აღნიშნულიდან გამომდინარე ვერ დგინდება პერსონალის კვალიფიკაცია არის თუ არა შესაბამისი დადგენილ მოთხოვნებთან.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.**

რეკომენდაცია

დაწესებულებამ უზრუნველყოს პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნების განსაზღვრა.

რჩევა

საკვალიფიკაციო მოთხოვნების განსაზღვრა შესაძლებელია განხორციელდეს მუნიციპალიტეტის დონეზე, რომელზე დაყრდონობითაც იხელმძღვანელებს დაწესებულება ახალი კადრების შერჩევის დროს. ასევე, შესაძლებელია გაერთიანებამ შეიმუშაოს შესაბამისი დოკუმენტი.

### არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია და შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა მოცემული ხარვეზების გამოსწორებისთვის, რომელიც გაწერილია 12 თვეზე (6/12/2026 – 6/12/2027). ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება წარმოდგენილ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმას. **ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.**

## 4. ბავშვთან მომუშავე საგანმანათლებლო პერსონალს აქვს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის კომპეტენცია

### ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას შემუშავებული და გაერთიანების დირექტორის 2025 წლის 14 აპრილის N42. 9225104001 ბრძანებით დამტკიცებული აქვს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის წესი. რომელიც განსაზღვრავს პირველადი დახმარების გაწევის მექანიზმებს, პროცედურებსა და მოქმედების ეტაპებს გადაუდებელ სიტუაციებში. აღნიშნული დოკუმენტი უზრუნველყოფს ერთიანი სტანდარტის ჩამოყალიბებას პირველადი დახმარების პროცესში და ემსახურება ბავშვთა უსაფრთხოების დაცვის გაძლიერებას. ექსპერტთა ჯგუფის მიერ ჩატარებული ინტერვიუს შედეგად დადგინდა, რომ დაწესებულების პერსონალი იცნობს და საჭიროების შემთხვევაში იხელმძღვანელებს აღნიშნული წესით განსაზღვრული მოთხოვნებით.

ამასთან, დაწესებულების საგანმანათლებლო პერსონალს გავლილი აქვს პირველადი გადაუდებელი დახმარების შესაბამისი ტრენინგები, რაც მნიშვნელოვნად უწყობს ხელს მათი პროფესიული კომპეტენციისა და საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების მზაობის ამაღლებას. აღნიშნული კომპეტენციები დასტურდება წარმოდგენილი სერტიფიკატებით.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

### რეკომენდაცია

............................................................................................................................................................................................................................

............................................................................................................................................................................................................................

### რჩევა

სასურველია დაწესებულებამ პირველადი გადაუდებელი დახმარების მიმართულებით თანამშრომლების გადამზადება განახორციელოს პერიოდულად და სისტემატურად, რათა უზრუნველყოფილი იყოს მათი ცოდნისა და პრაქტიკული უნარების მუდმივი განახლება. აღნიშნული

ხელს შეუწყობს პერსონალის კომპეტენციების გაძლიერებას, თანამედროვე მიდგომების ათვისებას და გადაუდებელ სიტუაციებზე ეფექტური რეაგირების უნარების გაუმჯობესებას.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

..................................................................................................................................................................................................................

..................................................................................................................................................................................................................

### 4.1.2. დაწესებულებაში მოქმედებს პერსონალის მართვის მექანიზმი

### 1. დაწესებულებაში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი წესების, მათ შორის, შინაგანაწესის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას შემუშავებული და გაერთიანების დირექტორის 2025 წლის 10 აპრილის №ბ42.922510011 ბრძანებით დამტკიცებული აქვს პერსონალის მართვის მარეგულირებელი წესი. ასევე, გაერთიანების დირექტორის 11/07/2023 წლის №ბ42.9223192001 ბრძანებით დამტკიცებულია შინაგანაწესი. პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტის მე-5 მუხლის თანახმად ადამიანური რესურსის სწორი მართვა გულისხმობს იმგვარი სამუშაო გარემოს შექმნას, სადაც თითეულ თანამშრომელს ეძლევა საკუთარი პოტენციალის და პირადი მისწრაფებების რეალიზების შესაძლებლობა დაწესებულების მიზნების მიღწევის პროცესში. ხოლო შინაგანაწესი მოიცავს ინფორმაციას პერსონალის წახალისებისა და დისციპლინური ღონისძიებების, სამუშაო, შესვენების და დასვენების დროის, შვებულების, სამსახურებრივი ქცევის სტანდარტების, თანამშრომელთა უფლება მოვალეობების, შრომით ურთიერთობებთან დაკავშირებული სხვა საკითხების შესახებ.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

..................................................................................................................................................................................................................

..................................................................................................................................................................................................................

რჩევა

..................................................................................................................................................................................................................

..................................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………
………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

## 2. აღმზრდელ პედაგოგთან/აღმზრდელთან გაფორმებული ხელშეკრულება მოიცავს სამუშაო დროის განმავლობაში ჯგუფთან საკონტაქტო და არასაკონტაქტო საათებს და მათ ფარგლებში განსახორციელებელ საქმიანობებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებამ წარმოადგინა აღმზრდელთან გაფორმებული ხელშეკრულების ნიმუში, რომელიც არ მოიცავს სამუშაო დროის განმავლობაში ჯგუფთან საკონტაქტო და არასაკონტაქტო საათებს და მათ ფარგლებში განსახორციელებელი საქმიანობების ჩამონათვალს. აღნიშნულ საკითხზე დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, მოცემული საკითხის 24 თვის ვადაში შესრულების გეგმით (2/27/2026 - 2/27/2028).

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა ნაწილობრივ დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

დაწესებულებამ უზრუნველყოს აღმზრდელ პედაგოგთან/აღმზრდელთან ხეკშეკრულებაში საკონტაქტო და არასაკონტაქტო საათების და მათ ფარგლებში განსახორციელებელი საქმიანობების განსაზღვრა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის მიხედვით 24 თვის ვადაში (2/27/2026 - 2/27/2028).

რჩევა

………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………
………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია და განახლებული შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა რომელიც ითვალისწინებს ხარვეზების გამოსწორებას 24 თვის ვადაში (6/12/2026 – 6/12/2028). ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება წარმოდგენილ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმას. **ინდიკატორის მოთხოვნა ნაწილობრივ დაკმაყოფილებულია.**

## 3. პერსონალის შერჩევის/დანიშვნის პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტის მე-8 მუხლის თანახმად დაწესებულებაში თანამშრომელთა შერჩევა ხორციელდება ობიექტურობისა და გამჭვირვალობის პრინციპებზე დაყრდნობით. პერსონალის შერჩევის პროცესი არის მკაფიო, თანმიმდევრული და გამჭვირვალე პროცედურა, რომელიც უზრუნველყოფს კვალიფიციური და შესაბამისი კადრების მოზიდვას და შერჩევას. მე-9 მუხლის თანახმად პირი დაწესებულების პერსონალის ვაკანტურ პოზიციაზე ინიშნება პირდაპირი დანიშვნის გზით ან კონკურსის(ღია/დახურული) საფუძველზე. ღია კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვს ნებისმიერ დაინტერესებულ პირს. ღია კონკურსის გამოცხადების შესახებ ინფორმაცია ქვეყნდება საჯაროდ, ინტერნეტ სივრცეში. არსებულ დასაქმების ვებგვერდზე, ხოლო განცხადების შიდა კონკურსის შესახებ ქვეყნდება დაწესებულები თანამშრომლებისათვის ხელმისაწვდომ ადგილას. იქმნება შესაბამისი კომისია, რომლის მიერ კანდიდატის შეფასების დასაფუთებული შედეგი აისახება კომისიის სხდომის ოქმში. მოცემული პროცედურები უზრუნველყოფს დასაქმებისას ობიექტურობისა და გამჭვირვალობის პრინციპების დაცვას.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

რჩევა

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

## 4. დაწესებულება უზრუნველყოფს ახალი თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტის მიხედვით ახალი კადრის დაწესებულებაში წარმატებული ადაპტაციის პროცესი მნიშვნელოვანია, რათა შერჩეულმა პირმა შეძლოს საკუთარი ცოდნისა და უნარების სრულად გამოვლენა. ამავე დოკუმენტის მე-18 მუხლის თანახმად ახალი თანამშრომლის ადაპტაციის მექანიზმებია: ახალი თანამშრომლისთვის ორგანიზაციის მისიის, ღირებულებების, ისტორიის, სტრუქტურის გაცნობა; ახალი თანამშრომლის გაცნობა გუნდის წევრებისთვის; ტრენინგების/სასწვლო კურსების უზრუნველყოფა; მიზნების, მოლოდინების და შეფასების კრიტერიუმების განსაზღვრა/გარკვევა; საჭირო რესურსებზე აღჭურვილობა, პროგრამულ უზრუნველყოფაზე ახალი

თანამშრომლის წვდომის უზრუნველყოფა; შინაგანაწესის გაცნობა; პოზიციისთვის შემუშავებული სამუშო აღწერილობი, უსაფრთხოების წესებისა და დაწესებულებაში არსებული სხვა ადმინისტრაციული პროცედურების შესახებ ახალი თანამშრომლის ინფორმირება; მენტორინგის სისტემა - გამოცდილი თანამშრომელი უზიარებს ახალ თანამშრომელს საკუთარ ცოდნას და გამოცდილებას და ეხმარება მას სწრაფად ადაპტირდეს დაწესებულებაში. მოცემული მექანიზმები უზრუნველყოფს ახალი თანამშრომლის ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

........................................................................................................................................................................................................

........................................................................................................................................................................................................

რჩევა

........................................................................................................................................................................................................

........................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

........................................................................................................................................................................................................

........................................................................................................................................................................................................

## 5. დაწესებულებაში მოქმედი ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება თანამშრომლობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებაში მოქმედი კულტურა ეფუძნება თანამშრომლობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს. გუნდურობის მნიშვნელობა აღნიშნულია მისია/ხედვა/ღირებულებების დოკუმენტში როგორც დაწესებულების საქმიანობის ერთ-ერთი მთავარი ღირებულებება. შინაგანაწესის მე-6 მუხლის თანახმად ყველა თანამშრომელი ვალდებულია შეინარჩუნოს კეთილგონივრული და კოლეგიალური ურთიერთობა დანარჩენ თანამშრომლებთან. პერსონალი ჩართულია გუნდურად კურიკულუმის შერჩევაში, მისი შესაბამისი გრძელვადიანი თუ მოკლევადიანი გეგმების შემუშავებასა და განხორციელებაში. დაწესებულების მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავებაში. შენობა–ნაგებობების მოვლა–პატრონობასა თუ საგანმანათლებლო რესურსის შერჩევაში. სანიტარია–ჰიგიენის დაცვასა და ბავშვების კვებით უზრუნველყოფაში.

ექსპერტთა ჯგუფის ინტერვიუს დროს დადგინდა, რომ პერსონალი მუდმივ კოორდინაციაშია ერთმანეთთან, იცნობენ ერთმანეთის უფლება-მოვალეობებს, აქვთ რეგულარული საერთო და ინდივიდუალური შეხვედრები ინფორმაციის და გამოცდილების გაზიარების მიზნით.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………

რჩევა

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………

## 4.1.3. დაწესებულება ზრუნავს პერსონალის უწყვეტ პროფესიულ განვითარებაზე

### 1. დაწესებულება უზრუნველყოფს პროფესიული განვითარების მიზნით პერსონალის საქმიანობის შეფასებას და საჭიროებათა მოკვლევას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

პერსონალის მართვის მარეგულირებული დოკუმენტის მე-19 მუხლის თანახმად დაწესებულება სისტემატურად აწარმოებს პერსონალის მიერ შესრულებული სამუშაოს შეფასებას და საჭიროებათა მოკვლევას. შეფასების შედეგების ანალიზის საფუძველზე დაწესებულება გეგმავს და ახორციელებს პერსონალის განვითარების პროცესს. დაწესებულების შეფასების სისტემა ითვალისწინებს შემდეგი ასპექტების შეფასებას: უნარები; დაკისრებული ფუნქციების შესრულების ხარისხი; რესურსები და ინსტრუმენტები; სამუშაო გარემო; კარიერული განვითარება; ფსიქიკური და ფიზიკური ჯანმრთელობა. საჭიროებათ მოკვლევა ხორციელდება შემდეგი მეთოდების გამოყენებით: კითხვარი; შეფასება უშუალო ხელმძღვანელის მიერ; გასაუბრება. შეფასების და საჭიროებათა მოკვლევის პროცესის ძირითადი ეტაპებია; დაგეგმვა; შეფასების/საჭიროებათ მოკვლევის განხორციელება; შედეგების ანალიზი.

აღნიშნულიდან გამომდინარე დასტურდება, რომ დაწესებულებაში არსებობს თანამშრომელთა მუშაობის სისტემური შეფასება და მათი საჭიროებების გამოვლენა, რაც გამოიყენება პროფესიული განვითარების დაგეგმვისთვის. პროცესი ეფუძნება სხვადასხვა შეფასებით ინსტრუმენტს, მიღებული მონაცემების ანალიზის შედეგად ხდება პერსონალის განვითარებაზე მიმართული ღონისძიებების განსაზღვრა და განხორციელება, რაც ადასტურებს დაწესებულების მიზნობრივ მიდგომას თანამშრომელთა განვითარებაზე.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

..........................................................................................................................................................................................................................

..........................................................................................................................................................................................................................

რჩევა

..........................................................................................................................................................................................................................

..........................................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

..........................................................................................................................................................................................................................

..........................................................................................................................................................................................................................

## 2. პერსონალის განვითარება ხორციელდება დაწესებულების მიერ გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად შემუშავებული გეგმის მიხედვით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტის თანახმად, პერსონალის მიზნობრივი პროფესიული განვითარების დაგეგმვისა და განხორციელებისას დაწესებულება თანამშრომლებს სთავაზობს პროფესიული განვითარების მრავალფეროვან მეთოდებს, როგორც დაწესებულების ბაზაზე, ასევე გარედან შემოთავაზებული სერვისებით.

დაწესებულებაში პერსონალის განვითარება ხდება წინასწარ დაგეგმილი პროცესის საფუძველზე, სადაც გათვალისწინებულია გამოვლენილი საჭიროებები. განვითარება არ არის შემთხვევითი ან ერთჯერადი აქტივობა ის უკავშირდება როგორც შიდა, ისე გარე პროფესიული განვითარების შესაძლებლობებს და აისახება დაწესებულების ერთწლიან სამოქმედო გეგმაში, სადაც ასევე განსაზღვრულია შესაბამისი აქტივობები და რესურსები

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

..........................................................................................................................................................................................................................

..........................................................................................................................................................................................................................

რჩევა

..........................................................................................................................................................................................................................

..........................................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

..........................................................................................................................................................................................................................

..........................................................................................................................................................................................................................

## 3. დაწესებულება ხელს უწყობს პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებულ ინიციატივებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები წახალისებულია დაწესებულების მიერ. ინიციატივები შესაძლოა გამოიკვეთოს პერსონალის საჭიროების კვლევის შედეგად, ასევე ზეპირსიტყვიერად/წერილობით პერსონალის მხრიდან. პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტის მე-20 მუხლის თანახმად დაწესებულებას აქვს პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციტივების დაფიქსირებისა და მათი წახალისების მექანიზმი, რაც გამოიხატება პირდაპირი შეხვედრების ფორმატში გაჟღერებული საჭიროებების მხარდაჭერით; მოტივირებული თანამშრომლებისთვის სხვადასხვა ტრენინგ კურსის დაფინანსებით და სხვა.

თანამშრომელთა საჭიროებებისა და წინადადებების დაფიქსირების სხვადასხვა გზის არსებობა და მათზე რეაგირება მიუთითებს, რომ ინიციატივები არამხოლოდ განიხილება, არამედ პრაქტიკულადაც ხორციელდება მხარდაჭერის მექანიზმებით, მათ შორის პროფესიული გადამზადების შესაძლებლობებითა და სხვა განვითარების აქტივობებით.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

..........................................................................................................................................................................................................................

..........................................................................................................................................................................................................................

რჩევა

..........................................................................................................................................................................................................................

..........................................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

..........................................................................................................................................................................................................................

..........................................................................................................................................................................................................................

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

*1. ორგანოგრამა*
*2. შინაგანაწესი, დამტკიცებული გაერთიანების დირექტორის 11/07/2023 წლის №ბ42.9223192001 ბრძანებით*
*3. საშტატო ნუსხა*
*4. პერსონალის მართვის მარეგულირებელი წესი. დამტკიცებული გაერთიანების დირექტორის 2025 წლის 10 აპრილის №ბ42.922510011 ბრძანებით*
*5. პირველადი გადაუდებელი დახმარების წესი, დამტკიცებული გაერთიანების დირექტორის 2025 წლის 14 აპრილის N42. 9225104001 ბრძანებით*
*6. პერსონალის პირადი საქმეები*
*7. აღმზრდელ პედაგოგთან/აღმზრელთან გაფორმებული ხელშეკრულების ნიმუში*
*8. სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების თანამშრომელთა უფლება - მოვალეობების დოკუმენტი, დამტკიცებული 2024 წლის 15 იანვრის №ბ42.92240123 ბრძანებით.*
*9. პირველადი გადაუდებელი დახმარების სერტიფიკატები*
*10. ექსპერტთა ჯგუფის ინტერვიუ*

| შეფასება: | | | |
|---|---|---|---|
| **4.1. პერსონალის მართვა და განვითარება** | | | |
| შესაბამება ☐ | მეტწილად შეესაბამება ☐ | ნაწილობრივ შეესაბამება ☒ | არ შეესაბამება ☐ |

## 4.2. პროცესების მართვა

## 4.2.1. დაწესებულების საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას

### 1. დაწესებულებას იდენტიფიცირებული და აღწერილი აქვს მმართველობითი, ძირითადი და დამხარე პროცესები

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

პროცესის აღმწერები და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი. მოცემული რეგულაციის თანახმად დაწესებულებაში პროცესები იყოფა მმართველობით, ძირითად და დამხმარე პროცესებად.

მმართველობით პროცესებს მიეკუთვნება:

- სტრატეგიული დაგეგმვა;

- ხარისხის უზრუნველყოფა.

ძირითად პროცესებს მიეკუთვნება:

- კურიკულუმის შერჩევა/შემუშავება, განხორციელება, შეფასება და განვითარება;
- საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვა და განხორციელება;
- ბავშვების რაოდენობის მართვა (რეგისტრაცია, ჩარიცხვა, ამორიცხვა);
- სსსმ ბავშვების მომსახურება; ოჯახთან და თემთან ურთიერთობა.

დამხმარე პროცესებად მოიაზრება:

- ადამიანური რესურსების მართვა;
- მატერიალური რესურსის მართვა;
- საქმისწარმოება (დოკუმენტბრუნვა);
- პერსონალის და ბავშვების ფიზიკური და ემოციური უსაფრთხოების დაცვა;
- ფინანსური რესურსების მართვა;
- სანიტარულ-ჰიგიენური პროცესების მართვა;
- ბავშვთა კვების უზრუნველყოფის პროცესის მართვა;
- სხვა სერვისები (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

დაწესებულებაში საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას, დაწესებულებას აღწერილი და იდენტიფიცირებული აქვს განსახორციელებელი საქმიანობები. დაწესებულების მიერ შემუშავებული ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი განსაზღვრავს კონკრეტულ ნაბიჯებს, ეტაპებსა და ქმედებებს, რომლებიც უნდა შესრულდეს თანმიმდევრულად.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

რჩევა

………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………
………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

## 2. პროცესების მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებაში ხარისხის უზრუნველყოფის ციკლი ეფუძნება დემინგის “PDCA” სქემას. აღნიშნული სისტემა დაფუძნებულია თვითშეფასებაზე და გულისხმობს დაწესებულების ძლიერი და სუსტი მხარეების დადგენას მათი შემდგომი განვითარებისა და გაუმჯობესების მიზნით. უწყვეტი გაუმჯობესების სპირალი იძლევა შესაძლებლობას, რომ დაწესებულებაში შენარჩუნდეს მიღწევები და ამავდროულად განისაზღვროს გეგმა სუსტი მხარეების გასაუმჯობესებლად. დემინგის სისტემა შედგება რამდენიმე ეტაპისგან: დაგეგმვა, განხორციელება, შემოწმება; გადახედვა/გაუმჯობესება. დაწესებულებას ასევე იდენტიფიცირებული აქვს რისკ ფაქტორები და ხარისხის უზრუნველყოფის სამოქმედო გეგმა, შეფასების განხორციელება და რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგი.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………
………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

რჩევა

………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………
………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………
………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

## 3. დაწესებულებაში ბავშვის ჩარიცხვა და ამორიცხვა ხორციელდება დაწესებულების მიერ დადგენილი წესის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას შემუშავებული და გაერთიანების დირექტორის 2025 წლის 10 აპრილის №ბ42.92251005 ბრძანებით დამტკიცებული აქვს ბავშვების ჩარიცხვისა და ამორიცხვის მარეგულირებელი წესი. მოცემული წესი მოიცავს დაწესებულებაში ბავშვის ჩარიცხვა-ამორიცხვის პრინციპებს, ჩარიცხვა - ამორიცხვის პროცესის განხორციელების ფორმას, პერიოდულობას და ვადებს, ჩარიცხვის ეტაპებს და მათი განხორციელების წესს.

ბავშვის გადაყვანის, ამორიცხვის საკითხებს. მოცემული წესის მე-3 მუხლის თანახმად ბავშვების ჩარიცხვა ამორიცხვის პროცესის ადმინისტრირება უნდა მოხდეს გაერთიანების მხრიდან მატერიალური ფორმით, ნაბეჭდი ფორმების/განცხადებების გამოყენების გზით. შევსებული განაცხადების მიღება ხდება როგორც ადგილზე გაერთიანებაში ფიზიკურად მისვლით ასევე, ელექტრონული გზავნილის სახით. დაწესებულებაში ბავშვების ჩარიცხვა ხორციელდება შემდეგი ეტაპების გავლით: ბავშვების რეგისტრაცია; რეგისტრირებული ბავშვების ჩარიცხვა. ბავშვის ჩარიცხვა ხორციელდება გაერთიანების დირექტორის ბრძანებით.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

........................................................................................................................................................................................................................

........................................................................................................................................................................................................................

რჩევა

........................................................................................................................................................................................................................

........................................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

........................................................................................................................................................................................................................

........................................................................................................................................................................................................................

## 4. დაწესებულება აწარმოებს ბავშვებისა და პერსონალის პირად საქმეებს დადგენილი წესის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ბავშვების პირადი საქმეების წარმოებას შეეხება ბავშვის ჩარიცხვა - ამორიცხვის მარეგულირებელი წესი, რომელიც მოიცავს სავალდებულო წარმოსადგენი დოკუმენტების ჩამონათვალს რაც საჭიროა ბავშვის ჩარიცხვისთვის, მათ შორისაა: ბავშვის დაბადების მოწმობის ასლი, ჯანმრთელობის ცნობა; მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის წერილობითი ნებართვა/უარყოფა ბავშვისთვის ფოტო და ვიდეო გადაღებაზე/გამოქვეყნებაზე; მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის წერილობითი ნებართვა/უარყოფა ბავშვის დაწესებულების გარეთ გაყვანაზე (კურიკულუმის ფარგლებში დაგეგმილი აქტივობებისთვის); ინფორმაცია ბავშვის ქრონიკული დაავადების შესახებ, ასეთის არსებობის შემთხვევაში; ბავშვის სპეციალური საკვებისმიერი ალერგიების ან კვებითი აუტანლობის შესახებ; მშობლის (მშობლების)/კანონიერი წარმომადგენლის პირადობის მოწმობის ასლი და სხვა. ამავე რეგულაციის მე-10 მუხლის თანახმად პირადი საქმეების წარმოებაზე პასუხისმგებელი პირია გაერთიანების სტატისტიკოსი, რომელიც ვალდებულია "პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად დაამუშავოს შეგროვებული/მოპოვებული ბავშვის პერსონალური მონაცემები.

პერსონალის პირადი საქმეების წარმოებასთან დაკავშირებულ საკითხებს შეეხება შინაგანაწესი და ასევე, პერსონალის მართვის მარეგულირებელი წესის 22-ე მუხლი, რომელიც განსაზღვრავს დოკუმენტების ჩამონათვალს რაც უნდა ინახებოდეს პირად საქმეში. მათ შორის: რეზიუმე, განათლების დამადასტურებელი დოკუმენტების ასლები, ცნობები/სერტიფიკატები/სხვა დოკუმენტები, შრომით ურთიერთობასთან დაკავშირებული ბრძანებების და შრომითი ხელშეკრულებების ასლები და სხვა, ამავე რეგულაციის მიხედვით პირად საქმეში დოკუმენტები დაცულია არასანქცირებული წვდომისგან. პერსონალის პირადი საქმეების წარმოებაზე პასუხისმგებელი პირია გაერთიანების საქმისწარმოების სპეციალისტი.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

რჩევა

………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1. *პერსონალის პირადი საქმეები;*
2. *ბავშვების ჩარიცხვისა და ამორიცხვის მარეგულირებელი წესი, დამტკივებული გაერთიანების დირექტორის 2025 წლის 10 აპრილის №ბ42.92251005 ბრძანებით;*
3. *პროცესების აღმწერები და ხარისხის უზრუნველყოფა, დამტკიცებული გაერთიანების დირექტორის 2025 წლის 11 აპრილის №42.92251016 ბრძანებით.*

| შეფასება: | | | |
|---|---|---|---|
| **4.2 პროცესების მართვა** | | | |
| შეესაბამებ.ა ☒ | მეტწილად შეესაბამება ☐ | ნაწილობრივ შეესაბამება ☐ | არ შეესაბამება ☐ |

## 4.3. მატერიალური რესურსი

### 4.3.1. დაწესებულების მატერიალური რესურსი გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ ბავშვთა რაოდენობას

აღნიშნული კომპონენტის შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილია დანართში „4.3. კომპონენტით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასების კითხვარი“.

| შეფასება: | | | |
|---|---|---|---|
| **4.3 მატერიალური რესურსი** | | | |
| შეესაბამება ☐ | მეტწილად შეესაბამება ☐ | ნაწილობრივ შეესაბამება ☒ | არ შეესაბამება ☐ |

## 4.4. კვების ორგანიზება და კვებითი რაციონი

### 4.4.1. დაწესებულების მიერ შეთავაზებული კვების მომსახურება ხელს უწყობს ბავშვის ჯანმრთელობასა და განვითარებას

აღნიშნული კომპონენტის შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილია დანართში „4.4. კომპონენტით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასების კითხვარი“.

| შეფასება: | | | |
|---|---|---|---|
| **4.4 კვების ორგანიზება და კვებითი რაციონი** | | | |
| შეესაბამება ☐ | მეტწილად შეესაბამება ☒ | ნაწილობრივ შეესაბამება ☐ | არ შეესაბამება ☐ |

## 4.5. სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები

### 4.5.1 დაწესებულებაში დაცულია სანიტარული და ჰიგიენური ნორმები

აღნიშნული კომპონენტის შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილია დანართში „4.5. კომპონენტით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასების კითხვარი“.

| შეფასება: | | | |
|---|---|---|---|
| **4.5 სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები** | | | |
| შეესაბამება ☐ | მეტწილად შეესაბამება ☒ | ნაწილობრივ შეესაბამება ☐ | არ შეესაბამება ☐ |

## 4.6. ფიზიკური და ემოციური უსაფრთხოება

## 4.6.1. დაწესებულებაში დაცულია პერსონალის და ბავშვების ფიზიკური უსაფრთხოება

### 1. დაწესებულება უზრუნველყოფს დაწესებულების ტერიტორიაზე პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენას და საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას შემუშავებული და გაერთიანების დირექტორის 2025 წლის 14 აპრილის №ბ42.9225104001 ბრძანებით დამტკიცებული აქვს პირველადი სამედიცინო დახმარების წესი, რომელიც მოიცავს ინფორმაციას პირველადი დახმარების აღმოჩენის მექანიზმებისა და პროცედურების შესახებ. დოკუმენტში მკაფიოდ არის განსაზღვრული პასუხისმგებელი პირი - სამედიცინო პერსონალი. მსხალგორის საბავშვო ბაღის შემთხვევაში პასუხისმგებელი პირი არის ექთანი, რომელიც კოორდინაციას უწევს პირველადი დახმარების გაწევის პროცესს და უზრუნველყოფს შესაბამისი ღონისძიებების დროულ განხორციელებას. დაწესებულების საგანმანათლებლო პერსონალსა და ექთანს გავლილი აქვთ პირველადი გადაუდებელი დახმარების შესაბამისი ტრენინგები, რაც უზრუნველყოფს მათი კომპეტენციისა და მზადყოფნის მაღალ დონეს. დაწესებულებაში ფუნქციონირებს სამედიცინო სივრცე, რომელიც განკუთვნილია პირველადი სამედიცინო დახმარების გაწევისა და ჯანმრთელობის მდგომარეობის პირველადი შეფასებისთვის.

ამასთან, აღსანიშნავია, რომ დაწესებულებას ამ ეტაპზე არ აქვს შემუშავებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით წარმოდგენილია შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელიც ითვალისწინებს არსებული ხარვეზის აღმოფხვრასა და შესაბამისი დოკუმენტის შემუშავებას 12 თვის ვადაში (2/27/2026 - 2/27/2027).

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

დაწესებულებამ ჯეროვნად შეასრულოს შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა 12 თვის ვადაში (2/27/2026 - 2/27/2027). მნიშვნელოვანია დაწესებულებამ გაითვალისწინოს, რომ საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა უნდა ახდენდეს საგანგებო სიტუაციების იდენტიფიცირებას, განსაზღვრავდეს საგანგებო სიტუაციებში პასუხისმგებელ პირებს, მათი ქცევის წესებსა და პროცედურებს.

რეკომენდაცია

…………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

…………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

რჩევა

…………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

…………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია და განახლებული შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა მოცემული ხარვეზის გამოსწორების მიზნით, რომელიც გაწერილია 12 თვეზე (6/12/2026 – 6/12/2027). ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება წარმოდგენილ შესაბამისობის უზრუნველყოფის **გეგმას. ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.**

## 2. დაწესებულების ტერიტორიაზე არსებული მცენარეები არ წარმოადგენენ საფრთხეს ბავშვის და პერსონალის ჯანმრთელობისთვის

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების ტერიტორიაზე არის მცენარეული საფარი. დაწესებულებამ წარმოადგინა დოკუმენტი მცენარეთა დასახელებით და რაოდენობით. არსებული მონაცემებით ვერ დგინდება, რომ დაწესებულების ტერიტორიაზე არსებული მცენარეები არ წარმოადგენს საფრთხეს ბავშვებისა და პერსონალის ჯანმრთელობისთვის.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.**

რეკომენდაცია

დაწესებულებამ უზრუნველყოს მცენარეული საფარის უსაფრთხოება და შესაბამისი ინფორმაციის წარმოდგენა ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის დასადგენად.

რჩევა

სასურველია დაწესებულებამ აღრიცხოს მცენარეული საფარი ინვენტარიზაციის დოკუმენტში, აღწეროს მცენარეების რაოდენობა, სახეობები, ასევე, მათი მახასიათებლები, რაც მნიშვნელოვანია მათი უსაფრთხოების საკითხის შეფასებისთვის როგორიცაა ტოქსიკური, ალერგიული ან სხვა ტიპის ჩვენებები. მნიშვნელოვანია და სასურველია დაწესებულებამ გაითვალისწინოს რომ ინვენტარიზაციის დოკუმენტს ჰქონდეს შესაბამისი რეკვიზიტები, როგორიცაა ინვენტარიზაციის განხორციელების თარიღი და პასუხისმგებელი პირის ხელმოწერა. სასურველია ინვენტარიზაცია განხორციელდეს პერიოდულად მცენარეული საფარის განახლების დროს, შესაბამისი ცვლილებების ასახვის მიზნით.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია და შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა მოცემული ხარვეზების გამოსწორებისთვის, რომელიც გაწერილია 6 თვეზე (6/12/2026 – 12/12/2026). ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება წარმოდგენილ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმას. **ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.**

## 3. კურიკულუმის ფარგლებში დაწესებულების ტერიტორიიდან ბავშვების გაყვანისას დაცულია ბავშვების უსაფრთხოება და პროცესი ხორციელდება მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის წერილობითი ნებართვის საფუძველზე

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

კურიკულუმის ფარგლებში დაწესებულების ტერიტორიიდან ბავშვების გაყვანისას დაცულია ბავშვების უსაფრთხოება და პროცესი ხორციელდება მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის წერილობითი ნებართვის საფუძველზე. აღნიშნული დოკუმენტი წარმოადგენს აუცილებელ წინაპირობას ბავშვის ტერიტორიიდან გაყვანისთვის. დაწესებულებამ წარმოადგინა მოცემული წერილობითი თანხმობის ფორმა, რომელიც ხელმოწერილია მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის მიერ და მოიცავს ინფორმაციას ბავშვის ტერიტორიიდან გაყვანის მიზნობრიობის, განხორციელების დროის, პასუხისმგებელი პირების შესახებ, რომლებიც უზრუნველყოფენ პროცესის უსაფრთხო და ორგანიზებულ წარმართვას

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

............................................................................................................................................................................................................
............................................................................................................................................................................................................

რჩევა

სასურველია ბავშვის უსაფრთხოების დაცვის მიზნით დაწესებულებას განსაზღვრული ჰქონდეს ბავშვების ტერიტორიიდან გაყვანის წესები/პროცედურა.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.........................................................................................................................................................................................................................................

.........................................................................................................................................................................................................................................

## 4.6.2. დაწესებულებაში დაცულია ბავშვების ემოციური უსაფრთხოება

### 1. დაწესებულების გარემო თითოეული ბავშვისთვის პროგნოზირებადია-ბავშვები იცნობენ დღის განრიგს და აქვთ ინფორმაცია დღის განმავლობაში განსახორციელებელი აქტივობების შესახებ

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას შემუშავებული და წარმოდგენილი აქვს დღის განრიგი, რომელიც გამოკრულია ყველა ჯგუფურ ოთახში. დღის წესრიგი წარმოდგენილია როგორც ტექსტის სახით, ისე ვიზუალური გამოსახულებებით. ჯგუფურ ოთახში სივრცეებს აქვს ასევე მინიშნებები.

დაწესებულებაში უზრუნველყოფილია ბავშვებისთვის პროგნოზირებადი და სტრუქტურირებული გარემოს შექმნა. ჯგუფურ ოთახებში განთავსებული დღის განრიგი ბავშვისთვის აღქმადი ვიზუალური მინიშნებებით ბავშვებს მისცემს შესაძლებლობას წინასწარ იცოდნენ დღის განმავლობაში დაგეგმილი აქტივობები და მათი თანმიმდევრობა. ასევე, სივრცეების შესაბამისი ვიზუალური მონიშვნები ხელს შეუწყობს გარემოში მარტივ ორიენტაციასა და ყოველდღიური პროცესების უკეთესად აღქმას.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

.........................................................................................................................................................................................................................................

.........................................................................................................................................................................................................................................

რჩევა

.........................................................................................................................................................................................................................................

.........................................................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.......................................................................................................................................................................................................................................

.......................................................................................................................................................................................................................................

## 2. დაწესებულების პერსონალი იცნობს ბავშვის უფლებებს და იცავს მათ საქმიანობის წარმართვის პროცესში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულება მნიშვნელოვნად მიიჩნევს ბავშვის უფლებების დაცვას. დაწესებულების პერსონალის ხელშეკრულებებში განსაზღვრულია რომ პერსონალი ვალდებულია დაიცვას „ბავშვის უფლებათა კონვენციით" გარანტირებული ბავშვის უფლებები, უზრუნველყოს აღსაზრდელებს შორის არადისკრიმინაციული მიდგომა და დაიცვას ბავშვის უსაფრთხოებისათვის საჭირო წესები. ამასთან, დაწესებულების პერსონალი იცნობს ბავშვის უფლებებს და საქმიანობის განხორციელების პროცესში ხელმძღვანელობს აღნიშნული უფლებების დაცვის პრინციპებით. ექსპერტთა ჯგუფის ინტერვიუს შედეგების მიხედვით, დასტურდება, რომ თანამშრომლები ფლობენ შესაბამის ცოდნას ბავშვზე ძალადობის შემთხვევების იდენტიფიცირებისა და რეფერირების მექანიზმების შესახებ, ასევე აქვთ უნარი ამოიცნონ ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობის შესაძლო ნიშნები და იციან შესაბამისი რეაგირებისათვის მიმართვის პროცედურები და პასუხისმგებელი პირები.

დაწესებულების პერსონალმა ინტერვიუს ფარგლებში განმარტა, რომ ბავშვს გააჩნია თამაშის, თავისუფალი გამოხატვისა და არჩევანის უფლება, ასევე ჯანსაღ და უსაფრთხო გარემოში სწავლისა და განვითარების უფლება. აღნიშნული მიდგომები ასახავს ბავშვის უფლებებზე დაფუძნებულ ხედვას. დაწესებულების პერსონალს მიაჩნია რომ მნიშვნელოვანია ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვა, რაც გამოიხატება მრავალფეროვანი, მხარდამჭერი, მზრუნველი და კეთილგანწყობილი გარემოს შექმნაში, სადაც უზრუნველყოფილია ბავშვის უსაფრთხოება, განვითარება და ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინება.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

.......................................................................................................................................................................................................................................

.......................................................................................................................................................................................................................................

რჩევა

.......................................................................................................................................................................................................................................

.......................................................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.......................................................................................................................................................................................................................................

.......................................................................................................................................................................................................................................

## 3. დაწესებულებაში განსაზღვრულია პროცედურები ბავშვზე ძალადობის ეჭვის შემთხვევაში მოქმედებისთვის და იდენტიფიცირებულია რეფერირებაზე პასუხისმგებელი პირი

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას შემუშავებული და გაერთიანების დირექტორის 2025 წლის 10 აპრილის № ბ42.92251008 ბრძანებით დამტკიცებული აქვს ბავშვზე ძალადობის ეჭვის შემთხვევაში მარეგულირებელი წესი. ამასთანავე, დაწესებულებას შემუშავებული და გაერთიანების დირექტორის 2023 წლის 12 ივლისის Nბ42.92231932 ბრძანებით შექმნილი აქვს ბავშვთა მიმართ ძალადობის ფაქტზე რეაგირების ჯგუფი და მოცემული ჯგუფის მოქმედების ინსტრუქცია. ამავე ბრძანებით განსაზღვრულია რეფერირებაზე პასუხისმგებელი პირი, რომელიც არის გაერთიანების ხელმძღვანელი. ბავშვზე ძალადობის ფაქტზე ჯგუფის მოქმედების ინსტრუქცია მოიცავს ისეთ საკითხებს როგორიცაა: ძალადობის მსხვერპლი ბავშვის გამოვლენა, ბავშვის მდგომარეობის შეფასება, ბავშვზე ძალადობის შემთხვევაში „სოციალური მომსახურების სააგენტოს" ინფორმირება. ბავშვზე ძალადობის ფაქტზე რეაგირების ჯგუფის ყველანაირი მოქმედება. ძალადობაზე შეტყობინების ან სავარაუდო ეჭვის გაჩენის მომენტიდან სოციალური მომსახურების სააგენტოს შეტყობინებამდე, ფორმდება ოქმის სახით და თან ერთვის ბავშვთა დაცვის მიმართვის ბარათს.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

..........................................................................................................................................................................................

..........................................................................................................................................................................................

რჩევა

სასურველია ბავშვზე ძალადობის ეჭვის შემთხვევაში რეფერირებაზე პასუხისმგებელ პირს და რეაგირების ჯგუფის წევრებს გავლილი ჰქონდეთ შესაბამისი გადამზადება ბავშვზე ძალადობის საკითხებთან დაკავშირებით.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

..........................................................................................................................................................................................

..........................................................................................................................................................................................

## 4. დაწესებულება ხელს უწყობს ბავშვის გარემოსთან ადაპტაციას და ტრანზიციას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი, დამტკიცებული გაერთიანების დირექტორის 2026 წლის 10 აპრილის Nბ42.92251003 ბრძანებით, რომელიც ითვალისწინებს ტრანზიციის გამოყენებას

საგანმანათლებლო პროცესში. ტრანზიცია მოიცავს თამაშის ელემენტებს და აღქმულია თამაშის გაგრძელებად და არა მკვეთრ გადართვად. ბავშვს გარემოსთან ადაპტაციაში ეხმარება დღის განრიგი რომელიც გამოკრულია ჯგუფურ ოთახებში ბავშვისთვის აღქმადი ვიზუალური გამოსახულებებით, ასევე შენობის სივრცეში გადაადგილებას ხელს უწყობს მონიშვნები და ვიზუალური გამოსახულებები.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

........................................................................................................................................................................................................

........................................................................................................................................................................................................

რჩევა

........................................................................................................................................................................................................

........................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

........................................................................................................................................................................................................

........................................................................................................................................................................................................

## 5. დაწესებულება იცავს ბავშვისა და მისი ოჯახის შესახებ ინფორმაციის კონფიდენციალურობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ბავშვის ჩარიცხვა ამორიცხვის მარეგულირებელი წესის მე-10 მუხლის თანახმად ბავშვის პერსონალური მონაცემები უნდა დამუშავდეს "პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად. დაწესებულებას გაერთიანების დირექტორის 2024 წლის 04 ივნისის ბ42. 92241564 ბრძანებით განსაზღვრული ჰყავს პერსონალურ მონაცემთა დაცვაზე პასუხისმგებელი პირი.

დაწესებულებას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს თანამშრომელთა სამსახურებრივი უფლება-მოვალეობების დოკუმენტი გაერთიანების დირექტორის 11/07/2023 წლის Nბ42.9223192001 ბრძანებით. მოცემული დოკუმენტი მოიცავს კონფიდენციალურობის დაცვის ვალდებულებებს პერსონალისთვის. მაგალითად, აღმზრდელის სამუშაო აღწერილობა მოიცავას ჩანაწერს რომ არ გასცეს კონფიდენციალური ინფორმაცია, რომელიც ცნობილი გახდა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს. ასევე, აღმზრდელის თანაშემწის უფლება-მოვალეობებში განსაზღვრულია ვალდებულება რომ დაცული იქნას კონფიდენციალურად აღსაზრდელისა და მისი ოჯახის შესახებ ინფორმაცია.

ბავშვზე ძალადობის ეჭვის შემთხვევაში მარეგულირებელი წესის მე-6 მუხლი ასევე მოიცავს ინფორმაციის კონფიდენციალურობასთან დაკავშირებულ რეგულაციებს და განმარტავს, რომ ძალადობის მსხვერპლი ბავშვის ვინაობის, მისი ჯანმრთელობისა და ფსიქოლოგიური

მდგომარეობის შესახებ მიღებული ინფორმაცია კონფიდენციალურია და მისი გამჟღავნება ხორციელდება მხოლოდ რეფერირების პროცედურებში ჩართული სუბიექტების შესაბამის უფლებამოსილ თანამშრომლებს შორის სამსახურებრივი საქმიანობის შესრულების მიზნით. კონფიდენციალურობა ასევე გათვალისწინებულია ბავშვზე ძალადობის ეჭვის გადამოწმების ეტაპზე, გასაუბრების, მათ შორის, ბავშვთან გასაუბრების, დროს და აღნიშნული არ უნდა განხორციელდეს სხვა ბავშვების ან იმ პირთა თანდასწრებით, რომელთა ადგილზე ყოფნის აუცილებლობა არ იკვეთება რეფერალის ფარგლებში.

ამასთანავე, ექსპერტთა ჯგუფის ადგილზე ვიზიტისას ჩატარებული ინტერვიუბით დადგინდა რომ დაწესებულების პერსონალს მიაჩნია, რომ ბავშვთან და მის ოჯახთან დაკავშირებული ინფორმაციის გაჟღერება არ არის მიზანშეწონილი რომ მოხდეს საჯარო შეხვედრებზე, არ უნდა გაზიარდეს საერთო საკომუნიკაციო არხებით. პერსონალი თვლის რომ ოჯახის და ბავშვის შესახებ ინფორმაციის გაჟღერება უნდა მოხდეს ინდივიდუალურად, მხოლოდ მშობელთან შეთანხმებით. პერსონალს თვლის რომ მშობელთან ინდივიდუალური კომუნიკაცია პირისპირ ან დისტანციურად საუკეთესო გზაა ბავშვთან დაკავშირებული საკითხების განხილვისთვის.

ზემო აღნიშნულიდან იკვეთება რომ დაწესებულებაში მოქმედებს როგორც კანონმდებლობით, ისე შიდა რეგულაციებით განსაზღვრული კონფიდენციალურობის დაცვის მექანიზმები. ბავშვისა და მისი ოჯახის შესახებ ინფორმაცია დამუშავდება დაცული წესების შესაბამისად, მის გავრცელებაზე წვდომა შეზღუდულია მხოლოდ უფლებამოსილი პირებით და მკაფიოდ არის განსაზღვრული მისი გამოყენების ფარგლები. ასევე ინტერვიუებით დასტურდება, რომ პერსონალი აცნობიერებს ინფორმაციის დაცულობის მნიშვნელობას და უპირატესობას ანიჭებს ინდივიდუალურ და კონფიდენციალურ კომუნიკაციას.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

.....................................................................................................................................................................................................................

.....................................................................................................................................................................................................................

რჩევა

.....................................................................................................................................................................................................................

.....................................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....................................................................................................................................................................................................................

.....................................................................................................................................................................................................................

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

*1. თანამშრომელთა სამსახურებრივი უფლება-მოვალეობების დოკუმენტი, დამტკიცებული გაერთიანების დირექტორის 11/07/2023 წლის Nბ42.9223192001 ბრძანებით;*
*2. ბავშვის ჩარიცხვა - ამორიცხვის მარეგულირებელი წესი, დამტკიცებული გაერთიანების დირექტორის 2025 წლის 10 აპრილის Noბ42.92251005;*
*3. გაერთიანების დირექტორის ბრძანება პერსონალურ მონაცემთა დაცვაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ (2024 წლის 04 ივნისის ბ42. 92241564);*
*4. საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი, დამტკიცებული გაერთიანების დირექტორის 2026 წლის 10 აპრილის Nბ42.92251003 ბრძანებით;*
*5. დღის განრიგი;*
*6. მშობლის წერილობითი თანხმობის ფორმა კურიკულუმის ფარგლებში დაწესებულების ტერიტორიიდან ბავშვის გაყვანის შესახებ;*
*7. პირველადი სამედიცინო დახმარების წესი, დამტკიცებული გაერთიანების დირექტორის 2025 წლის 14 აპრილის Nბ42.9225104001 ბრძანებით;*
*8. ბავშვთა მიმართ ძალადობის ფაქტზე რეაგირების ჯგუფი და მოცემული ჯგუფის მოქმედების ინსტრუქცია, დამტკიცებული გაერთიანების 2023 წლის 12 ივლისის Nბ42.92231932 ბრძანებით;*
*9. ბავშვზე ძალადობის ეჭვის შემთხვევაში მარეგულირებელი წესი, დამტკიცებული გაერთიანების დირექტორის 2025 წლის 10 აპრილის № ბ42.92251008 ბრძანებით;*
*10. ექსპერტთა ჯგუფის ინტერვიუ.*

| შეფასება: | | | |
|---|---|---|---|
| **4.6 ფიზიკური და ემოციური უსაფრთხოება** | | | |
| შეესაბამება ☐ | მეტწილად შეესაბამება ☒ | ნაწილობრივ შეესაბამება ☐ | არ შეესაბამება ☐ |

## 4.7. ფინანსური რესურსი

### 4.7.1. დაწესებულება ფინანსურად მდგრადია

### 1. დაწესებულების ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებამ წარმოადგინა 2026 წლის საერთო ბიუჯეტი, რომელიც დამტკიცებულია ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერის 2025 წლის 30 დეკემბრის Nბ92.92253648 ბრძანებით. მოცემული ბიუჯეტის საფუძველზე გაერთიანების დირექტორის მიერ 2025 წლის 30 დეკემბერს

№ბ42.922536416 ბრძანებით დამტკიცებულია 2026 წლის ბიუჯეტის შემოსულობებისა და გადასახდელების გეგმა. აღნიშნულ დოკუმენტებში ჩანს ფინანსური რესურსების განაწილება სამოქმედო გეგმის შესრულებისთვის. მაგალითად, დაწესებულებას 2026 წლის სამოქმედო გეგმაში განსაზღვრული აქვს პერსონალის გადამზადება, რომლისთვისაც გამოყოფილია 2026 წლის ბიუჯეტში ფინანსური რესურსი (10000 ლარის ოდენობით).

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

……………………………………………………………………………………………………………………………………………………

……………………………………………………………………………………………………………………………………………………

რჩევა

……………………………………………………………………………………………………………………………………………………

……………………………………………………………………………………………………………………………………………………

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

……………………………………………………………………………………………………………………………………………………

……………………………………………………………………………………………………………………………………………………

## 2. დაწესებულების ბიუჯეტში ფინანსური რესურსების განაწილება უზრუნველყოფს კურიკულუმით განსაზღვრული მიზნების მიღწევას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მიერ დამტკიცებულ 2026 წლის ბიუჯეტში პირდაპირ არ იკითხება კურიკულუმით განსაზღვრული მიზნების მიღწევისთვის ცალკე ფინანსური რესურსის გამოყოფა. ინტერვიუს საფუძველზე დადგინდა რომ კურიკულუმს მოიცავს ბიუჯეტში გამოყოფილი კატეგორია "სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება". დაწესებულებას აქვს ბიუჯეტის საფუძველზე შემუშავებული 2026 წლის ბიუჯეტის შემოსულობებისა და გადასახდელების დამტკიცებული გეგმა, რომელიც მოიცავს კონკრეტულ ხარჯებს და ფინანსური რესურსების განაწილებას დეტალურად, მათ შორის კურიკულუმის მიმართულებითაც. დაწესებულებამ ასევე წარმოადგინა სხვადასხვა დოკუმენტები, რომლითაც დასტურდება საგანმანათლებლო რესურის შეძენა, მათ შორის წარმოდგენილია შპს „ჯეოპრინტთან" გაფორმებული ხელშეკრულება სათამაშოების, წიგნების შეძენის და მიწოდების შესახებ მიღება ჩაბარების აქტები.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

რჩევა

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

## 3. დაწესებულებას აქვს ფინასური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას არ აქვს შემუშავებული დამოუკიდებელი დოკუმენტი რომელიც ეხება ფინანსური რესურსების მართვას, თუმცა დაწესებულებამ წარმოადგინა ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერიის ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის ჩამოყალიბების მიზნებისთვის უფლებამოსილებებისა და პასუხისმგებლობების განაწილების წესი. მოცემული წესის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტი საბიუჯეტო პროგრამის სახით მოიცავს სკოლამდელი დაწესებულებების ხელშეწყობას. მოცემული წესი მოიცავს ფინანსების მართვის და კონტროლის მექანიზმებს, ანგარიშგებას და პასუხისმგებელ პირებს.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

რჩევა

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

*1. 2026 წლის ბიუჯეტი, დამტკიცებული ლაგოდეხის მერის 2025 წლის 30 დეკემბრის Nბ92.92253648 ბრძანებით;*
*2. 2026 წლის ბიუჯეტის შემოსულობებისა და გადასახდელების გეგმა, დამტკიცებული გაერთიანების დირექტორის 2025 წლის 30 დეკემბერს Nბ42.922536416 ბრძანებით;*
*3.შპს "ჯეოპრინტი", ხელშეკრულება 2025 წლის 16 დეკემბრის N49 ხელშეკრულება, მიღება-ჩაბარების აქტი (19.12.2025);*
*4. ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერიის ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის ჩამოყალიბების მიზნებისთვის უფლებამოსილებებისა და პასუხისმგებლობების განაწილების წესი.*

| შეფასება: | | | |
|---|---|---|---|
| **4.7 ფინანსური რესურსი** | | | |
| შეესაბამება ☒ | მეტწილად შეესაბამება ☐ | ნაწილობრივ შეესაბამება ☐ | არ შეესაბამება ☐ |

## ნაწილი IV. დანართების სახით წარმოსადგენი დოკუმენტების ჩამონათვალი

| 1. სავალდებულო დანართის დასახელება | |
|---|---|
| ვიზიტის დღის წესრიგი | |
| 4.3. კომპონენტით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასების კითხვარი | |
| 4.4. კომპონენტით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასების კითხვარი | |
| 4.5. კომპონენტით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასების კითხვარი | |
| **დანართის N** | **2. სხვა დანართის დასახელება** |
| 1 | |
| 2 | |
| 3 | |

**თარიღი** 23.06.2026

| ხელმომწერი | სახელი გვარი | ხელმოწერა |
|---|---|---|
| **ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე** | | |
| *ხარისხის ექსპერტი* | მადონა ქეშიკაშვილი | |
| **ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრები** | | |
| *კურიკულუმის ექსპერტი:* | ნინო მამრიკიშვილი | |
| *კვების დარგში ექსპერტი:* | დალი მედოიძე | |
| *სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების ექსპერტი:* | მარინე ზაზაშვილი | |

| 4.3. კომპონენტით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასების კითხვარი | | დანართი №1 |
|---|---|---|
| **საფირმო სახელწოდება:** ა(ა)იპ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანება<br>**პროგრამ(ებ)ის განხორციელების ადგილის სახელწოდება (არსებობის შემთხვევაში):** ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭიაურის საბავშვო ბაღი | **ბრძანების N:** 27/04/2026 წლის ბრძანება MES 3 26 0000480585 | |
| **პროგრამ(ებ)ის განხორციელების ფაქტობრივი მისამართი:** ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი, სოფელი ჭიაური<br>**(მუნიციპალიტეტი, ქალაქი/დაბა/სოფელი/ქუჩა და N)** | **ვიზიტის თარიღი:** 06-07 მაისი, 2026 წელი | |

**კრიტერიუმი 4.3.1.** დაწესებულების მატერიალური რესურსი გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ ბავშვთა რაოდენობას

| N | ინდიკატორი | შეესაბამება | მეტწილად შეესაბამება | ნაწილობრივ შეესაბამება | არ შეესაბამება | დასტურდება (მტკიცებულებები):<br>კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | დაწესებულება უზრუნველყოფს სააღმზრდელო-საგანმანათლებლო საქმიანობისთვის საჭირო ინფრასტრუქტურას მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი ბავშვთა რაოდენობის გათვალისწინებით | ☐ | ☐ | ☑ | ☐ | 1.შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა<br>2.მშენებლობის ნებართვა, 2026 წლის 16 იანვარი, №92.92260165<br>3.ბავშვთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია<br>4.საპროექტო - სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია, მუნიციპალური განვითარების ფონდი<br>5. სასაქონლო ზედნადებების ცხრილი, 2026 წლის 05 მაისი |
| 2 | დაწესებულება აკმაყოფილებს ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების შენობის ინფრასტრუქტურისა და მატერიალური რესურსების მიმართ კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს | | | | | |
| 3 | დაწესებულებას შემუშავებული აქვს ბავშვთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია, რომელიც ითვალისწინებს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს | | | | | |

## შესაბამისობის კითხვარი

| N | შეფასების ინდიკატორი | შეესაბამება | მეტწილად შეესაბამება | ნაწილობრივ შეესაბამება | არ შეესაბამება | ინდიკატორის შესაბამისობის აღწერა | რეკომენდაცია | რჩევა | არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | **დაწესებულება უზრუნველყოფს სააღმზრდელო-საგანმანათლებლო საქმიანობისთვის საჭირო ინფრასტრუქტურას მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი ბავშვთა რაოდენობის გათვალისწინებით;** | | | | | | | | |
| | დაწესებულებას აქვს ამონაწერი საჯარო რეესტრიდან | ☐ | ☑ | ☐ | ☐ | | | | |
| | დაწესებულებას აქვს შენობა-ნაგებობის სქემა | ☐ | ☑ | ☐ | ☐ | | | | |
| | დაწესებულებას აქვს დოკუმენტი შენობა-ნაგებობის ტექნიკური მდგომარეობის დადგენის შესახებ (გაცემული შესაბამის სფეროში აკრედიტებული ორგანოს ან სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ) | ☐ | ☑ | ☐ | ☐ | | | | |
| | დაწესებულების აქვს მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ | ☐ | ☑ | ☐ | ☐ | დაწესებულებას ამ ეტაპზე არ აქვს განახლებული ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, წარმოდგენილი ამონაწერი არის 2014 წელს გაცემული. მას შემდეგ შეიცვალა შენობის და ეზოს ფართის მოცულობა. ახალი აშენებული შენობა არ არის გადაცემული გაერთიანებისთვის სარგებლობის უფლებით, ავტორიზაციის ვადით რომ ფლობს დაწესებულება მოცემულ ინფრასტრუქტურას არ დასტურდება, ვინაიდან არ წარმოდგენილა განახლებული ამონაწერი საჯარო რეესტრიდან. დაწესებულებას არ აქვს შენობა ნაგებობის სქემა. დაწესებულებას არ აქვს დოკუმენტი შენობა-ნაგებობის ტექნიკური მდგომარეობის დადგენის შესახებ (გაცემული შესაბამის სფეროში აკრედიტებული ორგანოს ან სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ) და ასევე არ აქვს მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ. აღნიშნულ საკითხებზე წარმოდგენილია შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა 12 თვის ვადაზე გაწერილი (2/27/2026 - 2/27/2026). | დაწესებულებამ უზრუნველყოს საჯარო რეესტრიდან განახლებული ამონაწერის და შენობა ნაგებობის სქემის წარმოდგენა, ასევე, ჯეროვნად შეასრულოს შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა 12 თვის ვადაში (2/27/2026 - 2/27/2026). | | დაწესებულებამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია და განახლებული შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა მოცემული ხარვეზების გამოსწორებისთვის, რომელიც გაწერილია 12 თვეზე (6/12/2026 – 6/12/2027). ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება წარმოდგენილ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმას. **ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.** |
| 2 | **დაწესებულება აკმაყოფილებს ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების შენობის ინფრასტრუქტურისა და მატერიალური რესურსების მიმართ კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს** | | | | | | | | |
| 2.1. | დაწესებულებას აქვს შენობის ექსპლუატაციაში მიღების შესახებ უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული აქტი (მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მშენებლობის ნებართვა გაიცემულია 2023 წლის 21 თებერვლის შემდეგ) | ☐ | ☑ | ☐ | ☐ | დაწესებულების შენობა არის ახალი აშენებული. ლაგოდეხის მერის 2026 წლის 16 იანვრის №92.92260165 ბრძანების თანახმად,  მშენებლობის ნებართვა გაცემულია 2026 წლის 16 იანვარს. აღნიშნულიდან გამომდინარე დაწესებულებას წარმოეშობა ვალდებულება წარმოადგინოს  შენობის ექსპლუატაციაში მიღების შესახებ უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული აქტი. ამ ეტაპზე დაწესებულებას მოცემული აქტი არ წარმოუდგენია. **აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.** | დაწესებულებამ წარმოადგინოს შენობის ექსპლუატაციაში მიღების შესახებ უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული აქტი | | დაწესებულებამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია და შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა მოცემული ხარვეზების გამოსწორებისთვის, რომელიც გაწერილია 12 თვეზე (6/12/2026 – 6/12/2027). ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება წარმოდგენილ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმას. **ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.** |
| 2.2. | **მოთხოვნები დაწესებულების შენობა-ნაგებობის მიმართ** | | | | | | | | |

| | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | დაწესებულება განთავსებულია პირველ, პირველ და მეორე, პირველ, მეორე და მესამე სართულზე | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | დაწესებულება არის ორ სართულიანი. ჯგუფური ოთახები განთავსებულია პირველ და მეორე სართულებზე. **აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.** | | | |
| | ჯგუფური ოთახები განთავსებულია პირველ ან/და მეორე სართულზე | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | **მესამე სართულზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში) განთავსებულია:** | | | | | | | | |
| | ადმინისტრაციული სამყოფები | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | ღია სარეკრეაციო სივრცეები | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | გარე სივრცე ფიზიკური აქტივობებისთვის | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | სასკოლო მზაობის ჯგუფ(ებ)ი | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | **მესამე სართულზე სასკოლო მზაობის ჯგუფების განთავსების შემთხვევაში:** | | | | | | | | |
| | ამავე სართულზე განთავსებულია სანიტარული კვანძ(ებ)ი ბავშვებისათვის | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | მესამე სართულის კიბის უჯრედს კიბის დასაწყისში აქვს დამცავი ბარიერი | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| **2.3.** | **დაწესებულებაში, შიდა და გარე ტერიტორიაზე, განთავსებულია შემდეგი სავალდებულო სივრცეები:** | | | | | | | | |
| | ჯგუფური ოთახ(ებ)ი ან/და კურიკულუმის მეთოდოლოგიიდან გამომდინარე - საერთო სივრცე, ამასთან ყველა ჯგუფი უზუნველყოფილია ინდივიდუალური ჯგუფრი ოთახით ან კურიკულუმის მიზნებიდან გამომდინარე შერჩეული საერთო სივრცით ბავშვზე არანაკლებ 2კვმ. | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | დაწესებულებაში არის 3 ჯგუფი. პირველ სართულზე არის 2-3 წლიანი ჯგუფი, მეორე სართულზეა ორი ჯგუფი. 4-5 წლიანი, 5-6 წლიანი ჯგუფები. თითოეულ ჯგუფს აქვს გასახდელი ზონა, საძინებელი, ორი სანიტარული კვანძი, გამაცხელებელი ოთახი (მცირე სამზარეულო), ჯგუფური ოთახი. დაწესებულებაში არის 3 სანიტარული კვანძი პერსონალისთვის, ადმინისტრაციული სამყოფები, კვების ბლოკი, სამეურნეო ზონა. დაწესებულებაში არის ლიფტი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის.დაწესებულება უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობის სისტემით. დაწესებულების შიდა სივრცეები აღჭურვილია შესაბამისი ვიზუალური მინიშნებებით, რაც უზრუნველყოფს სივრცეში ბავშვების მარტივ ორიენტაციას. დაწესებულებაში თითოეულ ჯგუფს აქვს გასახდელი ზონა სადაც განთავსებულია კარადები. დაწესებულებაში არის 6 კარადა, თითოეულ კარადაში არის 5 განყოფილება, ხოლო თითოეულ განყოფილებაში 2 ინდივიდუალური საკიდი, ჯამში ინდივიდუალური საკიდების რაოდენობა შესაბამისია 60 ბავშვისთვის და არა მოთხოვნილი ზღვრული რაოდენობისთვის (75 ბავშვი). **აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.** | დაწესებულებამ უზრუნველყოს გასახდელი ზონის მოწყობა იმგვარად, რომ გამოყოფილი იყოს სივრცე თითოეული ბავშვისთვის პირადი ნივთების შესანახად | | დაწესებულებამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია და შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა მოცემული ხარვეზების გამოსწორებისთვის, რომელიც გაწერილია 24 თვეზე (6/12/2026 – 6/12/2028). ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება წარმოდგენილ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმას. **ინდიკატორის მოთხოვნა ნაწილობრივ დაკმაყოფილებულია.** |
| | საძინებელი ოთახი/მოსასვენებელი სივრცე | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | ადრეული და სკოლამდელი განათლების პირველი წლის ჯგუფებში საძინებელი სივრცე განთავსებულია იმავე სართულზე, სადაც ჯგუფური ოთახებია | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | გასახდელი ზონა, რომელშიც გამოყოფილია სივრცე თითოეული ბავშვისთვის პირადი ნივთების შესანახად | ☐ | ☐ | ☑ | ☐ | | | | |
| | სანიტარული კვანძი ბავშვებისთვის | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | სანიტარული კვანძი/კაბინა პერსონალისთვის | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | ადმინისტრაციული სამყოფები (მათ შორის სივრცე თანამშრომლობითი საქმიანობისთვის) | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | დახურული სივრცე სენსო-მოტორული აქტივობებისთვის/დარბაზი | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | თუ დახურული სივრცე სენსო-მოტორული აქტივობებისთვის/დარბაზი განთავსებულია ნახევარსარდაფში, აღნიშნული სივრცე უზრუნველყოფილია გათბობის სისტემით და ბუნებრივი განათება-განიავების პირველადი წყაროთი | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | კანონმდებლობის შესაბამისად მოწყობილი სამედიცინო მომსახურების სივრცე | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | კვების ბლოკი | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | სამეურნეო ზონა | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | ადრეული ასაკის (2 წლამდე) ბავშვების ჯგუფური ოთახ(ებ)ი განთავსებულია პირველ სართულზე | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | ადრეული ასაკის (2 წლამდე) ჯგუფის ბავშვებისთვის დაწესებულებაში გამოყოფილია სპეციალური სივრცე მეძუძური დედებისთვის | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | თუ დაწესებულება განთავსებულია შენობაში, რომელიც პარალელურად გამოიყენება სხვა მიზნებისთვის, დაწესებულების პროგრამებში ჩართული ბავშვებისთვის მოწყობილია ინდივიდუალური/იზოლირებული შესასვლელი შენობაში | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | თუ დაწესებულება განთავსებულია შენობაში, სადაც ამავდროულად ხდება სხვა ტიპის მომსახურების მიწოდება სხვა ასაკის ბავშვებისთვის, ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ჯგუფური ოთახები განთავსებულია შენობის პირველ სართულზე | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | დაწესებულებაში არის პანდუსი ან/და ლიფტი/ბაქან ლიფტი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | დაწესებულება უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობის სისტემით | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | მცირეკონტიგენტიან დაწესებულებაში (არაუმეტეს 2 ჯგუფი/60 ბავშვი) გათბობის წყაროდ გამოყენებულია დახურულ ზედაპირიანი ელექტროგამათბობელი | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | დაწესებულების შიდა სივრცეები აღჭურვილია შესაბამისი ვიზუალური მინიშნებებით, რაც უზრუნველყოფს სივრცეში ბავშვების მარტივ ორიენტაციას | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | დაწესებულების ტერიტორიაზე არ არის გამოყენებული აზბესტის შემცველი მასალა | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| **2.4.** | **მოთხოვნები სანიტარული კვანძების მოწყობის მიმართ - დაწესებულებას გააჩნია, კანონმდებლობით განსაზღვრული სტანდარტების შესაბამისი რაოდენობის მოქმედი ტუალეტის კაბინები და ხელსაბანები ბავშვებისთვის და პერსონალისათვის (WASH ინდიკატორი)** | | | | | | | | |
| | დაწესებულებაში არის არანაკლებ ერთი საბავშვო ზომის უნიტაზი - ყოველ 15 ბავშვზე | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | დაწესებულებაში არის არანაკლებ ერთი საბავშვო ზომის ხელსაბანი ნიჟარა - ყოველ 20 ბავშვზე | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | დაწესებულებაში არის 1 საბავშვო ზომის პისუარი - ყოველ 20 ბიჭზე (არსებობის შემთხვევაში) | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |

| | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | დაწესებულებაში არის 1 საბავშვო ზომის ღამის ქოთანი - ყოველ 10 ბავშვზე (არსებობის შემთხვევაში, გარდა სასკოლო მზაობის ჯგუფისა) | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | დაწესებულებაში არის 6 სანიტარული კვანძი ბავშვებისთვის. თითოეულ სანიტარულ კვანძში ორი საბავშვო ზომის ხელსაბანი, ორი უნიტაზი. საერთო ჯამში დაწესებულებაში არის 12 საბავშვო ზომის უნიტაზი და 12 საბავშვო ზომის ხელსაბანი ნიჟარა.რაც აკმაყოფილებს ინდიკატორის მოთხოვნა ბავშვთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით (75 ბავშვზე). ზრდასრულებისთვის არის 3 სანიტარული კვანძი, ასევე, ადაპტირებული სანიტარული კვანძი. დაწესებულებაში არ არის ადაპტირებული სანიტარული კვანძი ბავშვებისთვის. ასევე დაწესებულების სანიტარულ კვანძებში არ არის დაცული პრივატულობა. **აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.** | დაწესებულებამ უზრუნველყოს სანიტარულ კვანძებში პრივატულობის დაცვა, ასევე ბავშვებისთვის ადაპტირებული სანიტარული კვანძის მოწყობა. | | დაწესებულებამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია და შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა მოცემული ხარვეზების გამოსწორებისთვის, რომელიც გაწერილია 24 თვეზე (6/12/2026 – 6/12/2028). ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება წარმოდგენილ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმას. **ინდიკატორის მოთხოვნა ნაწილობრივ დაკმაყოფილებულია** |
| | დაწესებულებაში მოქმედ სანიტარიულ კვანძებში პრივატულობის დაცვის მიზნით: მოწყობილია ტუალეტის კაბინები და ტუალეტის კაბინის კარი იღება გარეთ, აწეულია იატაკის დონიდან და იკეტება შიგნიდან გარედან გაღების შესაძლებლობით | ☐ | ☐ | ☑ | ☐ | | | | |
| | დაწესებულების ტერიტორიაზე განთავსებულია არანაკლებ ერთი ადაპტირებული სან.კვანძი/კაბინა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე **ბავშვებისთვის** (ზრდასრულის და ბავშვების ადაპტირებული კაბინების ერთ სივრცეში განთავსების შემთხვევაში უზრუნველყოფილია პრივატულობის დაცვა და უნიტაზები გამიჯნული იქნება ერთმანეთისგან კაბინებით.) **(WASH ინდიკატორი)** | ☐ | ☐ | ☑ | ☐ | | | | |
| | დაწესებულების ტერიტორიაზე განთავსებულია არანაკლებ ერთი ადაპტირებული სან.კვანძი/კაბინა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე **ზრდასრული პირებისთვის** (ზრდასრულის და ბავშვების ერთ სივრცეში განთავსების შემთხვევაში უზრუნველყოფილია პრივატულობის დაცვა და უნიტაზები გამიჯნული იქნება ერთმანეთისგან კაბინებით.) **(WASH ინდიკატორი**) | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | დაწესებულების სანიტარული კვანძებისა და სამრეცხაოს ფანჯრები არ არის განთავსებული ჯგუფური ოთახის და საძინებელი ოთახის ფანჯრების ქვეშ | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| **2.5.** | **მოთხოვნები დაწესებულების ეზოს/გარე სივრცისადმი** | | | | | | | | |
| | დაწესებულებას აქვს ეზო ან/და გარე სივრცე | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | დაწესებულების ეზოს ფართია 3272.8 კვ.მ რაც აკმაყოფილებს ინდიკატორის მოთხოვნას თითოეულ ბავშვზე არანაკლებ 3 კვ.მ გაანგარიშებით, მოთხოვნილი ბავშვთა ზღვრული რაოდენობის შესაბამისად (75 ბავშვზე). დაწესებულების ეზო შემოფარგლულია მყარი ღობით რომლის სიმაღლე მერყეობს 1.65 - 1.85 მეტრის ფარგლებში, ვერტიკალურ ღიობებს შორის დაშორება არის 10 სმ. **აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.** | | | |
| | ეზოს/გარე სივრცის მინიმალური ფართი ერთ ბავშვთან მიმართებაში არის არანაკლებ 3 კვ.მ. (აღნიშნული თანაფარდობა დაცულია იმ შემთხვევაშიც თუ დაწესებულება მდებარეობს სახელმწიფო სარგებლობაში არსებული სარეკრეაციო ზონის ტერიტორიაზე/მომიჯნავედ და იყენებს მას. სარეკრეაციო ზონის კერძო საკუთრებაში არსებობის შემთხვევაში, დაწესებულებას გაფორმებული აქვს შესაბამისი ხელშეკრულება/მემორანდუმი სარეკრეაციო ზონის მფლობელთან ტერიტორიის გამოყენებასთან დაკავშირებით) | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | ეზო/გარე სავრცე შემოფარგლულია არანაკლებ 1,6 მ სიმაღლის მყარი შემოზღუდვით/ღობით. არსებობის შემთხვევაში, ვერტიკალური ღიობები არ აღემატება 0,1 მ-ს. შემოზღუდვას/ღობეს არ აქვს ბასრი კიდეები, წვეტიანი, გამოშვერილი ნაწილები, რომელიც შეიძლება წარმოადგენდეს საფრთხეს მასთან დაჯახების შემთხვევაში. | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | გარე სივრცედ შენობის სახურავის გამოყენების შემთხვევაში, ყველა სავენტილაციო დგარი დაჯგუფებულია და ცდება სახურავის დონეს არანაკლებ 3მ-ის სიმაღლეზე. | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | თუ დაწესებულება განთავსებულია შენობაში, რომელიც პარალელურად გამოიყენება სხვა საქმიანობისთვის, დაწესებულების ეზოში/გარე სივრცეში გამოყოფილია იზოლირებული სივრცე ბავშვებისთვის | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| **2.6.** | **ეზოში/გარე სივრცეში განთავსებულია ქვემოთ ჩამოთვლილი სავალდებულო აღჭურვილობა და სივრცეები (შესაძლებელია გამოყენებული იქნეს როგორც ინდივიდუალური, ისე კომბინირებული კონსტრუქცია)** | | | | | | | | |
| | მზისგან და წვიმისაგან დამცავი საშუალება/საჩრდილობელი | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | დაწესებულებაში არის შემდეგი სავალდებული აღჭურვილობები: მზისგან და წვიმისაგან დამცავი საშუალება/საჩრდილობელი, სასრიალო, საქანელა, საქვიშე, სივრცე მოწყობილი და აღჭურვილი დრამატული თამაშებისთვის, ბალანსის აღჭურვილობა, სივრცე მოწყობილი სენსორული განვითარებისთვის. ეზოს/ გარე სივრცის ტერიტორიაზე არის განათების წყარო, რაც უზრუნველყოფს შენობამდე დაუბრკოლებლად მისვლას. დაწესებულებაში არ არის საცოცი/ასაძრომი და გასაძრომი კონსტრუქციები. ეზოში ბავშთა თავშეყრის ადგილებში გამოყენებულია ბეტონის ზედაპირი. **აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.** | დაწესებულებამ უზრუნველყოს საცოცი/ასაძრომი და გასაძრომი კონსტრუქციების მოწყობა ეზოში. ასევე უზრუნველყოს გარე სივრცეში, ბავშვთა თავშეყრის ადგილებში მოცურების საწინააღმდეგო ზედაპირის დაგება, რომელიც დასველების შემთხვევაშიც უზრუნველყოფს უსაფრთხო გადაადგილებას და არ წარმოქმნის მოცურების რისკას. ამასთან დაწესებულებამ გაითვალისწინოს ინდიკატორის მოთხოვნა და არ გამოიყენოს ინდიკატორით განსაზღვრული აკრძალული ზედაპირის სახეები, როგორიცაა: პრიალა ქვის ფილები, ბეტონი, მახვილკიდეებიანი ფილები, უხეში ღორღი. | | დაწესებულებამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია და შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა მოცემული ხარვეზების გამოსწორებისთვის, რომელიც გაწერილია 24 თვეზე (6/12/2026 – 6/12/2028). ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება წარმოდგენილ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმას. **ინდიკატორის მოთხოვნა ნაწილობრივ დაკმაყოფილებულია** |
| | სასრიალო | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | საქანელა | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | საქვიშე | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | სათამაშო სახლი/კარავი/სივრცე განმარტოებისთვის | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | სკამები/ დასაჯდომი და მაგიდა | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | სივრცე მოწყობილი და აღჭურვილი დრამატული თამაშებისთვის | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | საცოცი/ასაძრომი და გასაძრომი კონსტრუქციები | ☐ | ☐ | ☑ | ☐ | | | | |
| | ბალანსის აღჭურვილობა | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | სივრცე მოწყობილი სენსორული განვითარებისთვის | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | ეზოს/ გარე სივრცის მოწყობილობები ითვალისწინებს ბავშვის ასაკსა და სიმაღლეს, დამზადებულია გლუვზედაპირიანი მასალისაგან, ხოლო კონსტრუქციული გადაწყვეტა უსაფრთხოა გამოყენების დროს, იგი დამაგრებულია მყარად, არ არსებობს ტრამვის საფრთხე | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | ეზოში/ გარე სივრცეში იმ ადგილებში, სადაც შესაძლებელია ბავშვის გადმოხტომა ან გადმოვარდნა 50 სმ და მეტი სიმაღლიდან, ზედაპირი დაფარულია რბილი საფარით (მაგ. ხის ანათალით, ნახერხით, ბალახის საფარით, ქვიშით, რბილი ხელოვნური ზედაპირით და სხვა.) | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | ეზოს/გარე სივრცის თავშეყრის ადგილებში (მაგრამ არა ფიზიკური აქტივობის ზონებში) გამოყენებულია მოცურების საწინააღმდეგო ზედაპირი, რომელიც ამ თვისებას დასველების შემთხვევაშიც ინარჩუნებს (დასაშვებია - ასფალტი, დაღერღილი ქვა, ხაოიანი ზედაპირის კერამიკული ფილები და მათი ანალოგი. აკრძალულია შემდეგი ტიპის ზედაპირის გამოყენება - პრიალა ქვის ფილები, ბეტონი, მახვილკიდეებიანი ფილები, უხეში ღორღი. | ☐ | ☐ | ☑ | ☐ | | | | |
| | ეზოს/ გარე სივრცის ტერიტორიაზე არის განათების წყარო, რაც უზრუნველყოფს შენობამდე დაუბრკოლებლად მისვლას | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |

| | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **2.7.** | **მოთხოვნები ფიზიკური უსაფრთხოების დაცვასთან დაკავშირებით** | | | | | | | | |
| | **ფანჯრების და მინის უსაფრთხოება** | | | | | | | | |
| | მინის ტიხრები და კედლები, ასევე შიდა კარები, რომელიც ნაწილობრივ შემინულია, უნდა დამზადდეს მსხვრევის საწინააღმდეგო ფირით დაფარული ან ნაწრთობი მინისგან ან ისეთი ტექნოლოგიით, რომ დამსხვრევის შემთხვევაში არ შეუქმნას საფრთხე ადამიანის უსაფრთხოებას. (თუ შემინული კედელი ბავშვისთვის მისაწვდომი არ არის, მაშინ მინის საგანგებოდ შერჩევის საჭიროება არ არსებობს.) | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | დაწესებულების ტერიტორიაზე არის მინის კარები, იმ სივრეებში სადაც ბავშვები ხვდებიან. დაწესებულებამ წარმოადგინა საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ გაცემული მშენებლობის საპროექტო - სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია, რომლის მიხედვით მინები არის ნაწრთობი, ასევე დაწესებულებამ წარმოადფინა მოცემული მინების მიღების დამადასტურებელი 2026 წლის 05 მაისს გაცემული სასაქონლო ზედნადების ცხრილი. მინის კარებს არ აქვს მარკირება. ჯგუფურ უჯრედში ფანჯრის რაფის სიმაღლე იატაკის დონიდან ძირითად შემთხვევაში აღემატება 90 სმ-ს, თუმცა ორი ფანჯრის რაფის სიმაღლე არის 60 სმ, და არ არის მოწყობილი დამცავი ბარიერი, რაც ვერ აკმაყოფილებს ინდიკატორის მოთხოვნას. დაწესებულების ყველა იმ სივრცეში, სადაც ბავშვები ხვდებიან და სადაც ფანჯრებზე მოწყობილია გაღების მექანიზმი არ არის მოწყობილი დამცავი ბადე და მისი ჩაჭრის მექანიზმი. **აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.** | დაწესებულებამ უზრუნველყოს მინის კარების მარკირება, ჯგუფური ოთახის იმ ფანჯრებზე სადაც სიმაღლე იატაკის დონიდან 90 სმ-ზე ნაკლებია დამცავი ბარიერის მოწყობა. ფანჯრებზე, რომლებიც არის იმ სივრეებში სადაც ბავშვების ხვდებიან და სადაც არის გაღების მექანიზმი, უზრუნველყოს დამცავი ბადის და მისი ჩაჭრის მექანიზმის მოწყობა. | | დაწესებულებამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია და შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა მოცემული ხარვეზების გამოსწორებისთვის, რომელიც გაწერილია 24 თვეზე (6/12/2026 – 6/12/2028). ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება წარმოდგენილ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმას. **ინდიკატორის მოთხოვნა ნაწილობრივ დაკმაყოფილებულია** |
| | მინის გარე ვიტრაჟთან (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მდებარეობს მინიმუმ 100 სმ. სიმაღლის დამცავი ბარიერი, რომლის კონსტრუქციის ტიპით გათვალისწინებულია ვერტიკალური დგარები ან ბრტყელი ზედაპირი. დგარებს შორის დაშორება არ აღემატება 10 სმ. ბარიერის ზედაპირის სიმაღლე გამორიცხავს მასზე ბავშვის ასვლის შესაძლებლობას. | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | უჩარჩოო მინის კარები და მინის ელემენტების შემცველი კარები მარკირებულია, მინის კარების ფრთები მომიჯნავე მინის კედლებისაგან განსხვავებულად არის მარკირებული. კარების სახელურები კარების ფერთან კონტრასტული ფერისაა | ☐ | ☐ | ☑ | ☐ | | | | |
| | მინის კარებზე მარკირება არის ჰორიზონტალურად, ორ სიმაღლეზე - 90 სმ და 150 სმ შესაბამისად.<br>მარკირება არის ძირითად ფონთან კონტრასტული და დატანილი შუშის ორივე მხარეს, რაც ამცირებს ანარეკლს. მარკირების ველი არის არანაკლებ 5 სმ სიგანის. | ☐ | ☐ | ☑ | ☐ | | | | |
| | თუ ჯგუფურ უჯრედში ფანჯრის რაფის სიმაღლე იატაკის დონიდან 90 სმ-ზე ნაკლებია, ფანჯრის გარე/შიდა მხრიდან მოწყობილია დამცავი ბარიერი არანაკლებ 100 სმ სიმაღლისა, რომლის კონსტრუქციის ტიპით გათვალისწინებულია ვერტიკალური დგარები ან ბრტყელი ზედაპირი. დგარებს შორის დაშორება არ აღემატება 10 სმ. ბარიერის ზედაპირის სიმაღლე გამორიცხავს მასზე ბავშვის ასვლის საშუალებას | ☐ | ☐ | ☑ | ☐ | | | | |
| | დაწესებულების ყველა იმ სივრცეში, სადაც ბავშვები ხვდებიან და სადაც ფანჯრებზე მოწყობილია გაღების მექანიზმი, მოწყობილია კედლებში მყარად ჩამაგრებული და დაჭიმული ნაქსოვი ბადის ბარიერი, რომლის მასალა და მოწყობის სპეციფიკაცია უზრუნველყოფს ბავშვის უსაფრთხოებას და საჭიროების შემთხვევაში, ბადის უმოკლეს დროში ჩაჭრას. ნაქსოვი ბადის კონსტრუქციით გათვალისწინებულ დგარებს შორის დაშორება არ აღემატება 10 სმ-ს და გათვლილია არანაკლებ 30 კგ-ზე. | ☐ | ☐ | ☑ | ☐ | | | | |
| | იმ ფანჯრებზე, სადაც მოწყობილია დამცავი ბადე, ბავშვისთვის ხელმიუწვდომელ ადგილზე განთავსებულია ბადის ჩაჭრისთვის საჭირო მოწყობილობა | ☐ | ☐ | ☑ | ☐ | | | | |
| | **კიბის უსაფრთხოება** | | | | | | | | |
| | კიბის უჯრედი მოპირკეთებულია გლუვი, მოცურების საწინააღმდეგო მასალით, რომელიც ინარჩუნებს თავის თვისებებს სველ მდგომარეობაშიც | ☐ | ☐ | ☑ | ☐ | დაწესებულების შენობაში არსებული კიბის უჯრედის სახელურის სიმაღლე ბავშვებისათვის არის 55 სმ. უფროსებისათვის კი – 95 სმ. მოცემულ კიბეს ესაზღვრება კედელი, თუმცა კედელზე არ არის მოწყობილი უწყვეტი სახელური. დაწესებულებაში არის ასევე გარე კიბე, რომლითაც სარგებლობენ ბავშვები და გამოიყენება შენობიდან ეზოში, სათამაშო სივრცეში ბავშვების გასაყვანად. მოცემულ კიბეს არ აქვს ბრტყელი ზედაპირი ან ვერტიკალური დგარები, სახელურის სიმაღლე ბავშვისთვის არის 37 სმ, ხოლო უფროსებისთვის 95 სმ. კიბის უჯრედი არ არის მოპირკეთებული, გლუვი, მოცურების საწინააღმდეგო მასალით. **აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.** | დაწესებულებამ უზრუნველყოს კიბის უჯრედის მოპირკეთება გლუვი, მოცურების საწინააღმდეგო მასალით, უზრუნველყოს დაწესებულების შენობაში არსებულ კიბის უჯრედში უწყვეტი სახელურის მოწყობა კედლის მხრიდან. ასევე, დაწესებულების გარეთ გამავალ კიბის უჯრედში უზრუნველყოს საბავშვო ზომის სახელურის და ვერტიკალური ან ბრტყელი ზედაპირის მოწყობა. | | დაწესებულებამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია და შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა მოცემული ხარვეზების გამოსწორებისთვის, რომელიც გაწერილია 24 თვეზე (6/12/2026 – 6/12/2028). ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება წარმოდგენილ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმას. **ინდიკატორის მოთხოვნა ნაწილობრივ დაკმაყოფილებულია** |
| | თუ იატაკის ზედაპირი განსხვავებული დონისაა და წარმოქმნის საფეხურს ან/და თუ შენობის შიდა/გარე კიბის საფეხურები არ არის ერთნაირი გეომეტრიის (საფეხურის ზომების, სიღრმისა და სიმაღლის მიხედვით), კიბის დასაწყისში და დასასრულს და ასევე განსხვავებულ საფეხურზე, საფეხურის მთელ სიგანეზე გამოყენებულია თვითწებვადი ლენტი/კონტრასტული ფერები/განსხვავებული სტრუქტურის მასალა/საფეხურის განათებები/გარჩევადი გამაფრთხილებელი ნიშნები | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | დაწესებულებაში კიბის უჯრედის სახელურის სიმაღლე ბავშვებისათვის არის 50 (+ - 5 სმ) სმ. უფროსებისათვის კი არანაკლებ – 85 სმ. | ☐ | ☐ | ☑ | ☐ | | | | |
| | შენობაში არ არის ხვეული კიბეები (არსებობის შემთხვევაში არ გამოიყენება) | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | კიბეს ორივე მხრიდან მიყვება მოაჯირი (გარდა იმ შემთხვევისა, თუ მას ესაზღვრება კედელი/კედლები) და უწყვეტი სახელური | ☐ | ☐ | ☑ | ☐ | | | | |
| | კიბის მოაჯირის კონსტრუქცია არის ვერტიკალური დგარებით ან ბრტყელი ზედაპირით. ვერტიკალური დგარებს შორის დაშორება არ აღემატება 10 სმ. მოაჯირებზე/სახელურზე არ არის წვეტიანი ელემენტები | ☐ | ☐ | ☑ | ☐ | | | | |
| | თუ კიბის სიგანე 500 სმ-ს აღემატება, კიბეზე განთავსებულია დამატებითი მოაჯირი/მოაჯირები. | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | **კუთხეების/კოლონების/კედლების უსაფრთხოება** | | | | | | | | |
| | დაწესებულებაში, ბავშვთა თავშეყრის ადგილებში, კოლონებსა და კედლის კუთხეებს აქვთ 0,5 სმ-იანი რადიუსის მომრგვალება ან კონტრასტული ფერის შესაბამისი დამცავი | ☐ | ☐ | ☑ | ☐ | ბავშვთა თავშეყრის ადგილებში, 200 სმ-ის სიმაღლემდე არ არის ბასრი კიდეები, წვეტიანი გამოშვერილი ნაწილები და არანაირი ისეთი ელემენტები, რომელიც შეიძლება წარმოადგენდეს საფრთხეს ბავშვებისთვის. შენობის იმ სივრცეებში, სადაც ბავშვები ხვდებიან, მახვილი კუთხის მქონე გამათბობლები დაფარულია ეკრანით რომელთა კონსტრუქციული მოწყობაც უზრუნველყოფს სველი წესით დასუფთავებას. კედლის კუთხეებს არ აქვს კონსტრასტული ფერის დამცავი. **აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.** | დაწესებულებამ უზრუნველყოს კედლის კუთხეებზე კონტრასტული ფერის დამცავის მოწყობა. | | დაწესებულებამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია და შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა მოცემული ხარვეზების გამოსწორებისთვის, რომელიც გაწერილია 24 თვეზე (6/12/2026 – 6/12/2028). ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება წარმოდგენილ შესაბამისობის უზრუნველყოფის |
| | კოლონებზე და სხვა მსგავს ბარიერებზე მარკირება განთავსებულია სამ სიმაღლეზე: იატაკის დონეზე და იატაკის დონიდან 90 სმ და 150 სმ-ზე | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | ბავშვთა თავშეყრის ადგილებში, 200 სმ-ის სიმაღლემდე არ არის ბასრი კიდეები, წვეტიანი გამოშვერილი ნაწილები და არანაირი ისეთი ელემენტები, რომელიც შეიძლება წარმოადგენდეს საფრთხეს ბავშვებისთვის | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |

| | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | შენობის იმ სივრცეებში, სადაც ბავშვები ხვდებიან, მახვილი კუთხის მქონე გამათბობლები დაფარულია ეკრანით ან ცხაურით, რომელთა კონსტრუქციული მოწყობაც უზრუნველყოფს სველი წესით დასუფთავებას | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | **დაკმაყოფილებული.** | | | გეგმას. **ინდიკატორის მოთხოვნა ნაწილობრივ დაკმაყოფილებულია** |
| | **ინვენტარის უსაფრთხოება** | | | | | | | | |
| | დაწესებულებაში ბავშვთა თავშეყრის ადგილებში არსებული დენსართები განლაგებულია ბავშვისთვის ხელმიუწვდომელ ადგილზე. იმ დენსართებისთვის, რომლებიც ბავშვებისთვის ხელმისაწვდომია, უზრუნველყოფილია უსაფრთხოების დაცვა | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | დაწესებულებაში ბავშვთა თავშეყრის ადგილებში არსებული დენსართები განლაგებულია ბავშვისთვის ხელმიუწვდომელ ადგილზე. შენობაში ავეჯი მყარად არის დადგმული იატაკზე და უსაფრთხოა ბავშვებისთვის.ჯგუფურ ოთახში მაგიდებთან ადგილების რაოდენობა და სკამების რაოდენობა შეესაბამება ჯგუფში ბავშვთა რაოდენობას. **აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.** | | | |
| | ნათურები დაფარულია დამცავი ფარით ან გამოყენებულია არამსხვრევადი მასალით დამზადებული ნათურა | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | სარკე (არსებობის შემთხვევაში) დამზადებულია დრეკადი მასალით ან სარკის ზედაპირი დაფარულია დამცავი ფირით | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | შენობაში ავეჯი მყარად არის დადგმული/მიმაგრებული იატაკზე ან კედელზე და უსაფრთხოა ბავშვებისთვის | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | ჯგუფურ ოთახში მაგიდებთან ადგილების რაოდენობა და სკამების რაოდენობა შეესაბამება ჯგუფში ბავშვთა რაოდენობას | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | **ბავშვისთვის განკუთვნილი მაგიდებისა და სკამების ძირითადი ზომები შეესაბამება ქვემოთ მოცემულ ცხრილს (მოთხოვნილი პროგრამის შესაბამისი ასაკობრივი ჯგუფების შესაბამისად), არასტანდარტული ბავშვის სიმაღლის ასაკთან შესაბამისად გამოყენებულია მისი სიმაღლის შესაფერისი მაგიდა და სკამი** | | | | | | | | |
| | 0-დან 2 წლამდე - მაგიდა 34-38სმ; სკამი18-21სმ | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | დაწესებულებაში არის მაგიდები ერთი ზომის ყველა ჯგუფისთვის. მაგიდის ზომაა 46 სმ. რომელიც შესაბამისია 3-დან 5-წლამდე ასაკის ჯგუფისთვის. ხოლო 2-დან 3-წლამდე და 5-დან 6 წლამდე ასაკის ჯგუფებისთვის არ არის შესაბამისი. დაწესებულებაში სკამების ზომაა 30-32 სმ, რაც შესაბამისია 3-დან 5-წლამდე და 5-დან 6-წლამდე ასაკის ჯგუფებისთვის. არ არის შესაბამისი 2დან 3 წლამდე ასაკის ბავშვებისთვის. **აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.** | დაწესებულებამ უზრუნველყოს ყველა ასაკობრივი ჯგუფისთვის შესაბამისი ზომის მაგიდების და სკამების მობილიზება | | დაწესებულებამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია და შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა მოცემული ხარვეზების გამოსწორებისთვის, რომელიც გაწერილია 24 თვეზე (6/12/2026 – 6/12/2028). ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება წარმოდგენილ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმას. **ინდიკატორის მოთხოვნა ნაწილობრივ დაკმაყოფილებულია** |
| | 2-დან 3 წლამდე მაგიდა 40-44სმ/; სკამი 22-26სმ | ☐ | ☐ | ☑ | ☐ | | | | |
| | 3- დან 5 წლამდე მაგიდა 46-50სმ; სკამი 27-30სმ | ☐ | ☐ | ☑ | ☐ | | | | |
| | 5-დან 6 წლამდე მაგიდა 52-56სმ; სკამი 31-35სმ | ☐ | ☐ | ☑ | ☐ | | | | |
| | **საწოლები ბავშვების ასაკის შესაბამისი ზომისაა:** | | | | | | | | |
| | 0-დან 3 წლამდე სიგრძე არანაკლებ 120სმ, სიგანე 60 სმ | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | დაწესებულებაში არის ერთი ზომის საწოლები ყველა ასაკობრივი ჯგუფისთვის. საწოლის სიგრძეა 135 სმ, ხოლო სიგანე 60 სმ. მოცემული ზომები შესაბამისია მხოლოდ 0-დან 3 წლამდე ასაკის ჯგუფისთვის, ხოლო 3-დან 6 წლამდე ასაკის ჯგუფისთვის არ არის შესაბამისი. ჯგუფური ოთახის თაროები და კარადები განთავსებულია ბავშვისთვის ხელმისაწვდომ სიმაღლეზე . დაწესებულებაში არ არის კომპიუტერი, პრინტერი და ინტერნეტი. **აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.** | დაწესებულებამ უზრუნველყოს ყველა ასაკობრივი ჯგუფი შესაბამისი ზომის საწოლებით. ასევე, უზრუნველყოს კომპიუტერის, პრინტერის და ინტერნეტის მობილიზება. | | დაწესებულებამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია და შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა მოცემული ხარვეზების გამოსწორებისთვის, რომელიც გაწერილია 24 თვეზე (6/12/2026 – 6/12/2028). ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება წარმოდგენილ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმას. **ინდიკატორის მოთხოვნა ნაწილობრივ დაკმაყოფილებულია** |
| | 3-დან 6 წლამდე სიგრძე 140 სმ-ია, სიგანე 60სმ | ☐ | ☐ | ☑ | ☐ | | | | |
| | დაწესებულებაში უზრუნველყოფილია: მაგარ ძირიანი გასაშლელი საწოლები და ლეიბები/ 1 ან 2-სართულიანი საწოლები ( 30 სმ სიმაღლის დამცავი ზღუდით) და ლეიბები/ სექციური ერთი, ორი ან სამ იარუსიანი საწოლები (რომლის პირველი, მეორე და მესამე იარუსის სიმაღლე ერთად არ აღემატება 125 სმ) და ლეიბები | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | ჯგუფური ოთახის თაროები და კარადები განთავსებულია ბავშვისთვის ხელმისაწვდომ სიმაღლეზე | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | დაწესებულება აღჭურვილია სულ მცირე ერთი ინტერნეტთან წვდომის მქონე კომპიუტერით და მრავალფუნქციური პრინტერით (სკანერის ფუნქციით) | ☐ | ☐ | ☑ | ☐ | | | | |
| | ადრეული განათლების პირველ, მეორე და სკოლამდელი აღზრდის პირველი წლის ჯგუფების ჯგუფური ოთახის განთავსების სართულზე გათვალისწინებულია საფენების გამოსაცვლელი მაგიდა, სათავსი საფენებისათვის და სათლი ავტომატური სახურავით | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| **3** | **დაწესებულებას შემუშავებული აქვს ბავშვთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია, რომელიც ითვალისწინებს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.** | | | | | | | | |
| 3.1. | **დაწესებულებას შემუშავებული აქვს ბავშვთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვის მეთოდოლოგია, რომელიც ითვალისწინებს კანონმდებლობით დადგენილ შემდეგ მოთხოვნებს:** | | | | | | | | |
| | ჯგუფური ოთახების რაოდენობა/საერთო სივრცის ფართი | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | დაწესებულებას შემუშავებული და გაერთიანების დირექტორის 2025 წლის 10 აპრილის №ბ42.92251006 ბრძანებით დამტკიცებული აქვს ბავშვთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია, რომელიც მოიცავს შემდეგ საკითხებს: ჯგუფური ოთახების რაოდენობა; ეზოს/გარე სივრცის ფართი;აღმზრდელ-პედაგოგის/აღმზრდელის თანაფარდობა; საბავშვო ზომის ხელსაბანების | | | |
| | ეზოს/გარე სივრცის ფართი | | | | | | | | |
| | აღმზრდელ-პედაგოგის/აღმზრდელის თანაფარდობა | | | | | | | | |
| | საბავშვო ზომის ხელსაბანების რაოდენობა | | | | | | | | |
| | საბავშვო ზომის უნიტაზების/ღამის ქოთნების რაოდენობა | | | | | | | | |
| | საბავშვო ზომის სკამებისა და მაგიდების რაოდენობა | | | | | | | | |
| | საძინებელი/მოსასვენებელი სივრცე და საწოლების რაოდენობა | | | | | | | | |

| | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | გასახდელი სივრცე | | | | | [illegible] რაოდენობა; საბავშვო ზომის უნიტაზების/ღამის ქოთნების რაოდენობა;საძინებელი/მოსასვენებელი სივრცე და საწოლების რაოდენობა; გასახდელი სივრცე;საბავშვო ზომის სკამებისა და მაგიდების რაოდენობა. ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია. | | | |
| 3.2. | **დაწესებულება ფლობს ბავშვთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიით დადგენილ რესურსებს** | ☐ | ☐ | ☑ | ☐ | დაწესებულებაში არის 3 ინდივიდუალური ჯგუფური ოთახი სამივე ჯგუფისთვის. დაწესებულების ფართი არის 3272.8 კვ.მ რაც შესაბამისია მოთხოვნილი ზღვრული რაოდენობის ბავშვისთვის (75 ბავშვი). დაწესებულაში დასაქმებულია 3 აღმზრდელი, თითოეულ ჯგუფში არის ერთი აღმზრდელი და შესაბამისად ვერ აკმაყოფილებს ინდიკატორის მოთხოვნას აღმზრდელის თანაფარდობაზე, თანაფარდობა შესაბამისია 43 ბავშვისთვის, ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ საქართველოს კანონის 22-ე მუხლით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად. კერძოდ, 2დან 3წლამდე ჯგუფში აღმზრდელის თანაფარდობა უნდა იყოს 1:13, ხოლო ზედა ასაკის ჯგუფებში 1:15. დაწესებულებაში არის საბავშვო ზომის 12 ხელსაბანი და საბავშვო ზომის 12 უნიტაზი რაც შესაბამისია მოთხოვნილი ზღვრული რაოდენობის ბავშვისთვის (75 ბავშვი). დაწესებულებაში არის 75 საწოლი, 75 სკამი, 18 მაგიდა (თითოეულ მაგიდასთან 4 დასაჯდომი ადგილით). მაგიდების რაოდენობა არ არის საკმარისი 75 ბავშვისთვის, საკმარისია 72 ბავშვისთვის. ასევე საწოლების და სკამების რაოდენობა არ არის საკმარისი 75 ბავშვისთვის, რადგან არის მხოლოდ ერთი ზომის და ვერ აკმაყოფილებს ყველა ასაკობრივი ჯგუფის მოთხოვნას. დაწესებულაში არის 3 საძინებელი, რაც აკმაყოფილებს ინდიკატორის მოთხოვნას, დაწესებულებაში არის გასახდელი სივრცეები, სადაც განთავსებულია დახურული კარადები თავისი საკიდებით. ამ ეტაპზე დაწესებულებაში არის 6 კარადა, თითოეულ კარადაში არის 5 განყოფილება, ხოლო თითოეულ განყოფილებაში 2 ინდივიდუალური საკიდი, ჯამში საკიდების რაოდენობა შესაბამისია 60 ბავშვისთვის და არა მოთხოვნილი ზღვრული რაოდენობისთვის (75 ბავშვი)**აღნიშულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.** | დაწებულებამ უზრუნველყოს: აღმზრდელის თანაფარდობის დაცვა; თითოეული ასაკობრივი კატეგორიისთვის შესაბამისი ზომის საწოლების, მაგიდების და სკამების მობილიზება; გასახდელი სივრცის მოწყობა იმგვარად რომ ყველა ბავშვისთვის იყოს გამოყოფილი ინდივიდუალური სივრცე პირადი ნივთების შესანახად. | | დაწესებულებამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია და შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა მოცემული ხარვეზების გამოსწორებისთვის, რომელიც გაწერილია 24 თვეზე (6/12/2026 – 6/12/2028). ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება წარმოდგენილ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმას. **ინდიკატორის მოთხოვნა ნაწილობრივ დაკმაყოფილებულია** |

კითხვარის შევსების პროცესში აღნიშნული ფერით მონიშნული საკითხები არ ფასდება, თუ ის არ არის რელევანტური კონკრეტული დაწესებულებისთვის/დაწესებულების კონკრეტული მისამართისთვის.

23/06/2026

| 4.4. კომპონენტით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასების კითხვარი | | | | | | დანართი №2 |
|---|---|---|---|---|---|---|
| საფირმო სახელწოდება: ა(ა)იპ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანება<br>პროგრამ(ებ)ის განხორციელების ადგილის სახელწოდება (არსებობის შემთხვევაში): ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭიაურის საბავშვო ბაღი | | | | | ბრძანების N: 480585 (27.04.2026) | |
| პროგრამ(ებ)ის განხორციელების ფაქტობრივი მისამართი: ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი, სოფელი ჭიაური (მუნიციპალიტეტი, ქალაქი/დაბა/სოფელი/ქუჩა და N) | | | | | ვიზიტის თარიღი: *06.05.2026* | |
| კრიტერიუმი 4.4.1. დაწესებულების მიერ შეთავაზებული კვების მომსახურება ხელს უწყობს ბავშვის ჯანმრთელობასა და განვითარებას | | | | | | |
| **ინდიკატორი 1. დაწესებულება იცავს საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებში კვების ორგანიზებისა და რაციონის კვებითი ღირებულების ნორმების“ ტექნიკური რეგლამენტით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის კითხვარით განსაზღვრულ პირობებს** | შესაბამისია | მეტწილად შესაბამისია | ნაწილობრივ შესაბამისია | არ არის შესაბამისი | დასტურდება (მტკიცებულებები):<br>კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები | |
| | ☐ | ☑ | ☐ | ☐ | 1. ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორის 2025 წლის 10 აპრილის ბ42. 922510010 ბრძანება ა.(ა).ი.პ. ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის „სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანება"-ის კვების ორგანიზებისა და რაციონის კვებითი ღირებულების ნორმების მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ;<br><br>2. ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორის 2026 წლის 17 აპრილის ბ42. 92261072 ბრძანება ა.(ა).ი.პ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის „სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანება“-ში შემავალი საბავშვო ბაღებისთვის 10 დღიანი/2 კვირიანი პერსპექტიული მენიუსა და კერძების კართოტეკის დამტკიცების შესახებ;<br><br>3. ბაღის დღის განრიგი.<br><br>4. ვიზიტის დროს ჩატარებული ინტერვიუ;<br><br>5. ვიზიტის დროს დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები:<br><br>- დამტკიცებული გაზაფხული-ზაფხულის და შემოდგომა-ზამთრის მენიუ;<br>- სატენდერო დოკუმენტაცია, სადაც განსაზღვრულია სურსათის მახასიათებლები<br>- დასაქმებულთა სამუშაო ფორმები (ფუნქცია-მოვალეობების შესახებ),<br>- ბავშვის კვების პროცესში საჭირო ჭურჭლის მიღება-ჩაბარების და ინვენტარიზაციის აქტები;<br>- სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ გაცემული ,,შესაბამისობის შეფასების აქტი" 1B38504441D10B (27.10.2025)<br><br>6. ვიზიტის დროს გადაღებული ფოტო-მასალა;<br>7. შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა<br>8. ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N101<br>9. მიღება-ჩაბარების აქტი N1 (01.06.2026) | |
| **სააღმზრდელო-საგანმანათლებლო პროცესის წარმართვის ხანგრძლივობა** | **9-ზე მეტი საათი** | **5-დან 9 საათამდე** | **3.5-დან 5 საათამდე 5 საათამდე** | **არაუმეტეს 3.5 საათისა** | | |
| | | √ | | | | |
| **კვების უზრუნველყოფის ფორმა** | **სტაციონალური კვებითი უზრუნველყოფა** | **სატელიტური სამზარეულო** | **მზა კერძების შესყიდვა ინდივიდუალური შეფუთვით** | **ჰიბრიდული მოდელი** | | |
| | √ | | | | | |

## შესაბამისობის კითხვარი

| N | შეფასების ინდიკატორი | შეესაბამება | მეტწილად შეესაბამება | ნაწილობრივ შეესაბამება | არ შეესაბამება | ინდიკატორის შესაბამისობის აღწერა | რეკომენდაცია | რჩევა | არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | **მოთხოვნები კვების პროცესის ორგანიზებისადმი** | | | | | | | | |
| 1.1 | **დაწესებულებას შემუშავებული აქვს კვების უზრუნველყოფის მექანიზმი, რომელიც არეგულირებს სულ მცირე ქვემოთ ჩამოთვლილ საკითხებს:** | | | | | 1.1<br>- დაწესებულებაში კვების ორგანიზებისა და რაციონის კვებითი ღირებულების ნორმების მარეგულირებელი წესი დეტალურად ვერ აღწერს მენიუს შემუშავებისა და უზრუნველყოფის პროცესს, მათ შორის ალერგიისა და სხვა კვებითი აუტანლობის მქონე ბავშვების შესახებ ინფორმაციის შეგროვების და შესაბამისი კვების უზრუნველყოფას, პროდუქტისა და მზა კერძების ხარისხის კონტროლს, საკვები პროდუქტების უსაფრთხო დამუშავების,მომზადების,სერვირების, ასევე კვებითი ღირებულების შენარჩუნების საკითხებს.<br>მონაცემები ნაწილობრივ არაზუსტია, კერძოდ მექანიზმით კვების სიხშირე განსაზღვრულია სამჯერადად, რაც არ შეესაბამება წარმოდგენილ დღის განრიგს და მენიუს მონაცემებს, ასევე სურსათის ხარისხის კონტროლში ჩართულია ექთანიც, რაც არ ფიქსირდება მექანიზმში.<br><br>- დაწესებულებაში ჩატარებული ვიზიტის დროს ინტერვიუებიდან გამოიკვეთა, რომ პასუხისმგებელი პერსონალი ინფორმირებულია ალერგიის ან სხვა კვებითი აუტანლობის მქონე ბავშვების კვების უზრუნველყოფის საკითხებზე, თუმცა მექანიზმში არ არის აღწერილი ნიშნები და სიმპტომები, რომელიც საეჭვოდ უნდა იქნას მიჩნეული შემთხვევის დროს.<br>აღსანიშნავია, რომ კვების ორგანიზებისა და რაციონის კვებითი ღირებულების ნორმების მარეგულირებელი წესი განსაზღვრავს შესაბამისი ინფორმაციის შეგროვებისა და დოკუმენტირების ფორმას და წესს, რომელიც გროვდება ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანებაში, თუმცა მექანიზმით ვერ დგინდება შემდგომ როგორ ხდება ინფორმაციის გავრცელება.<br><br>-ვიზიტისას წარმოდგენილ იქნა დოკუმენტაცია სურსათის ხარისხის კონტროლის შესახებ, მათ შორის პროდუქტის შესყიდვის ეტაპზე განსაზღვრული სატენდერო მოთხოვნები და შესაბამისი თანმხლები დოკუმენტები, რაც მიუთითებს პროდუქტის კონტროლის პროცესის სტრუქტურირებულობაზე. დაწესებულებას კვების უზრუნველყოფის მექანიზმში გაწერილი აქვს ნედლეულის კონტროლი, თუმცა რა პარამეტრებს და მახასიათებლებს უნდა მიენიჭოს განსაკუთრებული ყურადღება არ არის მითითებული. დაწესებულებას კვების უზრუნველყოფის მექანიზმში გაწერილი აქვს, რომ მზა კერძების ხარისხის კონტროლის მიზნით თითოეული კერძის ნიმუშის მოთავსება ხდება ინდივიდუალურ სუფთა, თავდახურულ კონტეინერში, რომელიც 24 საათის განმავლობაში ინახება სამაცივრე პირობებში. ვიზიტის დროს ადგილზე განთავსებული იყო ნიმუშის შესანახი კონტეინერები და მაცივარი. თუმცა, კვების უზრუნველყოფის მექანიზმში მკაფიოდ არ არის განსაზღვრული მენიუთი გათვალისწინებული იმ კერძების ჩამონათვალი, რომლებიც ნიმუშის სახით უნდა იქნეს შენახული. ასევე, მექანიზმში არ არის დაზუსტებული, გათვალისწინებულია თუ არა სურსათის ხარისხის კონტროლის მიზნით შესანახი ნიმუშების მოსამზადებლად საჭირო პროდუქტების რაოდენობა დღიური მენიუ-ფაქტურის შედგენის პროცესში.<br><br>დაწესებულების მიერ წარმოდგენილი იქნა სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ გაცემული შესაბამისობის შეფასების აქტი.<br><br>- კვების უზრუნველყოფის მექანიზმი განსაზღვრავს საკვები პროდუქტების უსაფრთხო დამუშავების, მომზადების და სერვირების, კვების პროცესში გადაცდენის მაღალი რისკის მქონე სურსათის დამუშავების მეთოდებს; ინტერვიუების საფუძველზე, რომლებიც ჩატარდა საკვების მომზადების პროცესში ჩართულ პერსონალთან, დადასტურდა, რომ მათ გააჩნიათ სათანადო ცოდნა საკვების უსაფრთხო დამუშავების მეთოდების შესახებ. ასევე, დაწესებულების მიერ დამტკიცებულ მენიუში არ შედის ისეთი პროდუქტები, რომლებიც გადაცდენის რისკის თვალსაზრისით საყურადღებოა. თუმცა, არ არის აღწერილი კვებითი ღირებულების შენარჩუნების საკითხები.<br><br>1.2 მარეგულირებელი წესით დამტკიცებულია პროდუქტების ენერგეტიკული ღირებულებებისა და ქიმიური შემადგენლობის (ცილა, ცხიმი, ნახშირწყლები) ცხრილი, რომლის მიზანია მენიუს დაგეგმვის პროცესში კვებითი ბალანსის უზრუნველყოფა, თუმცა აღნიშნული ცხრილი არ არის შევსებული და აუცილებელი მონაცემები არ იკითხება. ასევე, საკვები პროდუქტების ჩანაცვლების ცხრილიც, რომელიც დამტკიცებულია და წარმოდგენილია არ არის შევსებული და მონაცემები არ იკითხება.<br><br>1.3 მარეგულირებელი წესის მიხედვით, დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს 10-დღიანი პერსპექტიული მენიუ. თუმცა, მენიუში არ არის მითითებული თითოეული კერძის რაოდენობა ერთ ბავშვზე, გრამებში (მითითებულია თითოეული ინგრედიენტის რაოდენობები);<br><br>ამასთან, მენიუსა და ფაქტობრივად გაცემულ საკვებს შორის მენიუ-ფაქტურის მიხედვით ზოგიერთ დღეს აღინიშნება შეუსაბამობა და არ ემთხვევა ერთმანეთს. | 1.რეკომენდირებულია, მექანიზმში დეტალურად და ერთიანად გაიწეროს კვების ორგანიზებისა და რაციონის მართვის პროცესი, მათ შორის მენიუს შემუშავება, უზრუნველყოფა და შესრულება. უნდა დაზუსტდეს საკვების ხარისხის კონტროლის, მომზადების, შენახვის, სერვირების წესები და კვებითი ღირებულების შენარჩუნების საკითხები. ასევე ალერგიისა და სხვა კვებითი აუტანლობის მქონე ბავშვების კვების უზრუნველყოფის სრული პროცედურა (ინფორმაციის თვალსაზრისით);<br><br>აუცილებელია მექანიზმში სწორი კვების სიხშირის ასახვა, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს რეალურ დღის განრიგსა და მენიუს მონაცემებს, ასევე უნდა დაფიქსირდეს სურსათის ხარისხის კონტროლში ექთნის ჩართულობა, რაც დადასტურდება მისი უფლება-მოვალეობების ჩამონათვლით.<br><br>ასევე საჭიროა ალერგიის ნიშნებისა და სიმპტომების დამატება, რათა პერსონალმა დროულად შეძლოს რისკის ამოცნობა, და მკაფიოდ განისაზღვროს ინფორმაციის შეგროვების შემდეგ მისი გავრცელების და გამოყენების პროცედურა შესაბამის პერსონალთან.<br><br>2. დაწესებულებამ კვების უზრუნველყოფის მექანიზმში დეტალურად განსაზღვროს მენიუთი გათვალისწინებული იმ კერძების ჩამონათვალი, რომელთა ნიმუშების შენახვა სავალდებულოა სურსათის ხარისხის კონტროლის მიზნით, რაც უზრუნველყოფს პროცესის ერთგვაროვან და სრულყოფილ განხორციელებას.<br><br>ამასთან, დაწესებულებამ კვების უზრუნველყოფის მექანიზმსა და მენიუ-ფაქტურის შედგენის პროცედურაში მკაფიოდ ასახოს, როგორ ხდება სურსათის ხარისხის კონტროლის მიზნით შესანახი ნიმუშებისთვის საჭირო დამატებითი პროდუქტების რაოდენობის განსაზღვრა და გათვალისწინება, რათა უზრუნველყოფილ იქნეს როგორც კვების ფაქტობრივი საჭიროებების, ისე ხარისხის კონტროლის პროცედურების სრულფასოვანი შესრულება.<br><br>რეკომენდირებულია მექანიზმში დეტალურად განისაზღვროს სურსათის მიღების პროცედურა და ის კრიტერიუმები, რომელთა მიხედვითაც უნდა განხორციელდეს შემოსული პროდუქტის კონტროლი.<br><br>3. აუცილებელია წარმოდგენილი და დამტკიცებული იქნას პროდუქტების ენერგეტიკული ღირებულებისა და ქიმიური შემადგენლობის (ცილა, ცხიმი, ნახშირწყლები) ცხრილი, რათა უზრუნველყოფილი იყოს მენიუს კვებითი ბალანსის სწორი დაგეგმვა და კონტროლი.<br><br>4. აუცილებელია წარმოდგენილი იქნას სრულად შევსებული საკვები პროდუქტების ჩანაცვლების ცხრილი და გათვალისწინებული იქნას მისი პრაქტიკული გამოყენება მენიუს დაგეგმვის პროცესში. აღნიშნული ცხრილი უნდა გამოიყენებოდეს როგორც სავალდებულო ინსტრუმენტი მენიუს ცვლილების ან პროდუქტის მიუწოდებლობის შემთხვევაში ალტერნატიული პროდუქტის შერჩევისას, რათა უზრუნველყოფილ იქნას კვებითი ღირებულების (ენერგეტიკული და მაკრონუტრიენტების ბალანსის) შენარჩუნება.<br><br>ასევე საჭიროა მექანიზმში დეტალურად იყოს აღწერილი ჩანაცვლების პროცედურა, მათ შორის:<br><br>- რა შემთხვევაში ხდება პროდუქტის ჩანაცვლება;<br>- ვინ იღებს გადაწყვეტილებას ჩანაცვლებაზე;<br>- როგორ ხდება ალტერნატიული პროდუქტის შერჩევა (კვებითი ღირებულების, ჯგუფის ეკვივალენტობისა და ასაკობრივი შესაბამისობის გათვალისწინებით);<br>- როგორ ფიქსირდება განხორციელებული ჩანაცვლება დოკუმენტურად.<br><br>აღნიშნული უზრუნველყოფს მენიუს სტანდარტიზაციას, ერთგვაროვან კვებით ბალანსს და №487 ტექნიკური რეგლამენტით დადგენილ მოთხოვნებთან სრულ შესაბამისობას. | 1.მიზანშეწონილია, რომ სურსათის შესყიდვის დოკუმენტაციაში ერთ-ერთ აუცილებელ მახასიათებლად განისაზღვროს საკონდიტრო და მსგავსი ტიპის პროდუქტების ცხიმის შემცველობის პროცენტული მაჩვენებელი, რაც უზრუნველყოფს რეგლამენტით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის კონტროლს და 15%-ზე მეტი ცხიმის შემცველი პროდუქტების გამოყენების თავიდან აცილებას.<br><br>2. მიზანშეწონილია, რომ სურსათის შესყიდვის დოკუმენტაციაში, იმ პროდუქტებთან მიმართებით, რომლებშიც შესაძლებელია საკვებდანამატების არსებობა, ერთ-ერთ აუცილებელ მოთხოვნად განისაზღვროს, რომ პროდუქტი არ უნდა შეიცავდეს შემდეგ დანამატებს: ნატრიუმის ბენზოატი (E211), ტარტრაზინი (E102), ქინოლინისებრი ყვითელი (E104), ყვითელი „მზის ჩასვლა“ (E110), კარმუაზინი (E122), პონსო ალისფერი 4R (E124) და წითელი ალურა AC (E129), რაც უზრუნველყოფს ბავშვთა კვებისთვის განკუთვნილი პროდუქტების შესაბამისობას დადგენილ მოთხოვნებთან.<br><br>ასევე, სასურველია ხილის ჩაის შეძენის დროს სატენდერო დოკუმენტებში მკაფიოდ იქნას მითითებული შავი ჩაის არ არსებობის შესახებ, რადგან შესაძლოა ხილის ჩაი ნარევის სახით შეიცავდეს შავ ჩაის, რომელიც არის კოფეინის შემცველი.<br><br>3. სასურველია დაწესებულებამ უზრუნველყოს 10-დღიანი/2-კვირიანი პერსპექტიული მენიუს ყველა ერთეულზე შესაბამისი კერძების კარტოთეკის წარმოება, მათ შორის იმ პროდუქტებზეც, რომლებიც არ საჭიროებს თერმულ ან კომპლექსურ ტექნოლოგიურ დამუშავებას (მაგ.: ნედლი ბოსტნეული, რძე, მაწონი და სხვა). აღნიშნულ შემთხვევებში შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს გამარტივებული ბარათის ფორმა, სადაც მითითებული იქნება პროდუქტის ძირითადი კვებითი მაჩვენებლები და გამოსავალი, რაც ხელს შეუწყობს რეგლამენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფას და კვებითი ღირებულებების უკეთ კონტროლს, რაც განსაკუთრებულ მნიშვნელობას მიიღებს საკვების ჩანაცვლების დროს. | დაწესებულების მიერ წარმოდგენილ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში განსაზღვრულია კვების პროცესის ორგანიზების ნაწილში გამოვლენილი ხარვეზის აღმოსაფხვრელად განსახორციელებელი ღონისძიებები, მათი შესრულების ვადები და პასუხისმგებელი პირები. ვიზიარებ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმას კომპონენტ 4.4.1-თან მიმართებით, რის საფუძველზეც იცვლება ექსპერტის შეფასება — ინდიკატორის მოთხოვნა შეფასებულია, როგორც მეტწილად შეესაბამება. |
| | მენიუს შემუშავება (მათ შორის დამტკიცებული მენიუს დღიური ცვლილების შესაძლებლობა ენერგეტიკული ღირებულების შენარჩუნებით და 0-1 წლამდე ბავშვების კვების მექანიზმი (საჭიროების შემთხვევაში)) | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | მენიუს უზრუნველყოფის ფორმის რეგულირება (ადგილზე დამზადება/ მზა საკვების შესყიდვა/სხვ.) | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | ალერგიის ან სხვა კვებითი აუტანლობის მქონე ბავშვის კვება (კვებითი აუტანლობის ან მძიმე ალერგიის რისკის მქონე ბავშვის თაობაზე ინფორმაციის შეგროვების მეთოდები; მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის მიერ ბავშვის საკვებით უზრუნველყოფის შემთხვევაში მისი გამოყენების და უსაფრთხოების საკითხები; ბავშვებისთვის, რომელთაც წარსულში ჰქონიათ ანაფილაქსია ან სხვა მძიმე ალერგიული რეაქცია, გადაუდებელ შემთხვევებში ქმედების ზუსტი გეგმა) | ☐ | ☑ | ☐ | ☐ | | | | |
| | პროდუქტების და მზა კერძების ხარისხის კონტროლი | ☐ | ☑ | ☐ | ☐ | | | | |
| | საკვები პროდუქტების უსაფრთხო დამუშავების, მომზადების და სერვირების, ასევე, კვების პროცესში გადაცდენის მაღალი რისკის მქონე სურსათის დამუშავების მეთოდები და კვებითი ღირებულების შენარჩუნების წესები | ☐ | ☑ | ☐ | ☐ | | | | |
| 1.2 | დამტკიცებული, იმ პროდუქტების ენერგეტიკული ღირებულებებისა და ქიმიური შემადგენლობის (ცილა, ცხიმი, ნახშირწყლები) ცხრილი, რომლითაც ხელმძღვანელობს მენიუს შემუშავების დროს | ☐ | ☑ | ☐ | ☐ | | | | |
| 1.3 | დაწესებულებას დამტკიცებული აქვს 10 დღიანი/2 კვირიანი პერსპექტიული მენიუ | ☐ | ☑ | ☐ | ☐ | | | | |

| | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1.4 | დაწესებულებას შედგენილი აქვს 10 დღიანი/2კვირიანი პერსპექტიული მენიუს შესაბამისი კერძების კარტოთეკა, რომელიც სავალდებულოდ მოიცავს შემდეგ ინფორმაციას:<br><br>ა) კერძის ინდივიდუალური ბარათი;<br>ბ) მომზადების ტექნოლოგია (რეცეპტი და მომზადების წესი);<br>გ) კერძის ენერგეტიკული ღირებულება (კალორიულობა);<br>დ) ქიმიური შემადგენლობა (ცილა,ცხიმი,ნახშირწყალი);<br>ე) პროდუქტის დამუშავების დანაკარგები (ბრუტო/ნეტო);<br>ვ)თითოეული კერძის გამოსავალი (გასაცემი ულუფის ზომა);<br>ზ)პროდუქტების განწილვის ცხრილი ერთ ბავშვზე გაანგარიშებით. | ☐ | ☑ | ☐ | ☐ | 1.4 დაწესებულებას შედგენილი აქვს 10 დღიანი/2კვირიანი პერსპექტიული მენიუს შესაბამისი კერძების კარტოთეკა, თუმცა ზოგიერთ კერძზე ვერ იქნა წარმოდგენილი იგი, კერძოდ: ხილის ჩაი, მაკარონი ხორცით, ლობიოს წვნიანი ტომატით, სტაფილოს და ბულგარული წიწაკის შებრაწული ჩხირები, ხაჭოს მაჭკატები კარტოფილით და არაჟნით, ხაჭოს კვერები არაჟნით; დაწესებულებაში ტექნოლოგიური კარტოთეკა (რეცეპტურა) არსებობს იმ კერძებზე, რომლებიც გადიან სრულ ტექნოლოგიურ და თერმულ დამუშავებას (მოხარშვა, შეწვა, გამოცხობა და სხვა), რაც უზრუნველყოფს მათი მომზადების სტანდარტიზაციას.<br>ხოლო მზა ან მინიმალურად დამუშავებული პროდუქტების შემთხვევაში (მაგ.: ხილი, ბოსტნეული, მაწონი, რძე, არაჟნი და მსგავსი პროდუქტები) ტექნოლოგიური კარტოთეკა არ არსებობს. | 5. აუცილებელია 10-დღიან პერსპექტიულ მენიუში თითოეული კერძის რაოდენობა განისაზღვროს გრამებში ერთ ბავშვზე, რაც უზრუნველყოფს კვებითი ნორმების ზუსტ დაცვას.<br><br>6. აუცილებელია მენიუსა და მენიუ-ფაქტურის მონაცემების სრული შესაბამისობის უზრუნველყოფა , რათა თავიდან იქნას აცილებული დაგეგმილ და ფაქტობრივ კვებას შორის შეუსაბამობები.<br><br>7. აუცილებელია იმ კერძებზეც, რომლებზეც ამ ეტაპზე არ არის წარმოდგენილი ტექნოლოგიური კარტოთეკა (რეცეპტურა) არსებობდეს სრულყოფილი ტექნოლოგიური ბართი.<br><br>8. აუცილებელია, ზემოაღნიშნული ცვლილებებისა და საბოლოოდ დამტკიცებული მექანიზმის შესახებ ინფორმაცია დროულად და სრულად მიეწოდოს ყველა შესაბამის პასუხისმგებელ პერსონალს, რათა უზრუნველყოფილ იქნას მათი ინფორმირებულობა და განახლებული მოთხოვნების ერთგვაროვანი გამოყენება | | |
| 2 | **მენიუ დაგეგმილია შემდეგი მოთხოვნების გათვალისწინებით:** | | | | | | | | |
| | კვების პროცესი დაგეგმილია იმგვარად, რომ დაწესებულებაში ჯგუფისთვის კვების მიწოდება ხდება ყოველდღიურად ერთსა და იმავე დროს, რაც დასტურდება დღის განრიგით | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | 1. დაწესებულების მიერ წარმოდგენილია დღის განრიგი, რომლის მიხედვითაც დგინდება, რომ დაწესებულებაში ჯგუფისთვის კვების მიწოდება ხდება ყოველდღიურად ერთსა და იმავე დროს.<br><br>2. დაწესებულებას კვების უზრუნველყოფის მექანიზმში მითითებული აქვს, რომ კვების პროცესი ხდება ყოველდღიურად ერთსა და იმავე დროს, რომელიც მოიცავს 2 ძირითად კვებას და 2 წახემსებას, აღნიშნული ინფორმაცია ასევე შესაბამისი პასუხისმგებელი პირის მიერ ინტერვიუს დროსაც იქნა დადასტურებული.<br><br>3. მენიუ შედგენაში მონაწილე პირთან ჩატარებული ინტერვიუს შედეგად დადგინდა, რომ მენიუს შედგენის პროცესში არ არის გათვალისწინებული კვებებს შორის დღის ენერგეტიკული ღირებულების განაწილების დადგენილი პროპორცია, კერძოდ: საუზმე ≈20%; წახემსება ≈10%; სადილი ≈30%; შუადღის წახემსება ≈15%;<br>აღნიშნული ასევე დადასტურდა მენიუ-ფაქტურაში მითითებული მონაცემების გადათვლის შედეგად.<br><br>4. მენიუს შერჩევისას არ იკვეთება გათვალისწინებულია თუ არა სეზონურობის პრინციპი, რაც ძირითადად ასახული უნდა იქნას მენიუში სეზონის შესაბამისად ხილისა და ბოსტნეულის სახეობების ცვლილებაში.<br><br>5. მენიუ დაგეგმილია იმგვარად, რომ არ არის გათვალისწინებულია კერძების მრავალფეროვნება და ერთი და იგივე კერძი (მათ შორის, მზა კერძის სხვა კერძის ფორმით გამოყენება) მეორდება ორ დღეზე ნაკლები ინტერვალით, მაგ:, ხაჭაპური; კარტოფილის პიურე; კარტოფილის ღვეზელი; ერთი და იმავე ხილი და სხვა;<br><br>6. საუზმის დადგენილ სტრუქტურაში, რომელიც მოიცავს ერთ სასმელს, მარცვლოვნებს, რძის ნაწარმსა და ხილს, ცალკეულ დღეებში არ არის გათვალისწინებული სასმელი.<br><br>7. მენიუს შეფასების შედეგად გამოვლინდა, რომ სადილის რაციონში არ არის უზრუნველყოფილი წყლის მიწოდება და იგი არ ფიქსირდება მენიუში; ასევე ყოველდღიურად არ არის გათვალისწინებული რძის ნაწარმის კომპონენტი. ცალკეულ შემთხვევაში სადილი არ შეესაბამება 4 ან 5 კომპონენტიან სტრუქტურას, ხოლო სასმელად გამოიყენება შაქრის შემცველი ლიმონათი (ლიმონი), რაც არ შეესაბამება მოქმედი რეგლამენტით დადგენილ მოთხოვნებს.<br><br>8.შუადღის წახემსების დროს მენიუში ცალკეულ დღეებში ფიქსირდება შაქრიანი მაწონი, ფუნთუშა და ორცხობილა, რაც არ შეესაბამება დადგენილ მოთხოვნებს და ჯანსაღი კვების პრინციპებს შაქრის შემცველობის გამო. | 1. რეკომენდებულია, რომ კვების უზრუნველყოფის მექანიზმში მკაფიოდ განისაზღვროს დღის ენერგეტიკული ღირებულების კვებებს შორის განაწილების პროპორცია, კერძოდ: საუზმე — დაახლოებით 20%, წახემსება — დაახლოებით 10%, სადილი — დაახლოებით 30%, შუადღის წახემსება — დაახლოებით 15%;<br><br>ასევე, მენიუს დაგეგმვის პროცესში აღნიშნული პროპორციები სავალდებულოდ იყოს გათვალისწინებული, რაც უზრუნველყოფს ენერგეტიკული ბალანსის დაცვას, რაციონის სწორ განაწილებას და ბავშვთა კვების სტანდარტებთან შესაბამისობას.<br><br>2. რეკომენდებულია მენიუს დაგეგმვისას მეტად იქნას გათვალისწინებული სეზონურობის პრინციპი, რაც უნდა აისახოს სეზონის შესაბამისი ხილისა და ბოსტნეულის მრავალფეროვან გამოყენებაში. სასურველია მენიუში პერიოდულად იცვლებოდეს ხილ-ბოსტნეულის სახეობები სეზონური ხელმისაწვდომობის შესაბამისად, რაც ხელს შეუწყობს რაციონის მრავალფეროვნებას, პროდუქტების სიჯანსაღესა და კვებითი ღირებულების გაუმჯობესებას.<br><br>3. რეკომენდებულია მენიუს დაგეგმვისას მეტად იქნას უზრუნველყოფილი კერძების მრავალფეროვნება და დაცული იყოს მინიმუმ ორდღიანი ინტერვალი ერთი და იმავე კერძის, ასევე მზა კერძის სხვა ფორმით გამოყენების შემთხვევებშიც. აუცილებელია შემცირდეს იდენტური ან მსგავსი პროდუქტების ხშირი განმეორება (მაგ.: ხაჭაპური, კარტოფილის პიურე, კარტოფილის ღვეზელი, ერთი და იგივე ხილი და სხვ.), რაც ხელს შეუწყობს ბალანსირებული და მრავალფეროვანი კვების პრინციპების დაცვას.<br><br>4. რეკომენდებულია უზრუნველყოფილ იქნას საუზმის სრული კომპონენტების დაცვა და სასმელი დაემატოს საუზმის რაციონში.<br><br>5. რეკომენდირებულია, რომ სადილის დაგეგმვისა და მიწოდების პროცესში უზრუნველყოფილ იქნას საქართველოს მთავრობის №487 რეგლამენტით განსაზღვრული მოთხოვნების სრული დაცვა. კერძოდ, სადილის რაციონში სავალდებულოდ უნდა იყოს გათვალისწინებული წყალი, რომელიც უნდა ფიქსირდებოდეს მენიუში და რეალურად მიეწოდებოდეს ბავშვებს.<br><br>ასევე აუცილებელია ყოველდღიურად იყოს უზრუნველყოფილი რძის ნაწარმის კომპონენტი, ხოლო სადილი შეესაბამებოდეს 4 ან 5 კომპონენტიან სტრუქტურას.<br><br>რეკომენდებულია მენიუდან გამოირიცხოს შაქრის შემცველი ლიმონათები და მათი ჩანაცვლება განხორციელდეს წყლით ან სხვა შესაბამისი, უშაქრო სასმელებით, რაც უზრუნველყოფს რეგლამენტთან სრულ შესაბამისობას და ჯანსაღი კვების პრინციპების დაცვას.<br><br>6. რეკომენდირებულია შუადღის წახემსების რაციონიდან გამოირიცხოს შაქრიანი მაწონი, ფუნთუშა და ორცხობილა და მათი ჩანაცვლება განხორციელდეს შესაბამისი ალტერნატიული პროდუქტებით (შაქრის ნაკლებად შემცველი ბურღული/ახალი ხილი/ბოსტნეული/რძე/დაბალი ცხიმიანობის რძის ნაწარმი), რაც უზრუნველყოფს დადგენილ კვების მოთხოვნებთან შესაბამისობას. | 1. სასურველია დაცული იყოს მინიმუმ ორდღიანი ინტერვალი იმ კერძებს შორისაც, რომლებიც მომზადებულია ერთსა და იმავე ძირითადი ნუტრიენტული ინგრედიენტების ბაზაზე (მაგალითად: საქონლის ხორცი, ქათამის ხორცი, თევზი, კარტოფილი, ერთიდაიმავე სახის ბოსტნეული და სხვა მსგავსი პროდუქტები). აღნიშნული მიდგომა ხელს უწყობს რაციონის მრავალფეროვნებას, ბალანსირებულ კვებასა და სხვადასხვა საკვები ნივთიერებების თანაბარ განაწილებას. | დაწესებულების მიერ წარმოდგენილ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში განსაზღვრულია მენიუს დაგეგმვის დროს გამოვლენილი ხარვეზის აღმოსაფხვრელად განსახორციელებელი ღონისძიებები, მათი შესრულების ვადები და პასუხისმგებელი პირები. ვიზიარებ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმას კომპონენტ 4.4.2-თან მიმართებით, რის საფუძველზეც იცვლება ექსპერტის შეფასება — ინდიკატორის მოთხოვნა შეფასებულია, როგორც მეტწილად შეესაბამება. |
| | კვების მიწოდების ჯერადობა, სააღმზრდელო-საგანმანათლებლო პროცესის ხანგრძლივობიდან გამომდინარე, შეესაბამება შემდეგ განაწილებას:<br><br>9 საათზე მეტი - 2 ან 3 ძირითადი კვება და 2 ან 3 წახემსება<br>9 საათამდე - 2 ძირითადი კვება და 2 წახემსება (მიწოდებული 4 ჯერადად ან 3 ჯერადად)<br>5 საათამდე - 2 ძირითადი კვება და 1 წახემსება<br>3.5 საათამდე - 1 ძირითადი კვება და 1 წახემსება | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | მენიუ დაგეგმილია იმგვარად, რომ კვების მიწოდების ჯერადობის შესაბამისად კვებებს შორის დღის ენერგეტიკული ღირებულება შემდეგნაირად ნაწილდება:<br><br>საუზმე ≈20%<br>წახემსება ≈10%<br>სადილი ≈30%<br>შუადღის წახემსება ≈15%<br>ვახშამი ≈15%<br>საღამოს წახემსება ≈10% | ☐ | ☑ | ☐ | ☐ | | | | |
| | მენიუ დაგეგმილია იმგვარად, რომ პროდუქტის შერჩევისას გათვალისწინებულია სეზონურობა | ☐ | ☑ | ☐ | ☐ | | | | |
| | მენიუ დაგეგმილია იმგვარად, რომ გათვალისწინებულია კერძების მრავალფეროვნება და ერთი და იგივე კერძი (მათ შორის, გადამუშავებული პროდუქტის სხვა კერძის ფორმით გამოყენება) არ მეორდება ორ დღეზე ნაკლები ინტერვალით | ☐ | ☑ | ☐ | ☐ | | | | |
| | საუზმე დაგეგმილია იმგვარად, რომ მოიცავს: ერთ სასმელს, მარცვლოვნებს, რძის ნაწარმსა და ხილს (ხილი შესაძლებელია გადატანილი იქნას დილის წახემსებაზე) | ☐ | ☑ | ☐ | ☐ | | | | |
| | სადილი დაგეგმილია იმგვარად, რომ მოიცავს: 4 ან 5 კომპონენტს და აუცილებლად მოიცავს პურს, წყალს, ძირითად კერძსა და გარნირს | ☐ | ☑ | ☐ | ☐ | | | | |
| | წახემსება დაგეგმილია იმგვარად, რომ მოიცავს: შაქრის ნაკლებად შემცველი ბურღულს/ახალი ხილს/ბოსტნეულს/რძეს/დაბალი ცხიმიანობის რძის ნაწარმს | ☐ | ☑ | ☐ | ☐ | | | | |
| | სასმელად გამოიყენება წყალი/დაბალი ცხიმიანობის რძე/ხილის წვენი (100%-იანი, შაქრის დამატების გარეშე) და სხვა. | ☐ | ☑ | ☐ | ☐ | | | | |
| 3 | დაწესებულების მიერ დამტკიცებული მენიუ-ფაქტურა შესაბამისია შემდეგ მოთხოვნებთან (მონაცემები გამოტანილია 9 საათიანი მომსახურების შემთხვევაში, უფრო მეტი/ნაკლები დროით ბავშვის დაწესებულებაში დაყოვნების შემთხვევაში, ექსპერტმა კვების ჯერადობისა და გადანაწილების მიხედვით უნდა გამოიანგარიშოს შესაბამისი პროპორციული მოთხოვნები, ასახოს კითხვარის მე-3 სექციაში და შესაბამისად შეაფასოს) | | | | | | | | |
| | დაწესებულების 10 დღიანი მენიუ-ფაქტურის დღიური ენერგეტიკული ღირებულება საშუალო არითმეტიკული დაანგარიშებით არის 1292 კილოკალორია (დღიურად შესაძლებელია კალორიის ცვალებადობა +/-10 კკალ); | ☐ | ☑ | ☐ | ☐ | დაწესებულების მიერ დამტკიცებული მენიუ-ფაქტურა სრულად ვერ აკმაყოფილებს 4.4. კომპონენტით განსაზღვრულ მოთხოვნებს.<br>1. დაწესებულების 10-დღიანი მენიუ-ფაქტურის დღიური ენერგეტიკული ღირებულება საშუალო არითმეტიკული დაანგარიშებით არ შეესაბამება 1292 კილოკალორიას, ასევე დაცული არ არის დღიური კალორიულობის დასაშვები ცვალებადობა ±10 კკალ-ის ფარგლებში. აღნიშნული დარღვევა ფიქსირდება ორივე სეზონის მენიუში, ხოლო საშუალო არითმეტიკული მაჩვენებლის შეუსაბამობა გამოვლენილია მხოლოდ გაზაფხული-ზაფხულის მენიუში.<br><br>2. დაწესებულების მიერ დამტკიცებულ მენიუ-ფაქტურაში 10-დღიანი მენიუს ცილის შემცველობა საშუალო არითმეტიკული დაანგარიშებით არ შეადგენს 50.37 გრამს, ასევე დღიური ცვალებადობა არ შეესაბამება ±5 გრამის ლიმიტს. აღნიშნული შეუსაბამობები ფიქსირდება ორივე სეზონის მენიუში.<br><br>3. დაწესებულების მიერ დამტკიცებულ მენიუ-ფაქტურაში 10-დღიანი მენიუს ცხიმის შემცველობა საშუალო არითმეტიკული დაანგარიშებით არ შეადგენს 49.57 გრამს, ხოლო დღიური შესაძლო ცვალებადობა არ შეესაბამება ±5 გრამის დასაშვებ ლიმიტს. აღნიშნული დარღვევა ფიქსირდება გაზაფხული–ზაფხულის მენიუში, ხოლო შემოდგომა–ზამთრის მენიუში მოთხოვნები დაცულია.<br><br>4. დაწესებულების მიერ დამტკიცებულ მენიუ-ფაქტურაში 10-დღიანი მენიუს ნახშირწყლების შემცველობა საშუალო არითმეტიკული დაანგარიშებით შეადგენს 160.82 გრამს, თუმცა დღიური ცვალებადობა არ შეესაბამება ±5 გრამის დასაშვებ ზღვარს — ცალკეულ დღეებში მაჩვენებელი აჭარბებს, ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში ნაკლებია აღნიშნულ ლიმიტზე.<br><br>5. დაწესებულების მიერ დამტკიცებული მენიუ-ფაქტურის მიხედვით თითოეულ ბავშვს 10 დღის განმავლობაში არ მიეწოდება ≈1300გ პური, ≈300გ მარცვლეული და ბურღულეული და საკონდიტრო ნაწარმი აღემატება 40გ-ს.<br><br>6. დაწესებულების მიერ დამტკიცებულ მენიუ-ფაქტურაში თითოეულ ბავშვზე გაწერილი ხილი (მათ შორის ხილის ჩირი), კარტოფილი და ბოსტნეული 10 დღის განმავლობაში არ არის შესაბამისი რაოდენობით: ხილი ≈1300გ (მათ შორის ხილის ჩირი (არსებობის შემთხვევაში-არაუმეტეს 100გ); ბოსტნეული ≈1800გ; კარტოფილი ≈1200გ;<br><br>7. დაწესებულების მიერ დამტკიცებული მენიუ-ფაქტურის მიხედვით თითოეულ ბავშვს 10 დღის განმავლობაში მიეწოდება ნორმაზე ნაკლები (≈4870 მლ) რძე და რძის პროდუქტები, დასალევი რძის რაოდენობა არ არის 1500 მლ და რძე და რძის პროდუქტი არ არის ≈3370 მლ, ასევე, არ ფიქსირდება მენიუს შედგენისას იყო თუ არა გათვალისწინებული რძის პროდუქტების რაოდენობის განსაზღვრისას მილილიტრის გრამში გადაყვანის პრინციპი ან/და რაზე დაყრდნობით განისაზღვრა ან/და დაფუძნდა რძის პროდუქტების რაოდენობის საზომ ერთეულებს — მილილიტრებსა და გრამებს — შორის პროპორციული დამოკიდებულება. | ინდიკატორის დაკმაყოფილების მიზნით დაწესებულების მიერ დამტკიცებული მენიუ-ფაქტურა უნდა აკმაყოფილებდეს 4.4. კომპონენტით განსაზღვრულ მოთხოვნებს, დადგენილ ნორმებს (კკალ, ცილა, ცხიმი, ნახშირწყალი ) და 10 დღის განმავლობაში თითოეულ ბავშვზე გაწერილი პროდუქტი უნდა იყოს შესაბამისი რაოდენობის, კერძოდ:<br><br>1. დაწესებულების 10 დღიანი მენიუ-ფაქტურის დღიური ენერგეტიკული ღირებულება საშუალო არითმეტიკული დაანგარიშებით უნდა იყოს 1292 კილოკალორია (დღიურად შესაძლებელია კალორიის ცვალებადობა +/-10 კკალ);<br>2. დაწესებულების მიერ დამტკიცებულ მენიუ-ფაქტურაში 10 დღიანი მენიუს ცილის შემცველობა საშუალო არითმეტიკული დაანგარიშებით უნდა იყოს 50.37გრამი (დღიურად შესაძლებელია ცვალებადობა +/-5 გ);<br>3. დაწესებულების მიერ დამტკიცებულ მენიუ-ფაქტურაში 10 დღიანი მენიუს ცხიმის შემცველობა საშუალო არითმეტიკული დაანგარიშებით უნდა იყოს 49.57გრამი (დღიურად შესაძლებელია ცვალებადობა +/- 5 გ);<br>4. დაწესებულების მიერ დამტკიცებულ მენიუ-ფაქტურაში 10 დღიანი მენიუს ნახშირწყლების შემცველობა საშუალო არითმეტიკული დაანგარიშებით უნდა იყოს 160.82 გრამი (დღიურად შესაძლებელია ცვალებადობა +/- 5გ);<br><br>5. რეკომენდებულია გადამოწმდეს პურის, მარცვლეულის/ბურღულეულის და საკონდიტრო ნაწარმის ფაქტობრივი რაოდენობები, რათა უზრუნველყოფილ იქნეს მათი შესაბამისობა რეგლამენტით დადგენილ ნორმებთან.<br><br>6. დაწესებულებამ გადახედოს და დაარეგულიროს მენიუ-ფაქტურაში თითოეულ ბავშვზე განსაზღვრული ხილის (მათ შორის ხილის ჩირის), ბოსტნეულისა და კარტოფილის რაოდენობები, რათა უზრუნველყოფილ იქნეს მათი შესაბამისობა რეგლამენტით დადგენილ ნორმებთან.<br><br>7 . დაწესებულებამ გადახედოს და დაარეგულიროს მენიუ-ფაქტურაში თითოეულ ბავშვზე განსაზღვრული დასალევი რძის და რძე/რძის პროდუქტების შესაბამისი რაოდენობები, რათა უზრუნველყოფილ იქნეს მათი შესაბამისობა რეგლამენტით დადგენილ ნორმებთან. ასევე, დაწესებულების მიერ წარმოდგენილი უნდა იქნას შესაბამისი მტკიცებულება, რომელზე დაყრდნობითაც განისაზღვრა ან/და დაფუძნდა რძის პროდუქტების რაოდენობის საზომ ერთეულებს — მილილიტრებსა და გრამებს — შორის პროპორციული დამოკიდებულება.<br><br>8. დაწესებულების მიერ დამტკიცებული მენიუ-ფაქტურში თითოეულ ბავშვზე 10 დღის განმავლობაში გაწერილიუნდა იყოს 220გ ცხიმი მათ შორის: ნაღების კარაქი | | დაწესებულების მიერ წარმოდგენილ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში განსაზღვრულია მენიუ-ფაქტურის შედგენისას გამოვლენილი ხარვეზის აღმოსაფხვრელად განსახორციელებელი ღონისძიებები, მათი შესრულების ვადები და პასუხისმგებელი პირები. ვიზიარებ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმას კომპონენტ 4.4.3-თან მიმართებით, რის საფუძველზეც იცვლება ექსპერტის შეფასება — ინდიკატორის მოთხოვნა შეფასებულია, როგორც მეტწილად შეესაბამება. |
| | დაწესებულების მიერ დამტკიცებულ მენიუ-ფაქტურაში 10 დღიანი მენიუს ცილის შემცველობა საშუალო არითმეტიკული დაანგარიშებით არის 50.37გრამი (დღიურად შესაძლებელია ცვალებადობა +/-5 გ); | ☐ | ☑ | ☐ | ☐ | | | | |
| | დაწესებულების მიერ დამტკიცებულ მენიუ-ფაქტურაში 10 დღიანი მენიუს ცხიმის შემცველობა საშუალო არითმეტიკული დაანგარიშებით არის 49.57გრამი (დღიურად შესაძლებელია ცვალებადობა +/- 5 გ); | ☐ | ☑ | ☐ | ☐ | | | | |
| | დაწესებულების მიერ დამტკიცებულ მენიუ-ფაქტურაში 10 დღიანი მენიუს ნახშირწყლების შემცველობა საშუალო არითმეტიკული დაანგარიშებით არის 160.82 გრამი (დღიურად შესაძლებელია ცვალებადობა +/- 5გ); | ☐ | ☑ | ☐ | ☐ | | | | |
| | დაწესებულების მიერ დამტკიცებულ მენიუ-ფაქტურაში თითოეულ ბავშვზე გაწერილია 1300 გ პური, მარცვლეული და ბურღული 10 დღის განმავლობაში, მათ შორის აუცილებელია: | | | | | | | | |
| | პური ≈1000გ<br>მარცვლეული და ბურღულეული ≈300გ<br>საკონდიტრო ნაწარმი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) არ აღემატება 40გ-ს. | ☐ | ☑ | ☐ | ☐ | | | | |
| | დაწესებულების მიერ დამტკიცებულ მენიუ-ფაქტურაში თითოეულ ბავშვზე გაწერილია 4300 გ ხილი, კარტოფილი და ბოსტნეული 10 დღის განმავლობაში, მათ შორის აუცილებელია: | | | | | | | | |
| | ხილი ≈1300გ (მათ შორის ხილის ჩირი (არსებობის შემთხვევაში-არაუმეტეს 100გ)<br>ბოსტნეული ≈1800გ<br>კარტოფილი ≈1200გ | ☐ | ☑ | ☐ | ☐ | | | | |
| | დაწესებულების მიერ დამტკიცებული მენიუ-ფაქტურაში თითოეულ ბავშვზე გაწერილია 4870 მლ. რძე და რძის პროდუქტი 10 დღის განმავლობაში, მათ შორის აუცილებელია: | | | | | | | | |
| | რძე დასალევად ≈1500 მლ.<br>რძე და რძის პროდუქტი ≈3370 მლ. | ☐ | ☑ | ☐ | ☐ | | | | |
| | დაწესებულების მიერ დამტკიცებული მენიუ-ფაქტურში თითოეულ ბავშვზე გაწერილია 840გრ ხორც პროდუქტები 10 დღის განმავლობაში, მათ შორის აუცილებელია: | | | | | | | | |

| | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | საქონლის რბილი ხორცი 440გ | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | 8. დაწესებულების მიერ დამტკიცებული მენიუ-ფაქტურში თითოეულ ბავშვზე გაწერილია 840გრ ხორც პროდუქტები 10 დღის განმავლობაში, მათ შორის: საქონლის რბილი ხორცი 440გ, ქათმის ფილე 200გ, თევზის ფილე 200გ;<br><br>9. დაწესებულების მიერ დამტკიცებული მენიუ-ფაქტურში თითოეულ ბავშვზე 10 დღის განმავლობაში არ არის გაწერილია 220გ ცხიმი მათ შორის: ნაღების კარაქი 120გ, მცენარეული ზეთი 100გ; | 120გ, მცენარეული ზეთი 100გ; | | |
| | ქათმის ფილე 200გ | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | თევზის ფილე 200გ | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | დაწესებულების მიერ დამტკიცებული მენიუ-ფაქტურში თითოეულ ბავშვზე გაწერილია 220გ ცხიმი 10 დღის განმავლობაში, მათ შორის აუცილებელია: | | | | | | | | |
| | მცენარეული ზეთი 100გ | ☐ | ☑ | ☐ | ☐ | | | | |
| | ნაღების კარაქი 120გ | ☐ | ☑ | ☐ | ☐ | | | | |
| 4 | **აკრძალული/ლიმიტირებული პროდუქტების არსებობა ბავშვთა კვებისთვის შემუშავებულ მენიუში** | | | | | | | | |
